

ირანის არჩევნების შედეგებით დასავლეთი სერიოზულადაა შეშფოთებული

A5



ბუში და შრიოდერი - პოზიციათა შეჯერება „დიდი სამიტის" წინ

A5



კორუფციის სტილი შეიცვალა

B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 28 ივნისი, 2005 წელი. №144 (1004)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

## ამბები

### ლუჟკოვი სამხედრო-საველე ინვენტარით ეხმარება კოკოითს

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გუშინ განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ გოგა ხაინდრავა შეშფოთებულია მოსკოვის მერის ინიციატივით 25 ივნისს, სამხრეთ ოსეთისათვის გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთის გამო, რომლის "შემადგენლობაც სცილდება ჰუმანიტარულ დანიშნულებას."

A2

## ამინდი

| | 28/06 | 29 /06 | 30 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 32 | 34 | 36 |
| ტყიბული | 27 | 30 | 31 |
| სოხუმი | 27 | 28 | 30 |
| დმანისი | 26 | 27 | 27 |
| გორი | 27 | 29 | 31 |
| ონი | 23 | 25 | 26 |
| ზუგდიდი | 30 | 32 | 32 |
| ახმეტა | 32 | 33 | 35 |
| გაგრა | 25 | 27 | 28 |
| სამტრედია | 31 | 33 | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8150 |
| ევრო | 2.2055 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3161 |
| რუბლი | 0.0635 |

| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | სხვადასხვა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| ენერგეტიკა | A8 | სხვადასხვა | B8 |

# რესპუბლიკელთა სერიოზული ამბიციები

*რესპუბლიკურ პარტიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს - "ძალიან პატიოსანი, უაღრესად კვალიფიციური, ქმედითი და დაუღალავი ფუტკარი" დავით უსუფაშვილი. იგი 27-წლიანი ისტორიის მქონე რესპუბლიკურ პარტიას, სულ მცირე, უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს და თანაპარტიელებს "ყველა მომავალ არჩევნებში გამარჯვებას ჰპირდება." "გპირდებით, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეობას დავასრულებ ისე, რომ ეს სამი კაცი - მე, დავით ბერძენიშვილი და ივლიანე ხაინდრავა ვიქნებით ერთად," – გუშინდელი ყრილობა დავით უსუფაშვილმა სწორედ ამ სიტყვებით დაასრულა.*

სოფო ბუკია

საქართველოში პარტიული ყრილობების სეზონი გრძელდება. კონსერვატორების კვალდაკვალ, ერთად შეკრება რესპუბლიკელებმაც გადაწყვიტეს.

ამჯერად ყველაფერი გაცილებით უფრო "მოდურად" მოხდა. სპორტის სასახლის, ფილარმონიისა თუ პროფკავშირების სასახლის ნაცვლად რესპუბლიკელთა ყრილობა სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" კომფორტულ, კონდიცირებულ გარემოში შედგა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ავირჩიოთ!

## მერის არჩევითობას „წვიმის მუსიკოსებიც" უმღერიან

ია ვეკუა

რამდენიმე ხნის წინ აბანოთუბანი სამყაროს ცენტრი იყო: აქ ჩაისახა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მორიგი პირმშო, ქორეოგრაფიულად აქ აიდგა ფეხი პრეზიდენტმა ბუშმა და აქ დავუმტკიცეთ მთელ მსოფლიოს, რომ ყველაზე ფოლკლორული ქვეყანა ვართ და არც ჭრელი ხალიჩების ნაკლებობას ვუჩივით. მას შემდეგ ამ უბნის აქტუალობამ მეტ-ნაკლებად იკლო და კვლავ ჰიგიენისა და მამაკაცური ცელქობებისთვის განკუთვნილი ადგილის წოდება დაიბრუნა. თუმცა გუშინ აბანოთუბნის კოხტად მოკირწყლული ქუჩები კვლავ პოლიტიკური თამაშების პოლიგონად იქცა – თბილისის მერის არჩევითობის მომხრეებმა მუსიკალური აქცია გამართეს.

"აღარ გვინდა ჭია მერი, ავირჩიოთ ნაღდი მერი" – სწორედ ამ ოსტატურად გარითმული მოწოდებით "გაილაშქრეს" პირველად დედაქალაქის მერის წინააღმდეგ, რომლის ავტორები მემარჯვენეები იყვნენ. პლაკატზე დახატული ერთ-ერთი ტელელიპუცის (მგონი, დიპსი იყო) კომბინეზონში გამოწყობილი მომღიმარი ზურაბ ჭიაბერაშვილი კარგა ხანს ამშვენებდა თბილისის ქუჩებს, თუმცა ამ შავ-ყვითელმა აქციამ შედეგი ვერ გამოიღო.

გაგრძელება B3 გვერდზე



თბილისელები როკ-აქციით მერის პირდაპირ არჩევას ითხოვენ.

# საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა

*საქართველოს პრეზიდენტს*
*ბატონ მიხეილ სააკაშვილს;*
*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს*
*ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს;*
*საქართველოს პარლამენტის წევრებს;*
*საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის*
*თავმჯდომარეს ბატონ გია ქავთარაძეს;*
*საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს.*

გვსურს, წარმოგიდგინოთ ჩვენი მოსაზრებები საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტების "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" კანონში და საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

რევოლუციის შემდეგ საქართველოში გაჩნდა ახალი იმედი და შესაძლებლობა, ქვეყანას ჰქონოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და ადგილობრივი თვითთმმართველობის განვითარების ერთიანი კონცეფცია, რომელიც ხელისუფლების შორსმჭვრეტელური, დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებული ხედვის გამომხატველი იქნებოდა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა დეცენტრალიზაციისა და ეფექტური მმართველობის სახელმწიფო

გაგრძელება A3 გვერდზე

# ისევ - „გადადექი!"

## "დარბაზმა" რექტორს ომი გამოუცხადა

ნინო ბერელიძე

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის რუსუდან ლორთქიფანიძის შეხვედრა "საუნივერსიტეტო დარბაზთან" ხმაურიანი და დაძაბული გამოდგა. "უნივერსიტეტს რექტორი და რექტორატი არ ჰყავს, მას ერთპიროვნულად და უკანონოდ განაგებს საქართველოს პრეზიდენტი; გარე ძალების მიერ მიზანმიმართულად მიმდინარეობს უნივერსიტეტის ლიკვიდაცია, რომლის მიზანია, საქართველოში აღარ არსებობდეს სასწავლო-სამეცნიერო კერა," – დარბაზში ასეთი რადიკალური განცხადებები ისმოდა. "დარბაზის" წევრები რექტორის გადადგომას ითხოვენ და დაუმორჩილებლობით იმუქრებიან.*

გაგრძელება A3 გვერდზე



უნივერსიტეტის პედაგოგებმა სხდომის დამთავრების შემდეგ საპროტესტო აქცია დაიწყეს.

# პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესები მკაცრდება

თამარ ხორბალაძე

*მომავალ სამშაბათს, სტრასბურგში, საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთობლივ მემორანდუმს მოაწერენ ხელს. მემორანდუმის მიხედვით, ისინი იღებენ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ კანონპროექტის - "პარტიების დაფინანსებისა და გამჭვირვალობის შესახებ" - დამტკიცებას.*

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის მნიშვნელობა აშკარად სცილდება მხოლოდ არჩევნების სამართლიანობისთვის ბრძოლის ფარგლებს და მნიშვნელოვან ანტიკორუფციულ დატვირთვას იძენს.

"ბინძური ფულით", ანუ არაგამჭვირვალე სახსრებით არჩეული პარლამენტი, ცხადია, ვერ იქნება თავისუფალი ფინანსური ვალდებულებებისგან, რომელიც კორუფციული გარიგებების ალბათობას ზრდის. ამიტომ, ჯერ კიდევ პრეზიდენტ შევარდნაძის პირობებში, არაერთგზის გაცხადებული ანტიკორუფციული ბრძოლის კონტექსტში, ანტიკორუფციული ბიუროს ეგიდით, გადაიდგა ნაბიჯები პარტიების ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

სხვათა შორის, მაშინ აბსოლუტურად ყველა პარტიამ - მაშინდელმა "პოზიციამაც" და მაშინდელმა ოპოზიციამაც, მედიასთან ერთად, რომელიც წინასაარჩევნო სიტუაციაში ხდება ხოლმე არჩევნებში მონაწილე პარტიების "ბიზნესპარტნიორი" - სარეკლამო ურთიერთობის თვალსაზრისით, მოაწერეს ხელი "სტრასბურგის მემორანდუმს".

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტის "ბოლო გაბრძოლება"

გიორგი ასანიშვილი

*საგაზაფხულო სესიის დასრულების მიუხედავად, საპარლამენტო "სერიალი" მიმდინარე კვირაშიც გაგრძელდება. დღეს და ხვალ საკომიტეტო მოსმენები გაიმართება, ხუთშაბათს და პარასკევს კი დეპუტატები რიგგარეშე სესიის სხდომაზე შეიკრიბებიან. ზაფხულის არდადეგებზე წასვლის წინ პარლამენტარებს ოცზე მეტი კანონპროექტის განხილვა მოუწევთ. ზოგიერთი მათგანი აუცილებლად ხმაურს გამოიწვევს.*

სიტყვა "ხმაური" შემთხვევით არ გვიხსენებია: აჟიოტაჟის გამოწვევის გარდა, ოპოზიციას არანაირი ბერკეტი არ გააჩნია იმისთვის, რომ წინ აღუდგეს "თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას, რომელიც მერების არაპირდაპირი გზით (საკრებულოს შემადგენლობიდან) არჩევას ითვალისწინებს. ამ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების წინ "რესპუბლიკელებმა", "მემარჯვენეებმა" და "კონსერვატორებმა" ბევრი კი იდავეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. სიტუაცია არც რიგგარეშე სესიაზე შეიცვლება. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქებარი სიტყვები არ დაიშურა გიგა ბოკერიასა და მიხეილ მაჭავარიანის მიერ მომზადებული პროექტის მიმართ, სავარაუდოა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა არანაირ კომპრომისზე არ წავა და ამ კვირაში კანონპროექტის საბოლოო მიღებით შეეცდება, მისთვის წამგებიანი დებატები დროში აღარ გაწელოს.

რიგგარეშე სესიაზე საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ე.წ "ოტსტუპნიკების" საკითხიც. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ვიცე-სპიკერი

გაგრძელება A2 გვერდზე

# ლუჟკოვი სამხედრო-საველე ინვენტარით ეხმარება კოკოითს

*სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი "სამუშაო ვიზიტით" მოსკოვში იმყოფება. გუშინ მან პრესკონფერენცია გამართა და ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკვანძო საკითხებს შეეხო. ბრიფინგმა ჩვეულ რიტმში ჩაიარა, ისმოდა ბრალდებები საქართველოს ხელისუფლების მიმართ და იყო მადლობები რუსეთისადმი. თუმცა, იყო ერთი, ყველაზე სასაცილო განცხადებაც: "საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგა. ანუ დემოკრატიის ინსტიტუტები იქ არ არსებობს," – თქვა დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერმა.*

ნინო ბომართელი

რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი პირველად საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თემას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ბაზების გაყვანის კვალდაკვალ, თბილისი შეეცდება, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანასაც მიაღწიოს.

**"საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა მიზანი – რუსული ბაზები. ახლა ეს მიზანი რუსული სამშვიდობო ძალებია. აი, დასავლეთის მხარდაჭერის მოსურნე საქართველოს ხელისუფლების მორიგი მისწრაფება,"** – აღნიშნა მან.

კოკოითი რუსეთს მთელ კავკასიაში სტაბილურობის გარანტად მოიხსენიებს და მაგალითად მოჰყავს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონებში განლაგებული სამშვიდობო ძალების შემაკავებელი როლი. თუმცა, იგი საკუთარ შეიარაღებულ ძალებზეც დიდ იმედს ამყარებს.

**"საქართველოში ზოგიერთ "ქორს" იმედი უნდა გავუცრუო. ბოლო დროს, ჩვენ საკუთარი შეიარაღებული ძალები უკეთ მოვამზადეთ,"** – ამბობს არაღიარებული რესპუბლიკის ლიდერი.

ამასთან, კოკოითი იმასაც აღნიშნავს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების იმედი აქვს და თბილისს ურჩევს, თავი დაანებოს საომარ რიტორიკას და გადავიდეს შენებაზე, მოლაპარაკებებზე, რომლებიც ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობებისკენ იქნება მიმართული.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ასევე მოუწოდებს რუსეთს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მკაცრ კონტროლზე აიყვანონ საქართველოს ორი პორტი - ფოთი და ბათუმი, სადაც მისი განცხადებით, **"შემოდის შეიარაღება და ტექნიკა, რომელიც კავკასიის ხალხების წინააღმდეგ არის მიმართული."**

კიდევ ერთი თემა, რომელსაც ედუარდ კოკოითი მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე შეეხო, იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე ბათუმში, ივლისის დასაწყისში დაგეგმილი კონფერენცია. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადებით, მისი მხარე აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობას არ მიიღებს. მიზეზი - **"ეს მორიგი პიარკამპანიაა, რაც დასავლელ სპონსორებზეა გათვლილი."**

ამასთან, კოკოითის აზრით, თბილისი ამაოდ ამაყობს იმით, რომ აჭარის ავტონომიის საკუთარ იურისდიქციაში დაბრუნება შეძლო, რადგან აშკარაა, რომ **"საქართველოში არანაირი დემოკრატია და აჭარის ავტონომია არ არის."**

ფორუმში არც სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

**"მაშინ, როდესაც საუბარია ერის თვითგამორკვევაზე და მიზანზე, რომელსაც ის საკუთარ თავს უყენებს – გაერთიანდეს ჩრდილოეთ ოსეთთან და რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს, ფორუმში მონაწილეობაზე უარის თქმა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ერთიანობის მაჩვენებელი იქნება,"** – თქვა მან.

კოკოითმა ისაუბრა რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში გამართულ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზეც და აღნიშნა, რომ ქართული მხარე მოუმზადებელი იყო. კოკოითის განცხადებით, ქართული მხარე სხდომის ჩაშლას ცდილობდა, რადგან მოლაპარაკებებზე გამოგზავნა ისეთი პიროვნება, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა, წარმოდგენაც არ ჰქონდა იმ პროექტზე, რომლის ხელმოწერაც იგეგმებოდა რუსეთის, სამხრეთ ოსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის.

ედუარდ კოკოითი ქართულ მხარეს სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრის გამართვას სთავაზობს. **"დანაშაულს და კრიმინალს ერთად უნდა ვებრძოლოთ, რადგან მან არ იცის ეროვნება,"** – აღნიშნავს იგი.

და კიდევ ერთი, მოსკოვში, არაღიარებული რესპუბლიკების ხელმძღვანელების მიერ გამართული პრესკონფერენციების აუცილებელი ატრიბუტი – მადლობა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას. სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის დახმარებას სამხრეთ ოსეთის დანგრეული მეურნეობის აღდგენასთან დაკავშირებით.

**"მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობა ასეთ პრობლემებს გვერდს არასდროს უვლის. მით უფრო, როდესაც საუბარია რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე, რომლებიც რუსეთის ტერიტორიის მიღმა ცხოვრობენ,"** – აღნიშნავს იგი.

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გუშინ განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ გოგა ხაინდრავა შეშფოთებულია მოსკოვის მერის ინიციატივით 25 ივნისს, სამხრეთ ოსეთისათვის გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთის გამო, რომლის **"შემადგენლობაც სცილდება ჰუმანიტარულ დანიშნულებას."**

**"სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ მოსკოვის მთავრობა და პირადად ლუჟკოვი მიზნად ისახავს ვითარების დაძაბვის ახალი ფაქტორის შექმნას კონფლიქტის ზონაში,"** - ნათქვამია განცხადებაში.

ცხინვალის მოსახლეობას არ სჭირდება საველე კარვები, სასადილოები, სპეციალური დანიშნულების ტანსაცმელი და ავტომობილები; ხოლო ტვირთის საერთო ღირებულებიდან (დაახლოებით, 3 მლნ ლარიდან) 2 მლნ ლარი სწორედ ამგვარ "ჰუმანიტარულ" დახმარებას წარმოადგენს.

აპარატის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ჰუმანიტარულ აქციებს ყოველთვის მხარს უჭერს, თუმცა **"ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს როგორც საქართველოს, ისე რუსეთისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევასთან, რაც დაკავშირებულია საზღვრის უკანონო გადმოკვეთასთან,"** - ნათქვამია განცხადებაში.

25 ივნისს ჰუმანიტარული ტვირთის სამხრეთ ოსეთში გამოგზავნის ცერემონიალს, მოსკოვის მერთან იური ლუჟკოვთან ერთად, მოსკოვში სამუშაო ვიზიტით მყოფი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითიც დაესწრო.


შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).

dato.gogichaishvili@aec.ge



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:

98-57-81


# რესპუბლიკელთა სერიოზული ამბიციები

პირველი გვერდიდან

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული პარტიის 240-ზე მეტი დელეგატი ოთხსაათნახევრის განმავლობაში ყურადღებით ისმენდა პარტიული ელიტის გამოსვლებს.

როგორც გუშინ ერთ-ერთმა უხუცესმა რესპუბლიკელმა ლევან ბერძენიშვილმა იხუმრა, ბერძენიშვილების კლანმა გზა უსუფაშვილების კლანს დაუთმო. **"ბერძენიშვილების კლანი დღეს ბედნიერია... ამ კაცის ხელში სულ სხვა ძალა და სულ სხვა პარტია ვიქნებით. ჩვენ ვართ ნამდვილი პარტია, რომელსაც აქვს მომავალი და ამავე დროს აქვს ისტორია,"** – აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

თავად ახლად არჩეული თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ რესპუბლიკურ პარტიაში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებია გასატარებელი. **"შეიცვლება ერთადერთი რამ: რესპუბლიკური პარტია გახდება უფრო ძლიერი, უფრო მობილური და ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი პოლიტიკურ პოტენციალად გარდაიქმნება. ჩვენ სერიოზული პოლიტიკური ამბიციები გვაქვს,"** – განაცხადა დავით უსუფაშვილმა, რომელიც მზადაა, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში **"თავისი წილი პასუხისმგებლობა იკისროს"**.

ხელისუფლებასთან რესპუბლიკელები კონსტრუქციულ თანამშრომლობას გეგმავენ. **"ჩვენ წარმატებულ ხელისუფლებასთან ჭიდილისთვის ვართ მზად და არა ბეჭებზე დაგდებულ ხელისუფლებასთან... ჩვენ გვინდა, კარგ ხელისუფლებაზე უკეთესები ვიყოთ,"** – აღნიშნავდა უსუფაშვილი.

რესპუბლიკელების ახალი თავმჯდომარე აცხადებს, რომ მისი პარტია მზად არის, აიტაცოს ის იდეალები, რომელთა გამოც ხალხმა "ვარდების რევოლუცია" მოახდინა და რომელთა დევალვაცია დღევანდელმა ხელისუფლებამ უკვე მოახერხა. **"კანონის უზენაესობა, კონსტიტუციური წესრიგი, ადამიანის უფლებები... ჩვენ მზად ვართ, კვლავ დავუბრუნოთ მომხიბვლელობა ამ ტერმინებს,"** – აღნიშნა უსუფაშვილმა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე პირობას დებს, რომ პარტიაში დიქტატი არ იქნება, თუმცა დისციპლინასთან შეგუება რესპუბლიკელებს ნამდვილად მოუწევთ. ქართული პოლიტიკოსთვის უჩვეულო დისციპლინა რესპუბლიკელთა ახალმა ლიდერმა გუშინდელ ყრილობაზევე გამოამჟღავნა: ყრილობა ზუსტად დანიშნულ დროს - ორ საათზე დაიწყო და ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს - შვიდის ნახევარზე დასრულდა.





*"გპირდებით, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეობას დავასრულებ ისე, რომ ეს სამი კაცი - მე, დავით ბერძენიშვილი და ივლიანე ხაინდრავა ვიქნებით ერთად." - გუშინდელი ყრილობა დავით უსუფაშვილმა სწორედ ამ სიტყვებით დაასრულა.*

რესპუბლიკური პარტიის ყრილობის დელეგატებმა გუშინ ხმათა უმრავლესობით პარტიის ბოლო ოთხი წლის მუშაობა დადებითად შეაფასეს. ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი წარდგა, რომელმაც დაარსებიდან – 1978 წლის 21 მაისიდან დღემდე პარტიის მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა.

**"ამ ყრილობის შემდეგ ჩვენი ამოცანა იქნება ის, რომ ქართული პოლიტიკური ცხოვრება რესპუბლიკური პარტიის, როგორც წამყვანი პოლიტიკური სუბიექტის, გარეშე წარმოუდგენელი იყოს. ასე გავატარეთ გასული 27 წელი და ასევე განვაგრძობთ მომავალში,"** - განაცხადა საფირმო ლოზუნგის - "საქართველო შევარდნაძის გარეშე" - ავტორმა.

ყრილობაზე პარტიის ცამეტკაციანი ეროვნული კომიტეტი აირჩიეს, რომელშიც შედიან დავით უსუფაშვილი, ივლიანე ხაინდრავა, ლევან და დავით ბერძენიშვილები, გურამ ბერიშვილი, თემურ ნერგაძე, ფრიდონ საყვარელიძე, მურმან დუმბაძე, პაატა ზაქარეიშვილი, თინა ხიდაშელი და ზურაბ მარაქველიძე. აქვეა ორი ახალი სახე - ლიტვაში მოღვაწე ბიზნესმენი, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელაშვილი და უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მოადგილე, ამჟამად პარლამენტარი ლაშა ნაცვლიშვილი.

გუშინვე რესპუბლიკელებმა საკუთარ წესდებაში მცირე კორექტივები შეიტანეს და პოლიტიკური პლატფორმის ძირითადი შტრიხები მიმოიხილეს.

მმართველობის დეცენტრალიზაცია და რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება; ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის რეფორმა რეგიონალიზმის საფუძველზე; საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია; ლიცენზიების რიცხვის შემცირება და მათი მიღების წესის გამარტივება; სასამართლო სისტემის, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირეული რეფორმა; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვა; სახელმწიფოებრივი მოწყობის საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადაყვანა – ეს ის ძირითადი პრინციპებია, რომლებიც რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურ პლატფორმას წარმოადგენს.

რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ამ პრინციპების ამუშავების შემდეგ გახდება შესაძლებელი კონფლიქტების მოგვარება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაცია საქართველოში.

ვალერი გელაშვილისა და ლაშა ნაცვლიშვილის საკუთარ რიგებში გაწევრიანებით, რესპუბლიკური პარტია, გარკვეულ ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, პარლამენტში კიდევ ორ მანდატს მოიპოვებს და ექვსკაციან საპარლამენტო გუნდად ჩამოყალიბდება. სექტემბრისთვის რესპუბლიკელები კიდევ აპირებენ გაფართოებას.

საპარლამენტო კულუარებში გავრცელებული ხმების მიხედვით, რესპუბლიკური პარტიის რიგების შევსებას ზურაბ ჟვანიას საპარლამენტო გუნდის წევრები აპირებენ. აღნიშნულ ინფორმაციას არავინ ადასტურებს. ინტელიგენციის მხარდაჭერაზე გათვლილი ჟვანიას "გაერთიანებული დემოკრატების" ნიშა დღეს მართლაც თავისუფალია, ხოლო თუ ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის საჯარო გამოსვლებსა და განწყობას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი ხდება, რომ ამგვარი ნიშა დღეს ქვეყანაში საჭიროა.

ბუნებრივია, ეს რესპუბლიკელებსაც ესმით. სწორედ ამიტომაც "შერატონ მეტეხი პალასის" საკონფერენციო დარბაზი გუშინ სავსე იყო საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი სახეებით, არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოური ფონდებისა და მასმედიის წარმომადგენლებით, რომლებიც ყრილობას პარტიის მხარდამჭერთა სტატუსით ესწრებოდნენ.

რესპუბლიკელების წარმატებები გუშინ "ახლების" და "კონსერვატორების" წარმომადგენლებმაც გაიზიარეს. ოპოზიციის გაერთიანებაზე ჯერჯერობით არავინ საუბროს, თუმცა ყველა ერთხმად აცხადებს, რომ რესპუბლიკელებთან თანამშრომლობა სასიამოვნოა და ამ პარტიის გაძლიერება ქართულ პოლიტიკურ სივრცეს ნამდვილად გამოაცოცხლებს. **"მივესალმები რესპუბლიკელების ყრილობას და მათგან მეტ აქტიურობას მოველი. დიდი იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია პარლამენტსა და მის გარეთ გააქტიურდება,"** – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

ცნობისათვის, რესპუბლიკური პარტიის ყოფილი წევრები დღეს ხელისუფლებაშიც მრავლად არიან და ოპოზიციაშიც. ზურაბ ნოღაიდელი, ირაკლი ოქრუაშვილი, ელენე თევდორაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, კობა დავითაშვილი – ესენი ადრე სწორედ რესპუბლიკელთა რიგებში იყვნენ.

# პარლამენტის "ბოლო გაბრძოლება"

პირველი გვერდიდან

მიხეილ მაჭავარიანი იმ საფრთხეზე საუბრობდა, რომელიც პრობლემის მოუგვარებლობას შეიძლება მოჰყვეს.

**"თუ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, ბინის მეპატრონეებსა და მოსარგებლეებს შორის ომი დაიწყება,"** - გააფრთხილა კოლეგები პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ და მათ პირადი ინტერესებისა თუ ამბიციების გვერდზე გადადებისკენ მოუწოდა. ვიცე-სპიკერი ლობისტ დეპუტატებს შეახსენებს, რომ 1 ივლისს იწურება მორატორიუმი, რომელიც სასამართლოებს ბინათსარგებლობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის საკითხში დაუწესდათ...

ბიუროს სხდომაზე 25 ივნისს წალკის რაიონში მომხდარი ინციდენტის გარემოებებიც "გაარჩიეს". "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელს მანანა ნაჭყებიას პოზიცია უკვე ჩამოყალიბებული აქვს. იგი საუბრობს "მთვრალ", "გათავხედებულ" სპეცრაზმელებზე, რომლებმაც, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლე დაჭრეს, მის (ნაჭყებიას) თანაფრაქციელს, წალკის მაჟორიტარ დეპუტატს ჰაიკ მელტონიანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ოპოზიციონერი ქალბატონის ასეთი განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ძალიან აღიზიანებთ. ისინი ნაჭყებიას ურჩევენ, ინციდენტის დეტალების გარკვევამდე, სპეცრაზმელების ქმედების კრიტიკული შეფასებებისგან თავი შეიკავოს. რაც შეეხება ჰაიკ მელტონიანის ფიზიკურ შეურაცხყოფას, სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა მტკიცებით, ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

**"სპეცრაზმელებმა დეპუტატი მოვლენების ეპიცენტრიდან, უბრალოდ, განზე გაწიეს და გვერდზე გაიყვანეს,"** - აცხადებენ "ნაციონალი" პარლამენტარები, რომლებიც იმასაც შეახსენებენ "მემარჯვენე ოპოზიციას", რომ ეთნიკური შუღლის გაღვივებისკენ მოწოდება (სავარაუდოდ, მელტონიანის მხრიდან) კანონით ისჯება.



*"თუ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, ბინის მეპატრონეებსა და მოსარგებლეებს შორის ომი დაიწყება," - გააფრთხილა კოლეგები მიხეილ მაჭავარიანმა.*

პარლამენტის ბიუროს წევრებს, სხვა ყველაფერთან ერთად, დედაქალაქში შექმნილი კრიმინოგენული მდგომარეობაც აწუხებთ. ეს პრობლემა მით უფრო მტკივნეული ხდება, როდესაც მის რეალობას პირადად შეიგრძნობ - დეპუტატი ბესო ჯუღელი წუხს, რომ ბოლო პერიოდში მისი რამდენიმე ნათესავი დააყაჩაღეს. შეშფოთებას გამოთქვამს ელენე თევდორაძეც, რომლის აზრითაც, კრიმინოგენული ვითარება თბილისში გაცილებით მწვავეა, ვიდრე ეს შსს-ს ოფიციალურ სტატისტიკაშია ასახული. დეპუტატების თქმით, საქართველოს დედაქალაქში პირდაპირ ნადირობენ მობილურ ტელეფონებზე, რაც მრავალი მოქალაქის დაჭრით ან ტრავმირებით მთავრდება.

ძალოვანი სტრუქტურების კრიტიკა არ სიამოვნებს დეპუტატ დავით კირკიტაძეს, რომელიც თანაფრაქციელების "უმადურება" აკვირვებს.

**"ადამიანის (დავით ტატიშვილის) გატაცების მცდელობა რომ შვიდ წუთში აღიკვეთა, ამაზე რატომ არაფერს ამბობთ?"** - ვანო მერაბიშვილის უწყებას "სიკეთეს არ უკარგავს" პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ "ჩვენი დროის გმირად" მონათლული პარლამენტარი...

რიგგარეშე სესიის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ვინაიდან ის ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში მიემგზავრება. **"ჯერ არა ვარ იმ რანგის პოლიტიკოსი, რომ საერთაშორისო ფორუმების ჩატარების დრო ჩემი საპარლამენტო მუშაობის გრაფიკს შეუსაბამონ. თუმცა, ალბათ, ეს დროც მოვა,"** - ჩინეთიდან საქართველოზე "გავლით" ამერიკაში მიმავალი სპიკერი, როგორც ჩანს, მიიჩნევს, რომ თავისი პოლიტიკური კარიერის პიკისთვის ჯერ არ მიუღწევია.

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძე აშშ-ში

ნინო ბურჯანაძე ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს თეთრ სახლში, კონგრესში, პენტაგონში, მსოფლიო ბანკსა და აშშ-ს განვითარების სააგენტოში. შეხვედრები იგეგმება კონდოლიზა რაისთან, კოლინ პაუელთან, მადლენ ოლბრაიტთან, სტივენ ჰედლისთან, ალსი ჰასტინგთან, რიჩარდ ლუგართან, მეტიუ ბრაიზთან, ბრიუს ჯექსონთან და სხვა პირებთან. ბურჯანაძე ასევე შეხვდება ნატოს წევრი ქვეყნების ელჩებს და პოლიტოლოგ ზბიგნევ ბჟეზინსკის.

ხვალ პარლამენტის თავმჯდომარე მოხსენებით გამოვა "კარნეგი ჰოლში", ამავე დღეს ის ინტერვიუს მისცემს "ვაშინგტონ პოსტს", "ვაშინგტონ თაიმსს" და სხვა პოპულარულ გამოცემებს.

ვაშინგტონში გაიმართება ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მორიგი სხდომა, რომელსაც ნინო ბურჯანაძე ეუთოს ვიცე-პრეზიდენტის რანგში დაესწრება.

ბურჯანაძე თავის გამოსვლაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე ისაუბრებს და იმ ჯგუფის მუშაობის მანდატის გაფართოებასა და შემადგენლობის გადასინჯვას მოითხოვს, რომელიც 4 წლის წინ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე შეიქმნა. ჯგუფი საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა, მაგრამ, აფხაზმა სეპარატისტებმა ის სოხუმში არ შეუშვეს.

ბურჯანაძის აზრით, ჯგუფის მუშაობა ეფექტური უნდა გახდეს და რუსეთის მხარემ მედიატორის როლი უნდა შეასრულოს.

ნინო ბურჯანაძე თავის გამოსვლაში ეუთოს მოუწოდებს, რომ გალის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვის ერთობლივი ბიურო გახსნას. **მედიანიუსი**

### რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებზე გალში იმსჯელებენ

აფხაზეთის გავლით რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებზე რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამმხრივი სამთავრობო კომისიის წევრები პირველ ივლისს გალში იმსჯელებენ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, აფხაზური მხრიდან სოჭის შეთანხმების შესაბამისად მოქმედი რკინიგზის აღდგენის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის ხელმძღვანელის ლეონიდ ლაკერბაიას ინფორმაციით, გალის შეხვედრაზე მხარეები ფსოუ-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის მდგომარეობის შემსწავლელ სპეციალისტთა ერთობლივი ჯგუფების უსაფრთხოებისა და ამავე მონაკვეთის დეტალურად შესწავლის კონკრეტულ გეგმას განიხილავენ.

მისივე თქმით, სავარაუდოდ გალის შეხვედრაზე მხარეები სარკინიგზო მონაკვეთზე სამუშაოების ჩატარების ვადებზე და პირობებზე შეთანხმდებიან.

ლაკერბაიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური მხრიდან რკინიგზის აღდგენის სამთავრობო კომისიას სწორედ იგი ხელმძღვანელობს, გალის შეხვედრაზე აფხაზური მხარის ხელმძღვანელის საკითხი მას შემდეგ გადაწყდება, რაც საქართველოს მხრიდან სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელის ვინაობა გაირკვევა.

მისივე თქმით, სოხუმის ხელისუფლება სრულად იზიარებს რუსეთის რკინიგზელთა წინასწარ შეფასებებს სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენისთვის 100 მილიონი აშშ დოლარის საჭიროების თაობაზე.

ლაკერბაიას მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთი რეალურად ფუნქციონირებს და მისი აღდგენისთვის რუსმა და აფხაზმა რკინიგზელებმა საკმაოდ დიდი მოცულობის სარემონტო სამუშაოები ჩაატარეს, აღნიშნული მონაკვეთი ტვირთების გადაზიდვისთვის ჯერ მოუმზადებელია და იქ სერიოზული სარემონტო სამუშაოების ჩატარება ისევე აუცილებელი იქნება, როგორც სოხუმი-ოჩამჩირისა და ოჩამჩირე-გალი-ინგირის მონაკვეთზე. **ინტერპრესნიუსი**

### იგორ გიორგაძე საქართველოში დაბრუნებისთვის ემზადება

უშიშროების სამინისტროს ექს-შეფი, ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძე საქართველოში დაბრუნებისთვის, მისი პოლიტიკური პარტია "სამართლიანობა" კი ხელისუფლებაში მოსვლისთვის ემზადება.

პარტია "სამართლიანობის" წარმომადგენლები ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით ქუჩაში გამოსვლას და საპროტესტო აქციების ჩატარებას გეგმავენ. ამის შესახებ გუშინ პარტია "სამართლიანობის" მესამე, რიგგარეშე ყრილობაზე განაცხადეს, რომელიც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ამ წუთებშიც მიმდინარეობს. პარტიის ყრილობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 2300 დელეგატი ესწრება.

გუშინვე, ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია და მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის სახელზე, რომელშიც კონკრეტული მოთხოვნებია წამოყენებული. კერძოდ, "სამართლიანობა" გიორგაძისთვის საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე ტერაქტის ორგანიზების ბრალდების მოხსნას და მისთვის საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობის მიცემას მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა

პირველი გვერდიდან

კომისია, რომელსაც თავად პრეზიდენტი ჩაუდგა სათავეში. ამ კომისიის ცალკეული წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის ჩამოყალიბებულია შესაბამისი ხედვები და გეგმები, რომლებიც ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენას საჭიროებენ. ამ ფონზე, ვფიქრობთ, ნაჩქარევია ხელისუფლების მხრიდან ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო წინადადებების სახით ეპიზოდური გადაწყვეტილებების მიღება.

რაც შეეხება უშუალოდ თბილისის მერის არჩევის პრინციპს, ამ მხრივ არგუმენტები შეიძლება როგორც პირდაპირ ისე არაპირდაპირი არჩევნების სასარგებლოდ იყოს. ვფიქრობთ, საჭიროა ხელისუფლებამ სისტემურად განიხილოს ქვეყნის მმართველობითი რგოლების სტრუქტურა, მოისმინოს აღნიშნულ საკითხზე როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტების აზრი, გამართოს საჯარო დებატები, რათა არ დაიკლოს საკმარისად სტრატეგიული გადაწყვეტილებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ხარისხმა და საბოლოო გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი კონსენსუსის ხასიათი ჰქონდეს, რაც ხელისუფლების მხრიდან მონაწილეობითი დემოკრატიის უზენაესობის კიდევ ერთხელ აღიარების გამოხატულება იქნებოდა.

დემოკრატიის განვითარებით დაინტერესებული ყველა ადგილობრივი, მათ შორის სახელისუფლო, თუ საერთაშორისო ექსპერტი საჭიროდ თვლის მრავალპარტიულობის, პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერებას საქართველოში. მაგრამ საკრებულოს არჩევის მსგავსი წესი ნაკლებად უტოვებს რაიმე შანსს ოპოზიციურ პარტიებს. თუ ვინმეს ეს მხოლოდ ამ პარტიების პრობლემა ჰგონია, ცდება, რადგან პარტიათა უმრავლესობის ქუჩაში დარჩენა არა მხოლოდ მათთვის, არამედ საზოგადოების სტაბილური განვითარებისათვისაა წამგებიანი.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ ის ნაჩქარევი, არამონაწილეობითი ფორმა, რომელიც ახასიათებდა მოცემული ცვლილებების განხილვას, იმ პროცესების გაგრძელებაა, რასაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირების დროს ჰქონდა ადგილი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას თავის დროზე მიეცა შანსი, ეთანამშრომლა ხელისუფლებასთან საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესის დადგენაზე. შესაბამისად, ხელისუფლება აცხადებდა და აცხადებს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია დემოკრატიული პროცესების შედეგად შეიქმნა. პოლიტიკოსებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირების წესის დადგენის დროს, მათ გაითვალისწინეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოსაზრებები. მაგრამ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ წინადადებებსა და მიღებულ ცვლილებებს შორის არსებულ სხვაობაზე ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია დასკვნისათვის, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრინციპული მოსაზრებები არ ყოფილა გათვალისწინებული.

დღესდღეობით, ცენტრალური საარჩევნო კომისია და ხელისუფლება დგანან დემოკრატიული პრინციპების ერთგულების ახალი გამოცდის წინაშე და საზოგადოება მთელი ყურადღებით ადევნებს თვალყურს, თუ როგორ ჩააბარებს იგი ამ გამოცდას. ჩვენ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვალდებულნი ვართ გითხრათ, რომ ჯერჯერობით, თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული მოვლენები შეიცავს საშიშ სიმპტომებს, რომელთა განვითარება მთელი საზოგადოებისათვის იქნება ზიანის მომტანი. საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის გამარჯვება მხოლოდ ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეთა კომპრომისული ნაბიჯებითაა შესაძლებელი.

დღეს კი პოლიტიკურ ძალებს შორის წინააღმდეგობის ფონზე, როცა, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან, მრავლად არიან საზოგადოებრივი სექტორის ყოფილი წარმომადგენლები, ვიტოვებთ იმედს, რომ დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებლური პრინციპები - მონაწილეობა, შემწყნარებლობა და გამჭვირვალობა დავიწყებას არ მიეცემა.

*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;*
*საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;*
*სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი;*
*სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო";*
*საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა;*
*სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;*
*მოძრაობა " ახალი თაობა ახალი ინიციატივა";*
*ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" საჯარო ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა;*
*სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი;*
*საქართველოს გაეროს ასოციაცია.*

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
„მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
ყოველ ორშაბათს 11-იდან 12 საათამდე რადიო-მოგზაურთა კლუბი, პროექტი „ჰარმონია"-სა და აშშ-ის საელჩოს დახმარებით შეგახვედრებთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის მონაწილეებს



ამერიკაში ზოგჯერ ტორნადოც კი უსაფრთხოა

| | |
|---|---|
| წამყვანები | გაგა გობრონიძე, ნინო ჯახუა<br>სტუმრები: ანი ლაღიძე-ტაგის არტს-მსოფლიო კულტურული ინტეგრაცია დამფუძნებელი და დირექტორი<br>ლაშა ბერაია: გამომცემლობა ლოგოს პრესის დამფუძნებელი და დირექტორი |
| ანი ლაღიძე: | ამერიკიდან მე „წამოვიღე" სისტემა, კულტურა იმისა თუ როგორი უნდა იყოს გალერისტი. ამერიკა ჩემთვის არის თავისუფლების ზარი, ჯეფერსონის დეკლარაცია, პროგრესულობა და ფილანტროპია - რისი კულტურაც სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს. „ტორნადოსთვის" მასპინძლებმა ისე მოგვამზადეს და აღგვჭურვეს რომ თავად მათი შიში სტიქიის მიმართ საერთოდ გადამეტებული მოგვეჩვენა. |
| ლაშა ბერაია: | ამერიკული ოჯახის მოტივი უმასპინძლოს უცხოელებს მარტივია: ეს არის რწმენა, იმისა რომ შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ როგორც საზოგადოების განვითარებაში, ასევე დაეხმარონ ამავე საკითხში უცხოელებსაც. ამერიკაში ჩვეულებრივი ამბავია მანიფესტაციები მთავრობის საწინააღმდეგოდ, ჩვენც მაშინ ვცხოვრებთ თავისუფალ და კარგ ქვეყანაში როცა თავისუფალი აზრის გამოთქმის არავის შეეშინდება. |

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):
დროის წამობრივი აღრიცხვა
აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)
მხოლოდ 30თ.
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
8-10
ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ისევ - „გადადექი!"

პირველი გვერდიდან

"საუნივერსიტეტო დარბაზი" საქართველოს პრეზიდენტის იმ ბრძანებულების წინააღმდეგ გამოვიდა, რომლის საფუძველზე უნივერსიტეტში გაუქმდა დიდი სამეცნიერო საბჭო და ერთპიროვნული მართვის უფლება რექტორს მიენიჭა. რუსუდან ლორთქიფანიძეს "დარბაზმა" უამრავი კითხვა დაუსვა და მათზე ამომწურავი პასუხი მოითხოვა, თუმცა, შემდეგ პასუხის მოსმენა ოპოზიციურად განწყობილმა ლექტორებმა თავად აღარ მოისურვეს.

"დარბაზმა" კატეგორიულად მოითხოვა პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმება, განათლების რეფორმის დროებით შეჩერება, 800 მეცნიერი თანამშრომლის უკან, უნივერსიტეტში დაბრუნება და საბაზისო დაფინანსების უკლებლივ შენარჩუნება.

**"თქვენ, ქალბატონო რუსუდან, არანაირი მორალური უფლება არ გაქვთ, იყოთ უნივერსიტეტის რექტორი. თქვენ არ იცნობთ მას და თქვენ შემთხვევით მოხვდით მის კედლებში, რადგან ეს ვიღაცის ინტერესებში შედიოდა,"** - კატეგორიულად განაცხადა პროფესორმა ზურაბ სარიამ, რომლის აზრით, "რეფორმას ამოფარებული გეგმები" უნივერსიტეტის განადგურებას და "კოლეჯად გადაქცევას" ემსახურება. **"ჯერ კიდევ დეკემბერში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კახა ლომაიას ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტს ჩამოაშორეს სამეცნიერო სექტორი და აქ მხოლოდ სასწავლო ნაწილი დატოვეს. ეს მეცნიერები რაღაც გაურკვეველ, განათლების დეპარტამენტს შეუერთეს,** – განაცხადა სარიამ, - **დღეს კი, ერთი ხელისმოსმით, ქუჩაში გაყარეს ამდენი ღირსეული პიროვნება. ამ ადამიანებმა ყოვლად სამარცხვინოდ, ხელფასის სალაროსთან გაიგეს, რომ მოხსნილი იყვნენ თანამდებობებიდან."**

**"ამ თანამდებობაზე არავის აურჩევიხართ და თქვენ უნდა დატოვოთ უნივერსიტეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით, გამოგიცხადოთ დაუმორჩილებლობა და საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადოთ უნივერსიტეტში, ჩვენ კი უამრავი თანამოქალაქე შემოგვიერთდება,"** – გაახმაურა "დარბაზის" წევრთა აზრი ზურაბ სარიამ.

"საუნივერსიტეტო დარბაზის" წევრებმა გადაწყვიტეს, კიდევ ერთხელ მიმართონ წერილობით საქართველოს პრეზიდენტს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და ბრძანების გაუქმება მოსთხოვონ. თუმცა, ფიქრობენ, რომ ცდა არანაირ შედეგს არ გამოიღებს და მათი მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩება.



ინტერპრესნიუსი

*უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები რექტორს დაუმორჩილებლობით ემუქრებიან.*

აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე უნივერსიტეტში შექმნილ მდგომარეობას ხელისუფლების გლობალურ მიზნებს უკავშირებს: **"ხელისუფლებას უფრო ბინძური მიზნები ამოძრავებს მთელი ერის წინააღმდეგ, და ბრძოლა მისთვის სათაყვანებელი კერიდან დაიწყო. მისი** (ხელისუფლების-ავტ.) **განმარტებით, ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყნების სიაში შედის. ამიტომ სრულიად მიუღებელია ამ სტატუსის ქვეყანას გააჩნდეს ასეთი დონის სამეცნიერო-საგანმანათლებლო უნივერსიტეტი, ისტორია და კულტურა. ქვეყნის ასეთი სტატუსი კი ხელისუფლების ინტერესებში შედის და ეს ბევრ ფულთან და გრანტთან ასოცირდება. ამ მიზანს ემსახურება უნივერსიტეტის დაყვანა სასწავლო რანგში და ფაკულტეტების გამსხვილება, ერთხელ და სამუდამოდ მისთვის ავტონომიის მოსპობა. რაც მთავარია, ყველაფერი სიცრუეზე და სიყალბეზეა აგებული."**

"დარბაზის" წევრებმა რუსუდან ლორთქიფანიძეს მათ მიერვე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა არ აცალეს და დარბაზიდან "გადადექის" შეძახილით გააცილეს.

რექტორმა საპასუხო განცხადების გაკეთება დარბაზის დატოვების შემდეგ შეძლო და განაცხადა, რომ ის თანამდებობიდან არ გადადგებოდა: **"პირიქით, მე განვაგრძობ აქტიურ საქმიანობას რექტორის რანგში და მიმაჩნია, რომ რეფორმა დროული კი არა, დაგვიანებულიც კი არის. რეფორმა პირდაპირ ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებლების ატესტაციის პროცესს და შესაბამის რანგში გადაყვანას. გამორიცხული არ არის ისიც, რომ მათ ნაწილს კიდევ მოუწიოს უნივერსიტეტიდან წასვლა, რადგან გაუმართლებელია 21-ათასიან სასწავლებელში 5100 თანამშრომელი ასწავლიდეს. რაც შეეხება იმ 800 მეცნიერს, მათ, უბრალოდ, ვერ მოიპოვეს სამეცნიერო გრანტები. თქვენ იცით, რომ მეცნიერული თემების წარდგენის შემდეგ ვიღებთ შესაბამის გრანტებს და ეს პროცესი ნოემბერში განმეორდება. განათლების სამინისტროსთან ერთად ყველანაირად ვცდილობთ, რომ როგორმე შევინარჩუნოთ საბაზისო დაფინანსება და მომავალში, სოციალური პირობების გაუმჯობესებაზეც ვიზრუნოთ."**

"საუნივერსიტეტო დარბაზის" წევრებს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში უკვე შეტანილი აქვთ და სასამართლო პროცესის მოგებასაც იმედოვნებენ. მანამდე კი პერმანენტული აქციებით იმუქრებიან და უკან დახევას არ აპირებენ.

# პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესები მკაცრდება

პირველი გვერდიდან

მემორანდუმით პარტიები და მედია წინასაარჩევნო დაფინანსების გამჭვირვალობის ვალდებულებას იღებდნენ.

თუმცა, წინასაარჩევნო სიტუაციამ დაადასტურა, რომ არც პარტიები იყვნენ მზად ამ ვალდებულების შესასრულებლად, არც მთავრობა და არც თავად მედია, განსაკუთრებით - ელექტრონული.

შესაბამისად, წარსული გამოცდილების ფონზე, კიდევ უფრო მწვავედ დადგა საკითხი არა მხოლოდ "ნებაყოფლობითი მემორანდუმების" ხელმოწერისა, არამედ - კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების, რომლებიც პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობას რეალურად და ობიექტურად "წააშველებს" ხელს.

ახალი ხელისუფლების პირობებში ამ საქმიანობის კოორდინირება ეროვნული უშიშროების საბჭომ და ექს-ოპოზიციონერმა, თავისდროინდელ განხილვებში ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა პოლიტიკოსმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა აიღეს თავზე. დისკუსიაში "ამოსავალ წერტილად" თავის დროზე ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მომზადებული დოკუმენტები იქცა, რომელმაც გარკვეული ტრანსფორმაცია, ცხადია, განიცადა.

მიხეილ მაჭავარიანი დღეს ამბობს, რომ ამ ეტაპზე კანონპროექტის საბოლოო დეტალები თანხმდება. ერთი კვირის შემდეგ კი სტრასბურგში ხელი მოეწერება მემორანდუმს, რომლითაც ქართული მხარე ამ ცვლილებების მიღების ვალდებულებას აიღებს.

ცვლილებებმა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიების მიმდინარეობისას თანხების მოზიდვის მაქსიმალური გამჭვირვალობა უნდა უზრუნველყოს. ამისათვის ცვლილებების პროექტით საკმაოდ მკაცრი სანქციები წესდება - დიდი ფულადი ჯარიმებით დაწყებული, პოლიტიკური პროცესებისთვის ჩამოშორებით დამთავრებული.

სხვა დეტალებზე კი, მას შემდეგ, რაც კანონპროექტი საბოლოო სახეს მიიღებს და მონიტორინგის ჯგუფში შეთანხმდება, "24 საათი", როგორც აღნიშნული პროცესის უშუალო მონაწილე, უფრო დეტალურად გამცნობთ.

# უპასუხისმგებლო მაჟორიტარები

*"ინფორმირებული მოქალაქეები და ანგარიშვალდებული ხელისუფლება" რიგით მეორე პროექტია, რომელიც არასამთავრობო სექტორმა მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის მონიტორინგს მიუძღვნა. "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" კვალდაკვალ, მაჟორიტართა საქმიანობა უკვე "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ყურადღების ცენტრში მოექცა. ორივე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი პროექტები ერთმანეთს ავსებს, რამაც, წესით, მაჟორიტარებისა და ამომრჩევლების ურთიერთობას ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ პარლამენტში "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. სამწლიანი საპარლამენტო პროექტი ბრიტანეთის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული. როგორც ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, **"პროექტი პარლამენტის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლებასა და საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეების მონაწილეების გაზრდას ემსახურება."**

პროექტის ავტორები აპირებენ პარლამენტსა და რაიონებში მაჟორიტარ დეპუტატთა საქმიანობის მონიტორინგს, მაჟორიტართა უფლებამოსილებებისა და მათთან ურთიერთობის ფორმების შესახებ სამოქალაქო საგანმანათლებლო კამპანიის გამართვას, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას და პარლამენტის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის მოსაზრებების გაზიარებას, რეგიონების ინფორმირებას ახალი კანონებისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ, მაჟორიტართა საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას.

ამავე დროს, ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მარკ მალენის თქმით, ამ პროექტის საშუალებით, "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" სურს, ხელი შეუწყოს რეგიონების აქტიურობის გაზრდას. **"მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მაჟორიტარი დეპუტატები თავად გააცნობენ ამომრჩევლებს საკანონმდებლო სიახლეებსა და ქვეყანაში მიმდინარე ძირითად ცვლილებებს. ამით მაჟორიტარი დეპუტატები აღასრულებენ მათ უმთავრეს მოვალეობას, რაც პარლამენტის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებასა და ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს,"** - განაცხადა გუშინ მარკ მალენმა.

იმის მიუხედავად, რომ პროექტი საკმაოდ აქტუალურია, მის პრეზენტაციას მაჟორიტართა ძალზე მცირე რაოდენობა დაესწრო, რამაც პარლამენტის თავმჯდომარის გაღიზიანებაც კი გამოიწვია.

ჩვენი ინფორმაციით, პროექტის პრეზენტაციაზე უკლებლივ ყველა მაჟორიტარი დეპუტატი იყო მიწვეული, მაგრამ მასზე მხოლოდ ნოდარ გრიგალაშვილი (ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი), გიგი წერეთელი (მთაწმინდის), ნიკო ლეკიშვილი (ამბროლაურის), ზურაბ ბუცხრიკიძე (თერჯოლის), მიხეილ მაჭავარიანი (სამგორის) და თავად პარლამენტის თავმჯდომარე, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი ნინო ბურჯანაძე დაესწრნენ. **"ალბათ, ბევრი მაჟორიტარი ფიქრობს, რომ ძალიან კარგად ასრულებს საკუთარ მოვალეობას და ამ პროექტში მონაწილეობა საჭირო არ არის,"** - განაცხადა მაჟორიტარების ასეთი პასიურობით უკმაყოფილო პარლამენტის თავმჯდომარემ და დასძინა, რომ **"აუცილებელია, პარლამენტის მუშაობა უფრო ეფექტური გახდეს და ეს მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეზე არ არის დამოკიდებული."**

რაც შეეხება მაჟორიტარებს, ყველა დეპუტატმა, ვისაც დავუკავშირდით და ვკითხეთ, თუ რატომ არ დაესწრნენ პრეზენტაციას, დაახლოებით, ერთნაირი პასუხი გაგვცა - რაიონში ვარ და ამომრჩეველს ვხვდებიო.

ერთი სიტყვით, სამწლიანი საპარლამენტო პროექტის მთავარი "კომპონენტი" - მაჟორიტარების კორპუსი, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ხვდება ბრიტანეთის მთავრობისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტს.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითის თემის ცენტრის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის ბორითის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ბორითის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი ბორითი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ჯონი ხაჩიძე**
**ბორითის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 30 ივნისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი ბორითი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ჯონი გორგაძე,**
**ბორითის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 29 ივლისის 2:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **2:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# მერიის ყოფილი თანამშრომლები სამსახურის დაბრუნებას ცდილობენ

*თბილისის მერიიდან და საქალაქო სამსახურებიდან გათავისუფლებული 1700 ადამიანი თბილისის მერს უკანონო გადაწყვეტილებების მიღებაში ადანაშაულებს. მათი თქმით, ზურაბ ჭიაბერაშვილმა მერიის მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია, ცალკეული სამსახურების ლიკვიდაცია და საჯარო მოხელეთა სამსახურიდან მასობრივი დათხოვნა კანონდარღვევით განახორციელა. მათ თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანეს. მოსარჩელეები რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა აქტის ბათილად ცნობას ითხოვენ. სარჩელის განხილვა 29 ივნისს საოლქო სასამართლოში გაიმართება. მერიის სისტემიდან გათავისუფლებული თანამშრომლების უფლებების დაცვაზე კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი იზრუნებს.*

თამარ დვალი

**"საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის 120-ე ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს თბილისის მერიის დებულება. ამ ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულება. აღნიშნული აქტის საფუძველზე განხორციელდა თბილისის მერის მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია, ცალკეული სამსახურების ლიკვიდაცია და საჯარო მოხელეთა სამსახურებიდან მასობრივი დათხოვნა. თბილისის მერს აზრადაც არ მოსვლია, ადმინისტრაციული წარმოების წესით განესაზღვრა აღნიშნული სამსახურების ლიკვიდაციის მიზანშეწონილობა,"** – აღნიშნა კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის ადვოკატმა კობა ბოჭორიშვილმა. მისივე თქმით, ჭიაბერაშვილმა სამსახურიდან გაათავისუფლა მერიის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები, მათ შორის - დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ქალბატონები, ოჯახში ერთადერთი შემომტანი ადამიანები, მარტოხელა დედები, შესაბამისი სტაჟისა და კვალიფიკაციის მქონე მუშაკები.

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრში მიიჩნევენ, რომ მერიაში ლიკვიდაციის პროცესი რეალურად არ განხორციელებულა, არამედ მოხდა საქალაქო სამსახურების საქმიანობის შერწყმა - გაერთიანება. სამსახურების ლიკვიდაციის ფორმა და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები კი გამოყენებულ იქნა საჯარო მოხელეთა სამსახურებიდან მასობრივად გასათავისუფლებლად ყოველგვარი პერსპექტივისა და პრეტენზიის გარეშე.

**"მერიის საქალაქო სამსახურების ლიკვიდაცია, თავისთავად, არ წარმოადგენდა მერის კანონით მინიჭებულ კომპეტენციას. მერმა ამ შემთხვევაში თავის უფლებამოსილებას გადაამეტა,"** – განაცხადა კობა ბოჭორიშვილმა, რომელიც მერიის გათავისუფლებულ თანამშრომელთა სამართლებრივ დაცვას ახორციელებს. მისივე თქმით, სარჩელები მომზადებულია და შეტანილია სასამართლოში.

**"მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი მოქმედება სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც არ ეყრდნობა სამართლებრივ საფუძვლებს, არღვევს ადამიანის უფლებებს და საზოგადოების მხრიდან შესაბამის რეაგირებას მოითხოვს,"** – აცხადებენ კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრში.

როგორც მერიის სივრცითი მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, მერიის განკარგულების გასაუქმებლად, მათ სასამართლოს მიმართეს. ვახტანგ მამულაშვილი არქიტექტურის სამსახურში 1972 წლიდან მუშაობს. იგი კიროვის რაიონის მთავარ არქიტექტორად თავად შოთა ყავლაშვილმა მიიწვია. 6 მაისს მას მთავარი სპეციალისტის თანამდებობა სამსახურის ლიკვიდაციის მოტივით დაატოვებინეს.

**"ჩვენმა მთავრობამ გიორგობა სამსახურიდან გათავისუფლებით მოგვილოცა. დღეს, როგორც ჩანს, პროფესიული აზრი არავის აინტერესებს. ჩვენი სამსახურის ლიკვიდაცია სამართლებრივად არ მომხდარა. პრეზიდენტის ბრძანებულებით, მხოლოდ ორი სამსახური გამოცხადდა ლიკვიდირებულად. მე აღდგენას არც ვითხოვ, დღეს ისეთი არაპროფესიონალები მუშაობენ, რომ მათთან მუშაობას აზრი არ აქვს,"** – განაცხადა ვახტანგ მამულაშვილმა.

პაატა კიკვაძე, რომელიც მერიის განკარგულების გამოცემის დროს, იურიდიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მიიჩნევს, რომ მერიის ყოფილი თანამშრომლების პროტესტი უსაფუძვლოა.

**"მერიის საქალაქო სამსახურების ლიკვიდაცია აბსოლუტურად კანონიერად განხორციელდა. ახალი დებულების თანახმად, საქალაქო სამსახურები ხელახლა, პრეზიდენტის მიერ ჩამოყალიბდა მოხდა, ძველი სამსახურები კი მერის მიერ იყო შექმნილი. ორი ერთნაირი სამსახური ხომ არ იარსებებდა? ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველ ნაწილში ცალსახად არის მითითებული, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს ძალადაკარგულად აცხადებს მისი გამომცემი ორგანო. ამ შემთხვევაში სამართლებრივი აქტის გამომცემი იყო მერია და სწორედ მას უნდა მოეხდინა ძველი სამსახურების ლიკვიდაცია. ამ შემთხვევაში მერს თავისი უფლებამოსილებისთვის არ გადაუჭარბებია. გაუქმდა ძველი, მერის განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამსახურები და ჩამოყალიბდა ახალი, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას პაატა კიკვაძემ. მისივე განმარტებით, დედაქალაქის შესახებ კანონში წერია, რომ პრეზიდენტი ამტკიცებს მერიის დებულებას და სტრუქტურას. ძველი დებულება კანონთან შესაბამისობაში არ იყო, რადგან ძველი ბრძანებულებით, მტკიცდებოდა მხოლოდ მერიის დებულება და არა სტრუქტურა. ფაქტობრივად, დღეს ეს ყველაფერი შესაბამისობაშია მოყვანილი.

**"პრეზიდენტმა თავად გააკეთა ჩამონათვალი, თუ რომელ სამსახურებს უნდა ეარსებათ მერიაში. ყველა სამსახური გაუქმდა და ხელახლა შეიქმნა. მათ დაემატა სხვა რიგი სამსახურებიც. სამართლებრივი კუთხით თუ მივუდგებით, მერი ვალდებული იყო, საქალაქო სამსახურები გაეუქმებინა. აქედან გამომდინარე, ამ ხალხს სასამართლოში საქმის მოგების ნაკლები შანსი აქვს,"** – განაცხადა კიკვაძემ.

# გამვლელები უბედურებას „ბეწვზე" გადაურჩნენ

აღმაშენებლის №36-ში მდებარე, 102 წლის წინათ აშენებულ სახლს (რომლის სადარბაზოშიც დღემდეა შემორჩენილი მიხაი ზიჩის ნახატები) გუშინ ფასადი ჩამოენგრა. 15-კილოგრამიანი ბარელიეფის ნაწილი მეორე სართულის აივანზე დაეცა, ნაწილი კი – ქუჩაში. როგორც სახლის მობინადრე თამარ ჭავჭანიძე აცხადებს, სამი გამვლელი უბედურებას ბეწვზე გადაურჩა. სხვათა შორის, აღნიშნული სახლის ფასადის ჩამონგრევის შემთხვევა პირველი არ ყოფილა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები შემთხვევის ადგილზე გუშინვე მივიდნენ. როგორც გამგებელმა რამაზ სულამანიძემ განგვიცხადა, სახლის ფასადს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური სექტემბრის ბოლომდე აღადგენს, წყალგაყვანილობის სისტემა კი, რომელიც აღმაშენებლის ქ№36-ის მობინადრეთათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა, უახლოეს მომავალში გამგეობის ხარჯებით შეკეთდება.

*24 საათი*

# ფოსტალიონი ორჯერ აკაკუნებს...

## საპენსიო დავალიანება თითქმის აღარ არსებობს

თამარ მაისურაძე

**"ძველებისგან" სიკეთე ვერ ვნახეთ. "ახლები" კი მოსვლისთანავე სტაბილურობასა და კეთილდღეობას დაგვპირდნენ,"** – აცხადებდნენ პენსიონერები "ვარდების რევოლუციის" შემდეგ.

**"დავაფინანსებთ იმას, რისი ფულიც გვექნება და, წინამორბედების მსგავსად ზედმეტი ვალდებულებების აღებისგან, თავს შევიკავებთ. უმჯობესია, რასაც იტყვი, ის გააკეთო, ვიდრე ბევრი ილაპარაკო და არაფერი გამოგივიდეს,"** - აცხადებდა მაშინ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელი, დღეს უკვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი.

ახალი მთავრობა ტრაბახს მას მერე მოჰყვა, რაც პენსიონერებმა პენსია თავის დროზე, დაგვიანების გარეშე მიიღეს. ახლად რევოლუციაგამოვლილ ქვეყანაში არსებობდა არაოფიციალური სიაც, რომლის მიხედვითაც გათვლილი იყო, დაპატიმრებული პირებისაგან ვის რომელი თვის პენსია უნდა გადაეხადა. ასე იყო თუ ისე, ფაქტი ერთი იყო, რომ ახალ მთავრობას პენსიონერების 130 მილიონი ლარის ოდენობის 1997-2003 წლების დავალიანება უნდა გაესტუმრებინა.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 19 აპრილის № 26 დადგენილებით - "პენსიონერთა მიმართ დაგროვილ საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივი დაფარვისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ" - გაირკვა, რომ 14-ლარიანი პენსიონერები 17-ლარიანები გახდებოდნენ. მათ, ვის მიმართაც სახელმწიფოს ვალი ჰქონდა დაგროვილი, დანამატს ვალში გაუქვითავდნენ, ხოლო "ახალი" პენსიონერები პენსიას ჩვეულებრივ, მომატებული სახით აიღებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მთავრობამ მისი წინამორბედის მიერ "ნაწარმოები" პოლიტიკა ჯერ დაგმო, შემდეგ კი წარსულს ჩააბარა, ძველების მიერ დანერგილი პრაქტიკა, რომელიც დავალიანებული პენსიების "საიქიოში" გაგზავნას გულისხმობდა, არც ამათთვის აღმოჩნდა უცხო.

დღეს როგორც ირკვევა, საქართველოს მთავრობას არათუ გარდაცვლილთა, არამედ ცოცხალ პენსიონერთა ვალიც აღარ აქვს. დღემდე ცნობილი იყო, რომ ზემოთ ნათქვამი 130 მილიონიდან სახელმწიფოს პენსიონერების ვალი მხოლოდ 16 მილიონი ლარი დარჩა. დავალიანება ეტაპობრივად იფარებოდა. თბილისელების მიმართ არსებული დავალიანება რახანია დაფარეს. 15 მილიონ 631 ათასი ლარი სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა რამდენიმე დღის წინ გაიღო, ამდენად, ბოლო თანხის დარჩენილი ტრანში ფონდმა გასულ კვირას დაფარა.

როგორც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილის კობა ძაძამიასგან შევიტყვეთ, **"მთავრობას პენსიონერების ვალი მხოლოდ 16 მილიონ 884 ლარის ოდენობით ჰქონდა დარჩენილი. რამდენიმე დღის წინ, გასული კვირის ოთხშაბათს 15 მილიონ 631 ათასი ლარი ჩაირიცხა. ეს თანხა იმ პენსიონერებზე გადანაწილდება, ვისი ვალიც სახელმწიფოს ჯერ კიდევ დარჩა. დარჩენილი თანხა, 1 მილიონ 252 ათასი ლარი ახალქალაქის რაიონის პენსიონერებისთვის გასაცემი თანხაა. ვინაიდან ახალქალაქის რაიონის პენსიონერთა მონაცემები გადამოწმებას მოითხოვს, ამ პროცესის დასრულების შემდეგ, ახალქალაქშიც გადაირიცხება ზემოთნახსენები თანხა, რის შემდეგაც საქართველოში პენსიების დავალიანება არც ერთი თეთრი აღარ იქნება."**

ცნობისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, ერთი თვის პენსიის დასარიგებლად 30 მილიონი ლარია საჭირო. აქ შედიან ყველა სტატუსის მქონე პენსიონერები, მათ შორის, რეგრესულებიც, რომელთა ძველი ვალების გასტუმრების საკითხი დღემდე გაურკვეველი რჩება. როგორც ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე აცხადებს, **"რეგრესული პენსიონერების ვალი გასტუმრებული არ არის. ჯერ თავად ამ ვალის აღიარების საკითხია გასარკვევი. რეგრესული პენსიონერების დაგროვილი პენსიების 50 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტს, ხოლო მეორე ორმოცდაათი იმ საწარმოს უნდა გაესტუმრებინა, სადაც ეს უკანასკნელნი მუშაობდნენ. სახელმწიფომ თავისი ნახევარი დაფარა. მეორე ნახევარი, რომელიც 3 მილიონ ლარზე ცოტა მეტია, დასაფარია. ვილაცამ რომ უნდა გაისტუმროს, ფაქტია, მაგრამ ვინ - სახელმწიფომ თუ საწარმომ - გადასაწყვეტია. ცნობისთვის, რეგრესული პენსიონერების დიდი ნაწილი ტყიბულნახშირის საწარმოს მუშებია,"** - გვითხრა მან.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ბოლომდე გარკვევას საჭიროებს, დედაქალაქის პენსიონერთათვის 2003 წლის დეკემბრის თვის პენსიის საკითხია. როგორც ფონდში აცხადებენ, 2004 წლის იანვრიდან პენსიონერები პენსიას თვე-თვეზე, დაგვიანების გარეშე იღებენ. "ვარდების" თვის, 2003 წლის ნოემბრის პენსია გია ჯოხთაბერიძის მიერ გადახდილი ფულით დაფარეს. რაც შეეხება, 2003 წლის დეკემბრის თვეს, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 25 ივნისის № 52 დადგენილების თანახმად, საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივი დაფარვის მიზნით, 2004 წლის ივნისიდან არამომუშავე პენსიონერებს, რომელთაც მისაღები ჰქონდათ ერთ თვეზე მეტი საპენსიო დავალიანება, გათვალისწინებული დამატების გარდა, დაუწესდათ დანამატი 2 ლარის ოდენობით. ეს წესდება 2004 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა, რის შედეგადაც, თბილისელი პენსიონერების 2003 წლის დეკემბრის პენსია ამოქმედებისთანავე დაიფარა. ამის მიუხედავად, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის პენსიონერებს, დანამატის სახით, 2003 წლის დეკემბრის პენსია მისცეს. ამისთვის 24 მილიონი ლარია საჭირო, რომელსაც პენსიონერები, ალბათ, მალე მიიღებენ.

დაბოლოს, ის პენსიონერები, რომლებიც პენსიას სახლში იღებენ, წუწუნებენ, რომ ფოსტალიონი მათი სახლის კარზე თვეში ორჯერ აკაკუნებს. ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ფოსტალიონებს პენსია ორ ნაწილად მიაქვთ, რადგან ორივეჯერ (პენსიონერებისა და ფოსტალიონების დაუწერელი კანონის თანახმად) ფეხის ქირა 50-50 თეთრი აილონ. **"პლასტიკური ბარათების შემოღება, გარკვეულწილად, იმითაც იყო განპირობებული, რომ ფოსტალიონს ფული აღარ აეღო. მსგავსი რამ ჩვენ არ გვსმენია, არც "ცხელ ხაზზე" შემოსულა მსგავსი შეტყობინება. მით უმეტეს, ერთი თვის თანხის გაყოფა წარმოუდგენელია,"** - განაცხადა კობა ძაძამიამ.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის აბასთუმანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **დაბა აბასთუმნის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**
**დაბა აბასთუმანი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ელენე ბალახაშვილი**
**დაბა აბასთუმნის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 30 ივნისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**
**დაბა აბასთუმანი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ელენე ბალახაშვილი**
**დაბა აბასთუმნის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 28 ივლისის 3:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **3:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

## გასწორება

მსუბუქი ავტომობილების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაზეთ "24 საათის" 24 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადების პირველ პუნქტში დაშვებულია შეცდომა. იგი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

"1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, ტელეფონი (995 32) 990619, ფაქსი (95 32) 931997, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოებისათვის 35 ერთეული ახალი, მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის, გამოშვების თარიღი 2005 წ. ძრავის მოცულობა არანაკლებ 1,6-1,7 კუბ/სმ, შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი საქონლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში".

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია*

## ყურადღება: კონკურსი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (MOT)* და ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაცია (მტზ) საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის აცხადებენ ეროვნულ (ნაციონალურ) კონკურსს თემაზე: "თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები შრომის ბაზარზე"

კონკურსზე მიიღება მასალები, რომლებიც ეხება მამაკაცების და ქალების შრომით დასაქმებას, მათ სამუშაო ადგილებზე ფარულ და ცხად დისკრიმინაციას, არაფორმალური ეკონომიკის პრობლემებს, სოციალურ დაცვას, სამსახურეობრივი და ოჯახური ვალდებულებების შეთავსებას, დედობის დაცვას.

MOT - ის მასალები ამ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ - www.ilo.ru/gender

კონკურსში მონაწილეობისათვის მოწვეულნი არიან პროფესიონალი ჟურნალისტები და ლიტერატორები, ნაციონალური (ეროვნული), რეგიონალური და დედაქალაქის მედიის თანამშრომლები: პრესის, რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტ-გამოცემების წარმომადგენლები.

კონკურსის ჟიური ღებულობს განხილვისათვის პუბლიკაციების ორიგინალებს და ასლებს, აგრეთვე სატელევიზიო და რადიო გადაცემების ვიდეო (VHS ფორმატში) და აუდიოჩანაწერებს, რომლებიც გავიდა ეთერში ან გამოქვეყნდა 2005 წლის 1 იანვრიდან 15 სექტემბრამდე. მიიღება ნებისმიერი მოცულობისა და ყველა ჟანრის მასალები. საუკეთესო ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით და ფასიანი საჩუქრებით.

მასალების წარმოდგენის ბოლო ვადაა ა.წ. 20 სექტემბერი, მისამართი: ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ. 10, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისი.

ტელეფონი: 25-04-63; 25-05-92, ელ.ფოსტა: irakli@osgf.ge .

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მიმართეთ ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის გენდერულ კოორდინატორს შემდეგ ტელეფონზე: (095) 201-2146; azh@gdf.ru

MOT* - გაეროს სპეციალიზირებული სააგენტო, რომლის მიზანია სოციალური სამართლიანობის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და შრომითი უფლებების სფეროში.

# ირანის არჩევნების შედეგებით დასავლეთი სერიოზულადაა შეშფოთებული

ხათუნა გაბიევი

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა დასავლურ მედიაში. როგორც ბრიტანული გაზეთი "ინდიფენდენტი" სარედაქციო წერილში მიუთითებს, "ირანის არჩევნების შედეგები არასასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა მათთვის, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ ახალი პრეზიდენტი ირანსა და საერთაშორისო თანამეგობრობას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს".

როგორც ახალი პრეზიდენტის პირველი მიმართვიდან გაირკვა, დასავლეთთან თანამშრომლობის სურვილის გამოხატვისას აჰმადინეჯადი მხოლოდ ევროპას გულისხმობდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ირანში დღეს ხელისუფლების ყველა ბერკეტს კონსერვატორები აკონტროლებენ, აჰმადინეჯადისთან ურთიერთობა, შესაძლოა, მის წინამორბედთან შედარებით კიდევ უფრო რთული აღმოჩნდეს.

როგორც გაზეთი "დეილი ტელეგრაფი" წერს, საერთაშორისო ნავთობის ბაზრები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ახალი პრეზიდენტის თითოეულ სიტყვას. ამ უკანასკნელმა უკვე მოასწრო ირანის ეკონომიკაში ნავთობმომპოვებელ სექტორში ფართომასშტაბიანი რეფორმის გატარების აუცილებლობის ხაზგასმა, თანაც საყურადღებოა ისიც, რომ ამ რეფორმის შედეგად მკვეთრად უნდა შეიზღუდოს უცხოური სანავთობო კომპანიების როლი.

**"სახელისუფლებო მაფიას, რომელიც ჩვენს ნავთობს აკონტროლებს, ხელებს დავუმოკლებ. ამაზე შემიძლია თავი დავდო"**, - განაცხადა ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, მაგრამ თეირანის საფონდო ბირჟის დახურვის შესახებ დადებული პირობის შესრულებაზე უარი განაცხადა. თუმცა, მიუთითა, რომ აუცილებლად შეამცირებს სახელისუფლებო ფსონებს, რაც მოსახლეობის გაჭირვებულ ფენას სახელმწიფო საწარმოების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებას მიანიჭებს. ასეთი განცხადების შემდეგ კრიტიკოსებმა აჰმადინეჯადს შუასაუკუნეობრივი ეკონომიკური თეორიის მიმდევრობაში დასდეს ბრალი.

ასეა თუ ისე, კითხვები ირანის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე მრავლად ჩნდება; უპირველეს ყოვლისა კი, დაინტერესებას ირანელი ელექტორატის არჩევანი იწვევს. რატომ შეაჩერა ირანელმა ხალხმა არჩევანი მაინც და მაინც რადიკალ აჰმედინეჯადიზე? ხომ არ იყო ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში ისლამის როლის გაძლიერების სურვილის დემონსტრირება? ან იქნებ ამგვარი არჩევანი ირანის პროვინციებში მცხოვრები მოსახლეობის ქალაქური ცხოვრების ტიპით უკმაყოფილების შედეგია? ანდა იქნებ საქმე სულაც ეკონომიკურ საკითხებშია – ირანის ღარიბმა მოსახლეობამ ამგვარად ხომ არ გამოხატა პროტესტი ქვეყნის სანავთობო შემოსავლების უსარგებლობაზე?

გერმანული გაზეთი "ფრანკფურტერ რუნდშაუ" მიიჩნევს, რომ ასეთი არჩევნის გაკეთებით ირანმა მემარჯვენე კურსი აიღო. აჰმედინეჯადის, რომელსაც მაღალი სასულიერო რანგი არ აქვს, წარმატება ქვეყანაში საზოგადოების გახლეჩაზე მეტყველებს. აჰემდინეჯადმა კონკურენტს ეკონომიკურ საკითხებზე აქცენტების გაკეთებით სძლია. მან შეძლო ირანის მოსახლეობის ღარიბი ფენის მიმხრობა, რამაც საბოლოოდ მოუტანა კიდეც გამარჯვება. გარდა ამისა, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აჰმედინეჯადიმ ეფექტიანად გამოიყენა არგუმენტად ისტორიულად განმტკიცებული შეხედულება იმის შესახებ, რომ დასავლეთის (უფრო სწორად აშშ-ს) კულტურულ-იმპერიალისტური გავლენა ისლამურ-ირანულ იდენტობას განადგურებით ემუქრება.

"გარდა ამისა, აჰმედინეჯადის მიერ ბირთვულ პროგრამაზე გაკეთებული განცხადებები - კერძოდ, ის, რომ ირანი არ შეწყვეტს ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობას, გარკვეულ სურათს საგარეოპოლიტიკურ კურსზეც იძლევა. თანაც ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომ პრეზიდენტმა ბირთვულ პროგრამაზე საუბრისას ხაზი სამშვიდობო მიზნებს გაუსვა", - მიიჩნევს გერმანული გაზეთი.

გარდა ამისა, "ფრანკფურტერ რუნდშაუ" შიშობს, რომ შეუძლებელი იქნება კონფრონტაციის აცილება ბირთვულ პროგრამაზე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებისას.

**"ირანელ პოლიტიკოსებს კარგად აქვთ შესწავლილი რუკა, კერძოდ ის, თუ სად აქვს აშშ-ს სამხედრო ბაზები რეგიონში განთავსებული. აშშ-ს კი ბაზები აქვს ყველგან, ტაჯიკეთის გარდა. ამდენად, მაღალია რისკი იმისა, რომ ამ ბაზების აქტიური გამოყენება მოხდება"**, - წერს გაზეთი.

მაღალი რისკის პირობებისა და საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი მასშტაბებით აღმოჩენილი დარღვევების მიუხედავად, ევროპული სახელმწიფოები მაინც იტოვებენ ირანის ახალ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვის იმედს.

**"საერთაშორისო სტანდარტებით თუ ვიმსჯელებთ, არჩევნების მსვლელობისას, სამწუხაროდ, სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა. ზოგიერთმა კანდიდატმა იჩივლა კიდეც პირველ ტურში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ფართომასშტაბიანი ჩარევებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების გამო"**, - აღნიშნა გაერთიანებული სამეფოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ჯეკ სტრომ ირანის საპრეზიდენტო არჩევნების კომენტირებისას. საარჩევნო პროცესის უარყოფითად შეფასების მიუხედავად, ოფიციალური ლონდონი იმედს იტოვებს, რომ ახალი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში ირანი ისეთ ნაბიჯებს მაინც გადადგამს, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობასთან დაძაბულობის შენელებას შეუწყობს ხელს.

როგორც ცნობილია, ირანს საერთაშორისო თანამეგობრობასთან მხოლოდ ბირთვული პროგრამის გამო არ აქვს პრობლემები, არამედ ამას ტერორიზმის, ირანში ადამიანის უფლებების დაცვისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის რეგულირებისადმი ოფიციალური თეირანის დამოკიდებულებაც ემატება.

ირანის ახალი ხელისუფლების მხრიდან დადებითი ნაბიჯების გადადგმის იმედი აქვს საფრანგეთსაც. თავის მხრივ, ოფიციალური პარიზი, ლონდონის მსგავსად, მზადაა, დიალოგი გააგრძელოს ირანის ახალ ხელისუფლებასთან ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც თავიდანვე მოსალოდნელი იყო, ირანელ ხალხს არჩევანს უწონებს აღმოსავლეთი. ლიბანის ინტერნეტგამოშვების "ანნახარის" თანახმად, ირანის ისლამური რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით კმაყოფილია ლიბანის შიიტური მოძრაობა "ჰეზბოლა".

**"ირანელმა ხალხმა ამ არჩევნებით კიდევ ერთხელ გამოავლინა გამოწვევების წინააღმდეგ უჩვეულო გამძლეობა. როგორც ჩანს, ისინი შეძლებენ შიდა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას დამოუკიდებლობის შენარჩუნებას"**, - განაცხადა "ჰეზბოლას" გენერალურმა მდივანმა შეიხ ნაიმ კასემმა.

მისი აზრით, არჩევნების დიდი წარმატება ელექტორატის მაღალი აქტივობა იყო, რამაც თვალსაჩინო გახადა ირანელთა არჩევნის თავისუფლება.

**"საარჩევნო კამპანიის თანამდევმა ენთუზიაზმმა არჩევნის თავისუფლების ფართო მასშტაბები გამოავლინა"**, - აღნიშნა კასემმა და იქვე მიუთითა, რომ აშშ-ს მხრიდან არჩევნების გაყალბების შესახებ გამოთქმული აზრი სადავოდ მიაჩნია.

თუმცა, ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში გაყალბების ფაქტები მხოლოდ აშშ-ს არ შეუნიშნავს. არჩევნების ფალსიფიცირებაზე, როგორც ზემოთაა მითითებული, საუბრობს დიდი ბრიტანეთიც.



მაჰმუდ აჰმადინეჯადი ყველასთან ითანამშრომლებს აშშ-ს გარდა.

# აშშ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას ამკაცრებს

*ჯორჯ ბუში მასობრივი იარაღის გავრცელებასთან ბრძოლას ერთპიროვნული სანქციების საშუალებით გეგმავს. აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამზადებს ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი ხდება ამერიკაში მდებარე იმ პირთა საბანკო აქტივების გაყინვა, რომლებიც ირანთან, ჩრდილოეთ კორეასთან და სირიასთან თანამშრომლობენ სამხედრო სფეროში. აშკარაა, ამერიკულ სანქციებს რუსული კომპანიებიც ემსხვერპლებიან.*

ორშაბათს "ვაშინგტონ პოსტ"-ში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ლაპარაკია ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ ფინანსური სანქციების გამკაცრებაზე იმ პირთა მიმართ, რომლებიც იარაღითა და სამხედრო ტექნოლოგიებით უკანონო ვაჭრობაში მონაწილეობენ. გაზეთის თანახმად, პირველ რიგში, დაზარალდებიან რუსული და ჩინური კომპანიები, რომელთაც "შეჩვენებულ" ქვეყნებთან მჭიდრო ბიზნეს-ინტერესები აკავშირებთ.

ახალი ბრძანებულების საშუალებით აშშ-ს ადმინისტრაცია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის გამკაცრებას ისახავს მიზნად.

თავდაპირველად ბრძანებულების მოქმედება მხოლოდ რვა კომპანიაზე გავრცელდება, რომელთაგან შვიდი რაკეტების წარმოებაშია ეჭვმიტანილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ქიმიური, ბიოლოგიური ან ბირთვული იარაღი.

გაზეთის თანახმად, ამ კომპანიებიდან სამი ჩრდილოეთ კორეულია, ოთხი - ირანული (მათ შორის, ირანის სახელმწიფო ენერგეტიკული სააგენტო). ამ კომპანიების გარდა, ამერიკული სანქციები სირიის სახელმწიფო კვლევით ცენტრზეც გავრცელდება.

აღსანიშნავია, რომ ჩამონათვალში დასახელებული კომპანიებიდან სამზე უკვე მოქმედებს სანქციები, მაგრამ ისინი დღემდე თავისუფლად აწარმოებდნენ ბიზნესს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ბუშის ამჟამინდელი ინიციატივა კიდევ უფრო შორს მიდის და მან, შესაძლოა, ბანკებსაც მიაყენოს დარტყმა. ამერიკული ბანკები ან ფიზიკური პირები, რომელთაც "შერისხულ" კომპანიებთან ფინანსური კონტაქტები აქვთ, ხელისუფლების მიერ დაჯარიმდებიან.

მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ირანის, ჩრდილოეთ კორეისა და სირიის წინააღმდეგ შემოაქვს ბუშის ადმინისტრაციას ცალმხრივი სანქციები, მაგრამ უკვე ნათელია, რომ მომავალში მათ რიცხვს რუსული და ჩინური საწარმოებიც შეუერთდებიან - უფრო სწორად, ისინი, ვისაც ამერიკაში აქტივები აქვს (ბუნებრივია, ვაშინგტონი ვერ შეძლებს რუსული და ჩინური საბანკო სექტორის გაკონტროლებას).

შეგახსენებთ, ჯერ კიდევ 2003 წელს აშშ-მ დაადანაშაულა ორი რუსული კომპანია ერაყთან თანამშრომლობაში. სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამარცხების შემდეგ ერაყთან თანამშრომლობა აქტუალურ თემათა რიცხვს აღარ მიეკუთვნება. სამაგიეროდ, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ირანის ბირთვული პროგრამა და მასზე რუსი ექსპერტების მუშაობა. დიდ შანსია, რომ რუსეთი (უფრო სწორად, რუსული კომპანიები) ბუშერის ატომური სადგურის მშენებლობაში დახმარებისთვისაც დაისაჯონ; მით უმეტეს, რომ გასულ თვეში აშშ-ს კონგრესმა ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის "დიდი რვიანიდან" გაძევებაც კი მოითხოვა.

თუმცა, ჯორჯ ბუშის ინიციატივას ერთი სერიოზული წინააღმდეგობა ხვდება. წინასწარი განცხადებით, აშშ ცალმხრივი ქმედებების გატარებას საკუთარი სადაზვერვო სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით აპირებს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ასეთი სახის ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენს და, შესაბამისად, მისი გამოქვეყნება ან სასამართლოში წარდგენა შეუძლებელია.

ალბათ ამიტომ, მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ იარაღითა და სამხედრო ტექნოლოგიებით უკანონო მოვაჭრეების წინააღმდეგ ბრალდებების "სეტყვა" ნაკლებადაა მოსალოდნელი. გარდა ამისა, "ვაშინგტონ პოსტი" წინასწარმეტყველებს, რომ აშშ შეეცდება, სანქციების შემოღებაზე პასუხისმგებლობა თავის დასავლელ მოკავშირეებსაც გადაუნაწილოს, პირველ რიგში კი - დიდ ბრიტანეთს, გერმანიასა და საფრანგეთს, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ირანთან მოლაპარაკებებში.

ბუშმა აღნიშნულ ბრძანებულებას, შესაძლოა, "დიდი რვიანის" სამიტამდე მოაწეროს ხელი (დიდი რვიანის ქვეყნების ხელმძღვანელები მომავალ კვირას შეიკრიბებიან შოტლანდიაში.), ხოლო კოლეგებთან შეხვედრისას, სავარაუდოდ, ამ ინიციატივის მხარდაჭერის მოწოდებით გამოვა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ნეპალი.** ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, ნეპალში ამბოხებულმა მაოისტებმა, დაახლოებით, 250 ადამიანი გაიტაცეს. გატაცებულთა შორის დიდი რაოდენობით არიან უფროსკლასელებიც, კონკრეტულად - 90 მოსწავლე.

სამხედრო უწყების წარმომადგენლის განცხადებით, ინციდენტი ნეპალის დედაქალაქ კატმანდუდან 250 კმ-ით დაშორებულ ოლქში კანჩანპურში მოხდა.

როგორც ცნობილია, ნეპალში სკოლის მოსწავლეების გატაცება იშვიათობას არ წარმოადგენს. მაოისტები გატაცებულებს რამდენიმე დღიანი ტყვეობის შემდეგ აბრუნებენ სახლებში, მანამდე კი არასრულწლოვანთათვის კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდას ეწევიან. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ მაოისტები უფროსკლასელებს ხშირად ნეპალის კომუნისტური პარტიის შეიარაღებულ ფორმირებებში სამხედრო სამსახურსაც აიძულებენ.

■ ■ ■

**აზია.** პენტაგონის ვარაუდით, ჩინეთი ტაივანზე თავდასხმას გეგმავს. აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ექსპერტთა მოსაზრებით, ბოლო დროს შეიარაღებული ძალების დაჩქარებული ტემპით მოდერნიზება-განახლება ჩინეთს უახლოეს ორ წელიწადში კუნძულ ტაივანზე შეიარაღებული ინტეგრაციის დაწყების საშუალებას მისცემს.

ერთ-ერთი გარემოება, რის გამოც ჩინეთმა ტაივანის ინტერვენციაზე, შესაძლოა, უარი განაცხადოს, 2008 წლის ოლიმპიადაა, რომელიც პეკინში უნდა ჩატარდეს. ექსპერტთა მოსაზრებით, 2008 წლის ოლიმპიადა ჩინეთს საკმაოდ დიდ ფინანსურ მოგებას უქადის, რაც შეიძლება ჩინური მილიტარიზმისთვის ერთგვარ შემაკავებელ ფაქტორად იქცეს. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ავღანეთი.** ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ავღანელმა ჯარისკაცებმა, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ ამერიკელი სამხედროები, ყანდაარის პროვინციაში მოკლეს 178 და შეიპყრეს 80 თალიბი მეამბოხე. გენერალ ზაჰირ აზიმის განცხადებით, ბრძოლა გაიმართა სამხრეთში მდებარე ყანდაარის პროვინციის მია-ნიშინის რაიონში. თუმცა, ამ რაიონში თალიბების სარდალმა მოლა დადულამ უარყო ეს ინფორმაცია და აღნიშნა, რომ დაღუპულია სულ 7-8 თალიბი. იუწყებიან, ასევე, რომ გასული კვირის მიწურულს ჩრდილოეთ ავღანეთში აფეთქდა ტყვია-წამლით დატვირთული ავტომანქანა, დაიღუპა 5 ავღანელი სამოქალაქო პირი და 2 გერმანელი ჯარისკაცი. გერმანელები ნატო-ს სამშვიდობო ჯარებში მსახურობდნენ. **რადიო თავისუფლება**




# ბუში და შრიოდერი - პოზიციათა შეჯერება „დიდი სამიტის" წინ

**საშინაო გართულებების მიუხედავად, გერმანიის კანცლერი გლობალურ პრობლემებზე ზრუნავს**

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გუშინ გერმანიის კანცლერთან, გერჰარდ შრიოდერთან შეხვედრას მართავდა. გერმანიის და აშშ-ს ლიდერების ამჟამინდელ შეხვედრას წარსულში შემდგართაგან ის განასხვავებდა, რომ შრიოდერს თავის ამერიკელ კოლეგასთან ჩასვლა მისთვის არცთუ სასიამოვნო პერიოდში მოუწია. ვაშინგტონში გამგზავრებამდე შრიოდერმა ბუნდესტაგს გერმანიის მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის დაყენების წინადადებით მიმართა. თუ გერმანელმა პარლამენტარებმა მმართველ პარტიას უნდობლობა გამოუცხადეს, გერმანიას სამთავრობო კრიზისი და, შესაბამისად, რიგგარეშე არჩევნები ელოდება.

გერმანიის კანცლერი აშშ-ს პრეზიდენტს უკვე მერვედ ხვდება. აღსანიშნავია, რომ შრიოდერი და ბუში ერთმანეთს ბოლოს მიმდინარე წლის თებერვალში გერმანიის ქალაქ მაინცში შეხვდნენ.

გუშინდელ შეხვედრას სხვა დანარჩენებისგან ისიც გამორჩევდა, რომ იგი წინ უსწრებს შოტლანდიაში დაგეგმილ "დიდი რვიანის" სამიტს. **"ორი ლიდერისთვის ეს შეხვედრა ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის გაძლიერების გზებზე საუბრის მშვენიერი შესაძლებლობაა,"** - განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სტივენ მაკლელანმა პარასკევს.

ორი ქვეყნის მეთაურის საუბრის ძირითადი თემები თითქმის ზედმიწევნით ემთხვეოდა მომავალ თვეში შოტლანდიაში დაგეგმილი "დიდი რვიანის" სამიტის დღის წესრიგს - ევროკავშირში არსებული დაძაბული ვითარება, ირანის ბირთვული პროგრამა, დახმარება აფრიკის ულარიბესი ქვეყნებისთვის, გაერო-ს რეფორმირება და ა.შ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ და სხვა გლობალურ თემებზე სამიტისწინა შეხვედრას, პოზიციათა შეჯერების კიდევ ერთი შანსის სახე მიეცა.

ერაყში ომის დაწყების შემდეგ წარმოქმნილი უთანხმოებები აშშ-სა და გერმანიას შორის ჯერ კიდევ არსებობს. თუმცა, ძირითადად, საკითხებისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომაში გამოიხატება და დაპირისპირების სახე არასოდეს მიუღია.

მაგალითად, მართალია, ორივე მხარე ირანის მიერ ბირთვული კვლევების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ, აშშ-სგან განსხვავებით, გერმანია (ისევე, როგორც საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი) თეირანთან დაპირისპირებას, კვლავაც მოლაპარაკებების გაგრძელებას ამჯობინებს.

ირანის ბირთვული პროგრამა გუშინაც ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო ლიდერების საუბრისას. როგორც ჩანს, გერმანიის პოზიცია ჯერჯერობით ვერ შეცვალა ირანის სათავეში ულტრაკონსერვატორი პოლიტიკოსის მოსვლამ. **"ევროპელები კარგად არიან მომზადებულნი იმისთვის, რათა მოთხოვნები წამოაყენონ და მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი გაიმართოს,"** - განუცხადა შრიოდერმა მასთან ერთად ვაშინგტონში ჩასულ ჟურნალისტებს. მან იქვე დასძინა: **"ჩვენ ვერ დავუშლით (ირანს) ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებას, მაგრამ სარწმუნო გარანტიები გვჭირდება, რომ ისინი ატომურ ბომბებს არ შექმნიან."**

თუმცა, გერმანიის კანცლერი ამერიკელ ლიდერთან შეხვედრის შემდეგ ირანზე უფრო კატეგორიულად საუბრობდა. **"ჩვენ ვაპირებთ, კვლავაც მტკიცედ და განუხრელად ვიდგეთ ჩვენს პოზიციაზე,** - ამბობს გერმანიის კანცლერი ოვალური კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ, - **გზავნილი (ირანისადმი) სრულიად გასაგები უნდა იყოს, და არის კიდეც".**

ასე რომ, ირანზე "დელიკატური" ზეწოლა კვლავაც გაგრძელდება - როგორც ჩანს, ბუშმა თავისი გერმანელი კოლეგის მხარდაჭერის გარანტიაც მიიღო ამ საკითხში.

თუმცა, როგორც გუშინ დასავლური საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავდნენ, აშშ-მ, შესაძლოა, ევროპის უმდიდრესი ქვეყნის - გერმანიის სათავეში სხვა უფრო "ლოიალური" მოკავშირის ხილვაც ისურვოს.



ჯერ კიდევ გერმანიის კანცლერი და აშშ-ს პრეზიდენტი ირანის "ბირთვულ კლუბში" გაწევრიანებას არ დაუშვებენ.

# საბანკო სისტემაში დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა

2005 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებებმა 63.2 მლნ ლარით (7.1 პროცენტით) მოიმატა და 959.2 მლნ ლარს გაუტოლდა. ამასთან, ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში მოზიდული ვადიანი დეპოზიტების მოცულობა 5.9 მლნ ლარით გაიზარდა და 33.3 მლნ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის შეფასებით, ეროვნული ვალუტის როლი, საანგარიშსწორებო ფუნქციის შესრულებასთან ერთად, დანაზოგების შენახვის თვალსაზრისითაც იზრდება და მიმზიდველი ხდება, ვინაიდან მას უცხოური ვალუტების მიმართ მყარი საკურსო ტენდენცია გააჩნია. დავით ამაღლობელი აღნიშნავს, რომ მოქალაქეებისთვის უმჯობესია დანაზოგის ვადიან სალარე დეპოზიტებში განთავსება, რადგან საკონტრაქტო ვადის გასვლის შემდეგ, დეპონირებულ თანხაზე მეტი ეროვნული ვალუტის მიღების შესაძლებლობა უჩნდებათ.



დავით ამაღლობელის შეფასებით, ეროვნული ვალუტის როლი, დანაზოგების შენახვის თვალსაზრისითაც იზრდება

2005 წლის აპრილთან შედარებით, მაისში, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებებმა 13.3 მლნ ლარით მოიმატა, მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში – 2.6 მლნ ლარით, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა – 4.3 მლნ აშშ დოლარით. აღნიშნული ტენდენცია ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ვადიანი დეპოზიტების ზრდის ხარჯზე ჩამოყალიბდა. 2004 წლის მაისთან შედარებით, დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 1.8-ჯერ, მათ შორის, ვადიანი დეპოზიტები 2.7-ჯერ არის მომატებული, რაც დავით ამაღლობელის შეფასებით, ლარისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე მეტყველებს.

2005 წლის დასაწყისიდან უცხოურ ვალუტაში დენომინირებულმა დეპოზიტებმა 40.5 მლნ აშშ დოლარით მოიმატა და 405.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათგან 67 პროცენტს ფიზიკური პირების სახსრები წარმოადგენს. მიმდინარე წლის ხუთ თვეში, უცხოურ ვალუტაში განთავსებული ვადიანი დეპოზიტები 36.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მიღებულ დეპოზიტებზე სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი 8 პროცენტის, ხოლო უცხოური ვალუტაში – 7 პროცენტის ფარგლებშია.

დავით ამაღლობელის განცხადებით, კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების ვადიან დეპოზიტებზე განთავსებული დანაზოგების ზრდა მთლიანად საბანკო სისტემის მიმართ ნდობის ფაქტორის ამაღლების შედეგია.

*24 საათი*

# სესხების ლარში გაცემა მომგებიანი გახდა

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, 2005 წლის მაისში, აპრილთან შედარებით, კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებამ 45.4 მლნ ლარით მოიმატა. მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 15.7 მლნ ლარით, ხოლო უცხოური ვალუტით - 14.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში იმატა საბანკო სისტემის მიერ ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობამაც – ის 215 მლნ ლარით (22.7 პროცენტით) გაიზარდა და 1.163 მლრდ ლარი შეადგინა.

ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდის ტემპმა უცხოური ვალუტით გაცემულს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი მაისში, მიმდინარე წლის დასაწყისთან შედარებით, 85,7 პროცენტიდან 82,7 პროცენტამდე შემცირდა.

2005 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საბანკო სისტემის მიერ ლარში განხორციელებული დაკრედიტების მოცულობამ 49.3 პროცენტით, ანუ 63.6 მლნ ლარით მოიმატა და 192.6 მლნ ლარი შეადგინა, მაშინ, როცა 2004 წლის მანძილზე საბანკო სისტემის მიერ ეროვნული ვალუტით დაკრედიტება მხოლოდ 37,1 მლნ ლარით იყო გაზრდილი. ამასთან, გასული წლის 31 მაისთან შედარებით, ეს პარამეტრი 2.5-ჯერ, ანუ 115.6 მლნ ლარით არის მომატებული.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის შეფასებით, ეროვნული ვალუტით დაკრედიტების ზრდა ლარის სტაბილურობით აიხსნება, რის გამოც, კომერციული ბანკებისათვის ეროვნულ ვალუტაში სესხების გაცემა მომგებიანი ოპერაცია გახდა.

კომერციული ბანკების მიერ ლარით გაცემული სესხების სტრუქტურაში 66 პროცენტი იურიდიულ პირებს ეკუთვნით. ამასთან, გაცემული სესხების 74 პროცენტი (142.5 მლნ ლარი) მოკლევადიან სესხებს წარმოადგენს. მიმდინარე წლის დასაწყისიდან მაისის ბოლომდე გრძელვადიანი სესხების მოცულობა, დაახლოებით, 57 პროცენტით გაიზარდა და 50.1 მლნ ლარი შეადგინა.

საანალიზო პერიოდში უცხოური ვალუტით გაცემული კრედიტების ზრდამ 81 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა და 31 მაისისათვის 526.4 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (შედარებისთვის, 2004 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 123 მლნ აშშ დოლარით იყო გაზრდილი). ამ სესხების 67 პროცენტი - გრძელვადიან, ხოლო 74 პროცენტი - იურიდიულ პირებზე კრედიტებს წარმოადგენს.

კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება დაბალი საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება. მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილში ეროვნული ვალუტით სესხებს, საშუალოდ, 22.2-პროცენტიანი განაკვეთით გასცემდნენ, რაც 3.2 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა, ამავე თვეში უფრო დაბალი (წლიური 19 პროცენტი) საპროცენტო განაკვეთებით ხდებოდა იურიდიული პირების დაკრედიტება.

საანალიზო პერიოდში 3.7 პროცენტული პუნქტით, 16.5 პროცენტამდე დაიკლო უცხოური ვალუტით დაკრედიტების განაკვეთებმა. იურიდიული პირები სესხებს შედარებით დაბალი განაკვეთით, საშუალოდ, 14.6 პროცენტით იღებდნენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის განცხადებით, მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის დასაკრედიტებლად კომერციულ ბანკებში აკუმულირებულმა ჭარბმა სალარე სახსრებმა, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, საპროცენტო განაკვეთების კლება გამოიწვია.

მისივე შეფასებით, ძირითადად, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას სალარე სასესხო რესურსებზე, სავარაუდოდ, კომერციული ბანკების მიერ ლარებში აკუმულირებული ჭარბი სახსრების ათვისების სურვილმა შეუწყო ხელი.

ამდენად, საპროცენტო განაკვეთების კლებამ ქვეყნის საფინანსო და ფულად ბაზარზე, სავალუტო ბაზრის წონასწორულმა მდგომარეობამ, ლარის კურსის სტაბილურობამ და ბანკებში არსებულმა ჭარბმა რესურსებმა ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით დაბალი საპროცენტო განაკვეთებით ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობის ზრდის წინაპირობა შექმნა.

*24 საათი*

# პირველად ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უწყვეტი ვაჭრობები იწყება

ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე სიახლეა - დღეიდან ძირითადი ვაჭრობის დასრულების შემდეგ დაიწყება მეორადი სავალუტო ვაჭრობა, რომელიც გაიხსნება ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური კურსით.

აქამდე, ვალუტის ყიდვას ბირჟაზე ბანკები ახორციელებდნენ ერთჯერადად, მხოლოდ 12.00 საათზე ე. წ. ფიქსინგის წესით. როგორც ცნობილია, ამ ვაჭრობის შედეგების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი აწესებს ეროვნული ვალუტის კურსს.

მეორადი სავალუტო ვაჭრობა კი დაიწყება ძირითადი ვაჭრობის შემდეგ, 14.00 საათზე და წყვეტის გარეშე დასრულდება 15.00 საათზე.

ბანკების დილერებს და სავალუტო პუნქტებს ბანკების მეშვეობით უკვე მთელი სამუშაო დღის განმავლობაში უწყვეტად შეუძლიათ დააკმაყოფილონ კლიენტთა განაცხადები ვალუტის გადახურდავებაზე. ვაჭრობა წარიმართება ელექტრონული წესით და მასში მონაწილეობა ბანკებს ქსელში ჩართული კომპიუტერების საშუალებით შეეძლებათ.

ვაჭრობის დასასრულს, 15.00 საათზე, ყველა მსურველს შეუძლია გაეცნოს მის შედეგებს ბირჟის ოფიციალურ საიტზე: www. ticex.ge

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გენერალური დირექტორის მოადგილის ვახტანგ ხომიზურაშვილის ცნობით, ხშირად იურიდიული და ფიზიკური პირები იძულებულები არიან, შეიძინონ ვალუტა სავალუტო პუნქტების მიერ ფიქსირებული კურსებით, ხოლო ბირჟაზე ვაჭრობაში მონაწილეობით მათ ეძლევათ შანსი, შეიძინონ სხვადასხვა ვალუტა მათთვის მისაღები კურსით.

ბირჟაზე გამართულმა პილოტურმა ვაჭრობამ საბანკო დილერთა და სავალუტო პუნქტების დიდი დაინტერესება გამოიწვია, ხოლო საშუალო ბრუნვამ 400 000 დოლარი შეადგინა. ცნობისათვის: ასეთი ვაჭრობები უკვე მიმდინარეობს მოსკოვის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ხოლო ამიერკავკასიაში პირველად თბილისში ჩატარდება.

*24 საათი*

# საქართველო-იტალიის პარტნიორობის სემინარი

2005 წლის 28 ივნისს "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამის" ფარგლებში გაიმართება სემინარი, სადაც იტალიის მხარე ქართველ მეწარმეებს შეხვდება და მათ პარტნიორობის პროგრამასა და იტალიელი ინვესტორების პრიორიტეტებს გააცნობს.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, იტალიის კამპანიის რეგიონის კაზერტას პროვინციის მეწარმეთა კავშირთან თანამშრომლობით ახორციელებენ "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამას", რომელიც საქართველოში არსებული საუკეთესო საწარმოებისთვის სასურველი იტალიელი პარტნიორების მოძიებას გულისხმობს. პროექტის შედეგად, შესაძლოა ქართული საწარმოსთვის, მათი პროფილის, ზომის, პერსპექტიულობის და საჭიროებების შესაბამისად მოძიებული იქნეს იტალიელი პარტნიორი, ინვესტორი, მომწოდებელი, ან დისტრიბუტორი.

ყველა კომპანიის შესახებ ძირითადი მონაცემები პროექტის მონაცემთა ბაზაში შეიქმნება. მონაცემთა ბაზა განთავსდება პროექტის ინტერნეტ გვერდზე, თუმცა ინფორმაცია სპეციალური პაროლით იქნება ხელმისაწვდომი. სემინარი ტარდება საქართველოში იტალიის საელჩოს, კერძოდ კი, საპატიო და სრულუფლებიანი ელჩის ფაბრიციო რომანოს მხარდაჭერით. სემინარზე მოწვეულ სტუმართა შორის იქნებიან საქართველოს მთავრობისა და ქართული ბიზნესის წარმომადგენლები.

*24 საათი*

# რეგიონებში ენერგოაქციები გრძელდება

## გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია კი ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაზრდაზე საუბრობს

*ზუგდიდის მოსახლეობა, ელექტროენერგიის მოთხოვნით, "საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ოფისის წინ აქციებს კვლავ აგრძელებს. გუშინ დილიდან, ხმაური ისმოდა ცაგერის რაიონულ ცენტრშიც. დაახლოებით 300-მდე კაცმა, დენის მოთხოვნით, ავტომაგისტრალი სამი საათით გადაკეტა. გუშინვე, რუსთავის მთავრობა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რუსთავის ფილიალის ხელმძღვანელობის მუშაობასთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა.*

დიანა ჩაჩუა

ცაგერის რაიონის 80 პროცენტი "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" დავალიანების გამო ხუთი დღის წინ გამორთო. დაახლოებით ერთი კვირაა, დენი არ მიეწოდება ზუგდიდს. ავარიულ რეჟიმში მუშაობს რუსთავის ელექტრომომარაგება.

საქართველოს ყველა რეგიონში კომერციული ხაზების ჩაჭრა მიმდინარეობს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" არალეგალური კომერციული ხაზებით მომხმარებლის ელექტრომომარაგებას არ დაუშვებს, ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, კომპანიის ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა კიკალიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ზუგდიდში არსებული 600 ტრანსფორმატორიდან 150 გამორთულია, რადგან მომხმარებლებს ერთდროულად, ელექტრომომარაგების რამდენიმე წყარო, არალეგარულად სხვადასხვა ტრანსფორმატორებიდან ჰქონდათ გადაყვანილი.

**"არალეგალური ე.წ. კომერციული ხაზების ჩაჭრა საქართველოს ყველა რეგიონში მიმდინარეობს. ეს პროცესი ერთ კვირაში დასრულდება. არალეგალურ ხაზებს შეიძლება კორუფციული ხაზებიც ვუწოდოთ, რადგან ამ ხაზების მეშვეობით ფული არალეგალურად კეთდებოდა,"** - განაცხადა კიკალიშვილმა.

ზუგდიდში, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" შენობასთან მოსახლეობის საპროტესტო აქცია გუშინ, დილიდან განახლდა. მოსახლეობა ელექტროენერგიის 24-საათიან მიწოდებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავალიანების დაფარვაზე უარს აცხადებს. მათი განცხადებით, ისინი კარგი გადამხდელები არიან, თუმცა ენერგოკომპანია მათგან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურზე გაცილებით მეტ თანხას ითხოვს.

ზუგდიდის მოსახლეობამ ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობას პრობლემის მოსაგვარებლად ორდღიანი ვადა მისცა.

გუშინ ხმაური ისმოდა ცაგერის რაიონულ ცენტრში. დაახლოებით 300-მდე კაცმა ავტომაგისტრალი სამი საათით გადაკეტა. მოსახლეობას რაჭასა და ქვემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ოთარ სირაძე შეხვდა, რომელმაც აქციის მონაწილეებს დაშლისკენ და ელექტროენერგიის საფასურის გადახდისკენ მოუწოდა. როგორც მოსახლეობა აცხადებს, ისინი აქციების შეწყვეტას არ აპირებენ და იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველ მაღალმთიან რეგიონს წარმოადგენენ, შეღავათს იმსახურებენ.

**"რუსთავის ელექტრომომარაგება ავარიულ რეჟიმში მუშაობს და ქალაქი ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაბნელდეს,"** - ისმოდა გუშინ რუსთავის მთავრობაში. ქალაქის ვიცე-მერის ლევან ჩიკვაიძეს თქმით, **"რუსთავის მომარაგება დღეს ბეწვზე ჰკიდია, ვინაიდან ქალაქი მხოლოდ სააქციო საზოგადოება "აზოტის" ელექტროენერგიით მარაგდება. ხვალ საწარმოს ხელმძღვანელობა რომ შეიცვალოს, ელექტროენერგიის გარეშე დავრჩებით."** "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რუსთავის ფილიალის ხელმძღვანელობასთან პრეტენზიები აქვს ქალაქის ვიცე-მერს ზაზა იმედაშვილსაც. მისი განცხადებით, ტოლსტოის ქუჩის მცხოვრებლებს ენერგოკომპანიის თანამშრომლები ყოველთვიურად პირობითად 14-17 ლარს არიცხავენ, რაც მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს. ამასთანავე, მისი ინფორმაციით, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რუსთავის ოფისმა ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა ქალაქის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პუნქტსაც, რის გამოც, აღნიშნულ სამსახურს მუშაობაში ხელი ეშლება.

**"მესმის, რომ ენერგოკომპანიის ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელობა ახალი დანიშნულია. თუმცა, ვფიქრობ, ორი კვირა საკმარისია პრობლემების შესასწავლად. მათ უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ქალაქის მთავრობასთან,"** - ამბობს რუსთავის ვიცე-მერი ზაზა იმედაშვილი.

თუმცა, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" აქვს არგუმენტები, რომლებიც მის მიერ განხორციელებულ მკაცრ და ხშირ შემთხვევაში არაპოპულარულ ზომებს ნაწილობრივ მაინც ამართლებს. ეს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი გახლავთ.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ოპერაციათა მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მამუკა კიკალიშვილის განცხადებით, რეგიონებში კომუნალური გამრიცხველიანების შემდეგ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლები გაიზარდა, ხოლო ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელი ორჯერ შემცირდა. მისი განმარტებით, 23 ივნისის მონაცემებით, ენერგოკომპანიამ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სახით, წინა თვეებთან შედარებით, 1 მლნ ლარით მეტი ამოიღო. მისივე ინფორმაციით, გამრიცხველიანების პროცესი თვის ბოლომდე მთელი ქვეყნის მასშტაბით დასრულდება. ცნობისათვის - კომუნალური გამრიცხველიანება რამდენიმე ათეული ოჯახისათვის ერთი მრიცხველის დამონტაჟებას ითვალისწინებს. თითოეული ოჯახი ელექტროენერგიის საფასურს კომუნალური მრიცხველის ჩვენების აბონენტთა რიცხვზე გაყოფით იხდის.

# ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე მწარმოებლებს მთავრობა შეღავათებს ჰპირდება

*გუშინ "ნიკალაში" ფინანსური პოლიცია ნიღბებით არ შევარდნილა და ავტომატები დაფეთებული მოხუცებისა და ბავშვებისთვის არ მოუღერებია. იმის დასტურად, რომ საქართველოში სწრაფი კვების ობიექტებში კვება თქვენი ჯანმრთელობისა და ფსიქიკისთვის საშიში არ არის, გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა თბილისში მოქმედი კვების მრეწველობის კერძო ობიექტები მოინახულა. "ნიკორა"-"პეპსი კოლა" - ასეთი იყო პრემიერის გუშინდელი მარშრუტი.*

ბოლო დროს, კვების ობიექტების "მონახულება" საქართველოს ხელისუფლების და მათი ორგანოების პოპულარულ საქმედ იქცა. ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ, პირველად ხორცპროდუქტების მწარმოებელი ფირმა "ნიკორას" ახლად შეკეთებული საწარმო მოინახულა. პრემიერის თქმით, მას სურდა უშუალოდ ენახა, რა ტექნოლოგიებით მზადდება საკმაოდ პოპულარული "ნიკორას" პროდუქტი და რა პირობებში უწევს "ნიკორას" პერსონალს მუშაობა.

კომბინატის დათვალიერების შემდეგ პრემიერი კმაყოფილი ჩანდა. **"აღნიშნული კომბინატი თანამედროვე სტანდარტებით არის აღჭურვილი და იქ მართლაც მაღალი დონის პროდუქციის წარმოება ხდება,"** – განაცხადა ნოღაიდელმა.

"ნიკორას" ახალი საამქროს გაშვების ცერემონიალზე პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ თითოეული კომპანიისთვის პრიორიტეტული ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობა უნდა იყოს. შედეგად, ზურაბ ნოღაიდელი ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე მწარმოებლებს შეღავათებს დაჰპირდა.

ზურაბ ნოღაიდელის მომდევნო გაჩერება უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი კომპანია "პეპსი" იყო.

*24 საათი*

# ეკონომიკის სამინისტრომ გასაყიდად კიდევ 9 ობიექტი მოამზადა

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გუშინდელი დღიდან განაცხადების მიღება გასაყიდად გამოტანილ კიდევ 9 ობიექტზე დაიწყო. ესენია: სააქციო საზოგადოება "ვაზიანი-2000", რომელიც თბილისში, ორხევის დასახლებაში მდებარეობს. მისი საქმიანობის სფეროა სამელიორაციო სისტემების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომარაგება. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 220 ათასი აშშ დოლარია.

გაიყიდება გურამიშვილის გამზირზე მდებარე შპს "იერი", რომლის საწყისი ფასი 60 ათასი დოლარია.

გასაყიდად არის გამოტანილი შპს "ფაზისი", საწყისი ფასით - 100 ათასი დოლარი. იყიდება ასევე ს\ს "საქსურსათმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ძველი საწარმოო შენობა, რომელიც თბილისში 300 არაგველის ქუჩა N 2\3-ში მდებარეობს. მისი საწყისი ფასი 155 ათასი დოლარია.

ს\ს "საქსურსათმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული სასადილოს შენობა, რომლის საწყისი ფასი 30 ათასი დოლარით განისაზღვრა, გასაყიდ ობიექტთა სიაში მოხვდა.

განაცხადების მიღება დაიწყო ასევე, შპს "სპორტმშენსერვისის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული კრივისა და ძალოსნობის დარბაზებზე, რომელთა საწყისი ფასიც, შესაბამისად, 40 ათასი და 30 ათასი დოლარია. ობიექტი ჭავჭავაძის გამზირზე N 49-შია განთავსებული და ის კონკურსის წესით გაიყიდება.

გაიყიდება თბილისში, ჩაჩავას ქუჩის N2-4-6-8-10-ში მდებარე, დანადგარების ღია საწყობი (დიღომი) და მასზე დამაგრებული მიწის ფართი, რომლის საწყისი ფასი 44 ათასი დოლარია.

ჩამოთვლილ ობიექტებზე განცხადებების მიღების ბოლო ვადა მიმდინარე წლის 27 ივლისის 17 საათია. აუქციონი კი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 28 ივლისს 16 საათზე გაიმართება.

*24 საათი*

# საქართველოში ახალი სადაზღვევო პროდუქტი შემოვა

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ქონებისა და ჯანმრთელობის ხელმისაწვდომ ფასად დაზღვევის ოპტიმალური სადაზღვევო პროდუქტი საქართველოში განვითარებულ და დსთ-ს ქვეყნებში მოქმედი მოდელის მიხედვით დამუშავდება.

როგორც საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო სამსახურის უფროსის მოადგილემ ეკა წერეთელმა გვაცნობა, სხვა ქვეყნების გამოცდილებას ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები "საერთაშორისო მიკროდაზღვევების რეგიონულ სიმპოზიუმზე" გაიზიარებენ.

მისი ინფორმაციით, ორდღიანი სიმპოზიუმი, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობენ, თბილისში სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სამშაბათს გაიხსნება.

წერეთელმა პრაიმ-ნიუსთან საუბარში აღნიშნა, რომ მიკრო-სადაზღვევო პროდუქტი სომხეთსა და ყაზახეთშია დანერგილი. მისი განმარტებით, მიკროდაზღვევის შემთხვევაში, დაზღვევის პრემია და, შესაბამისად, მისი ანაზღაურების თანხა მცირეა.

ამჟამად, საქართველოში არსებული, სიცოცხლის და არასასიცოცხლო დაზღვევის პროდუქტები ხელმისაწვდომია მხოლოდ მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებისა და მსხვილი კომპანიებისთვის.

*24 საათი*

## მოკლედ

### ცვლილება "ელექტროკავშირის" აბონენტებისთვის

სს "საქართველოს ელექტროკავშირის" აბონენტებისთვის პირველი ივლისიდან სხვა სატელეფონო ოპერატორების აბონენტებთან დაკავშირება ფასიანი გახდება. როგორც კომპანიში აცხადებენ, სხვა სატელეფონო ოპერატორებთან დაკავშირება ელექტროკავშირის აბონენტებისთვის 8-22 კოდით გახდება შესაძლებელი, ხოლო 1 წუთის ღირებულება 2 თეთრი იქნება. როგორც "საქართველოს ელექტროკავშირში" განმარტავენ, კომპანიამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაკოტრებისგან თავის დასაცავად მიიღო, ვინაიდან კავშირგაბმულობის დარგის რეგულატორის, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, ოპერატორი კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირება ფასიანია (ამოქმედდება ურთიერთჩართვის ტარიფი). შეღავათებით მოსარგებლე სოციალურად დაუცველი ფენებისთვის 100 წუთი სატელეფონო საუბარი უფასო იქნება, - აცხადებენ ელექტროკავშირში. სს "საქართველოს ელექტროკავშირს" სატელეფონო საუბრებზე წუთობრივი ტარიფის დაწესების მცდელობა გასულ წელსაც ჰქონდა, თუმცა პარლამენტის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ურთიერთჩართვის ტარიფი გააუქმა და, შესაბამისად, ზარები უფასო დარჩა. **24 საათი**

### ირაკლი კოვზანაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

27-30 ივნისს ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკში, აშშ განვითარების სააგენტოს (USAID) ინიციატივით, ტარდება კონფერენცია, რომელიც ეძღვნება საგადასახადო პოლიტიკის და საგადასახადო ადმინისტრირების საკითხებს განვითარებად და ტრანსფორმაციულ ქვეყნებში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობს 80-მდე ქვეყნის წარმომადგენელი, მათ შორის, საქართველოდან - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე. იგი საქართველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმების, საბიუჯეტო პროცესების, ახალი საგადასახადო კოდექსის და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ მოხსენებით გამოვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისას, დაგეგმილია ირაკლი კოვზანაძის შეხვედრები აშშ საბანკო დეპოზიტების დაზღვევის ფედერალურ სააგენტოში და, ასევე, აშშ კონგრესის საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლებთან. **24 საათი**

### საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმაგი დაბეგვრის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა

დასრულდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. პარლამენტის თავმჯდომარემ და ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ უ ბანგომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ორმაგი დაბეგვრის შესახებ, რაც ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს წევრმა ტან ციზუანმა განაცხადა, რომ ჩინეთი საქართველოს საიმედო პარტნიორად მიიჩნევს და მას 20 მილიონ იუანს საჩუქრად გამოუყოფს. **24 საათი**

# „ერთი ფანჯრის პრინციპი" - სახელმწიფო რეესტრი კორუფციის გარეშე

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავში იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს პილოტური ოფისის პრეზენტაცია გაიმართა. ეს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე ეგრეთ წოდებული "საპასპორტოების" რეორგანიზაცია-რეფორმის პირველი შედეგია. ექვსთვიანი პროექტი, გრანტის სახით, დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და იუსტიციის სამინისტროს ექსპერტებთან ერთად გაერო-ს განვითარების პროგრამის კონსულტანტთა ჯგუფი ახორციელებს. ტარდება დიდი მოცულობის სამუშაოები – კეთდება შენობების კომპლექსური რემონტი, ოფისები აღჭურვილი იქნება ლოკალური კომპიუტერულ-საკომუნიკაციო ქსელით, სპეციალური ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით და სამოქალაქო აქტების წარმოებისათვის სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემით. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი ფორჩხიძის თქმით, "ეს არის დარბაზის მოდელი, როცა მოქალაქეები კორიდორებში სიარულით აღარ დაიღლებიან; აღარ იარსებებს ჩაკეტილი ოთახების სისტემა და მთელი მუშაობა განხორციელდება აბსოლუტურად ტრანსპარენტულად".

სახელმწიფო რეესტრის რუსთავის ოფისის გახსნას იუსტიციის მინისტრი, ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები ესწრებოდნენ.

კოტე კემულარია, იუსტიციის მინისტრი: "ეს არის საქართველოს მთავრობის სამართლებრივი რეფორმისა და, ასევე, ანტიკორუფციული ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი. ამიერიდან ჩვენს მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, სწორედ "ერთი სარკმლის პრინციპით", ყველა სტანდარტის დაცვით, მიიღონ თანამედროვე მომსახურება. ტრეინინგგამოვლილი, სერიოზული კონკურსების შემდეგ ამ თანამდებობაზე მოხვედრილი მოხელეები, იუსტიციის სამინისტროს დაფინანსების ქვეშ იქნებიან მომავალში. ისინი, დარწმუნებული ვარ, ერთი სარკმლის პრინციპით არასოდეს აიღებენ ქრთამს მომავალში და იქნებიან მუდმივი კონტროლის ქვეშ საზოგადოებისაგან".

ლანს კლარკი, გაერო-ს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი: "ეს არის კონკრეტული გამოხატულება იმ თანამშრომლობისა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას, ევროკავშირსა და გაერო-ს განვითარების პროგრამას შორის ხორციელდება. დღეს თქვენ ხედავთ ამ თანამშრომლობის რეალურ, ხელშესახებ შედეგს. მინდა, გავამახვილო ყურადღება იმ კონკრეტულ სარგებელზე, რომელსაც ეს პროექტი მოუტანს საქართველოს. პირველი და მთავარი არის ის, რომ მოქალაქეს შეუძლია მოვიდეს და ერთ დღეში მიიღოს 14 სხვადასხვა სახის დოკუმენტი - ანუ ეს არის ნიმუში იმ რეფორმისა, რომელსაც მთავრობა ახლა ახორციელებს. საქართველოში დღემდე ასეთი ცენტრი არ გახსნილა და რუსთაველებს შეუძლიათ იამაყონ, რომ ისინი პირველები არიან. ამ ტიპის კიდევ ოთხი ოფისი გაიხსნება საქართველოს მასშტაბით ევროკავშირის დახმარებითა და დაფინანსებით. ჩვენთვის ცნობილია, რომ არჩევნების დროს საქართველოში რეგისტრაციასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა, ამ სისტემის დანერგვის შემდეგ მსგავსი რამ აღარ მოხდება."



რუსთავში დასავლური ტიპის საპასპორტო სამსახური გაიხსნა.

ტორბენ ჰოლცე, ევროკავშირის ელჩი საქართველოში: "ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო რეესტრის რეფორმას, რათა შეიქმნას მოქალაქეთა რეგისტრასციის ხელმისაწვდომი, მოსახერხებელი და ადვილად გასაგები სისტემა. მიმდინარე პროგრამის ფარგლებში ევროკომისია აფინანსებს სამი საცდელი ოფისის შექმნას და ხუთის ტექნიკურ აღჭურვას. მომავალში ევროკავშირი გააგრძელებს იმ პროექტების მხარდაჭერას, რომელიც საქართველოში სახელმწიფო რეესტრის რეფორმას დაეხმარება. სიახლის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი არის ის, რომ ახალი სისტემა გულისხმობს "ერთი ფანჯრის" სისტემას და საჭირო აღარ იქნება სხვადასხვა ინსტანციაში მისვლა. რაც მთავარია, ამ პროგრამის რეალიზება ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კორუფციის დაძლევა და მიზანმიმართული რეფორმების განხორციელება. სანდო და გამართულად მომუშავე სამოქალაქო რეესტრი სახელმწიფოს ბევრი პრობლემის მოგვარებაში შეუწყობს ხელს. სახელმწიფო რეესტრის რეფორმები საქართველოში დემოკრატიის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია".

უახლოეს პერიოდში, ამავე პროექტის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები კიდევ ოთხ ქალაქში -თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და მარნეულში გაიხსნება.

# „კრაზანას" კიდევ ერთი ნადავლი

*ესპანური "კრაზანას" ბადეში კიდევ ერთი, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული მოხვდა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ეს უკვე 29-ე პირია, რომელიც ესპანელმა სამართალდამცველებმა ადგილობრივი მასმედიის მიერ უმსხვილეს ოპერაციად მონათლული Avista-ს (კრაზანა) ფარგლებში დააპატიმრეს.*

ოპერაცია Avista, რომელშიც, ესპანური წყაროების ცნობით, პოლიციის 400 აგენტი იღებდა მონაწილეობას და რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ესპანეთის ნაციონალური სასამართლო კოლეგიის მოსამართლე ფერნანდო ანდრეუ, ერთ-ერთი უმსხვილესი იყო მათ შორის, რომელიც ესპანეთში ოდესმე განხორციელებულა. ოპერაციის მიზანი ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა გახლდათ და ამ ოპერაციის ფარგლებში პირველი მასობრივი დაპატიმრებები გასულ კვირას, პარასკევს დაიწყო. ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იმთავითვე იუწყებოდა, რომ Avista-ს ძირითად სამიზნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან უკანონოდ თუ კანონიერად ემიგრირებული ის პირები წარმოადგენდნენ, რომლებიც ესპანეთში მსხვილ დანაშაულებრივ საქმიანობაში, მათ შორის, ფულის გათეთრებაში, მოპარული მანქანებით ვაჭრობასა და მკვლელობების ორგანიზებაშიც კი იყვნენ შემჩნეულნი.

დაპატიმრებების პირველი ტალღა, როგორც ცნობილია, ესპანეთში, კერძოდ, ბარსელონაში მცხოვრებ ქართველებს შეეხო. საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ დაკავებულთა შორის საქართველოს მოქალაქე მხოლოდ ორი იყო. ესპანეთის ციხეში აღმოჩენილ ეთნიკურად ქართველთა რაოდენობა არ დაკონკრეტებულა. ესპანური პრესის ცნობით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დაკავებულთა ვინაობა და მოქალაქეობა, უმეტეს შემთხვევაში, არ სახელდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ოპერაციასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ დაკავებულები არიან დანაშაულებრივი დაჯგუფებების ლიდერები - მეტიც, ეწერა, რომ დააკავეს "კანონიერი ქურდები" (vori v zakone) - იმავე ესპანური მედია-წყაროების მიერ ოპერაცია Avista რუსული მაფიის წინააღმდეგ მიმართულად მოინათლა. ამ ტენდენციამ რუსეთის სახელისუფლებო წრეების უკმაყოფილება გამოიწვია, თანაც - იმდენად, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადებაც კი გააკეთა იმის თაობაზე, რომ ესპანეთში რუსეთის საკონსულოსთვის რუსეთის არც ერთი მოქალაქის დაკავების შესახებ არ უცნობებიათ და, შესაბამისად, საუბარი იმის თაობაზე, რომ ესპანელი სამართალდამცველები "რუსული მაფიის ბოსებს" ებრძვიან, მათი მხრიდან არაკორექტულია.

**"როგორც ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კომენტარებიდან და იქაური საინფორმაციო საშუალებებიდან ირკვევა, ტერმინი "რუსული მაფია", პირობითად, გამოიყენება ყველა დაპატიმრებულთან მიმართებაში. ამ ტერმინის უკან კი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ასევე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგი სახელმწიფოდან გამოსულთა მიერ შექმნილი დანაშაულებრივი დაჯგუფებების წევრები და ლიდერები იგულისხმებიან"**, - ნათქვამია განცხადებაში.

მიუხედავად ოფიციალური რუსეთის მიერ გამოთქმული პროტესტისა, ესპანელმა სამართალდამცველებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ დააპატიმრეს კიდევ ერთი რუსი მაფიოზი, ვინმე ვიტალი იდრილოვი. ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო მას ალიკანტეში ჩამოყალიბებული იმ დანაშაულებრივი ფინანსურ-ეკონომიკური სტრუქტურის ლიდერად მიიჩნევს, რომლის საშუალებითაც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე უკანონოდ მოპოვებული ფულის გათეთრება ხდება. ესპანური წყაროების ცნობით, იდრილოვთან ერთად დაპატიმრებულია ლიტვის - ერთი და ერთიც ესპანეთის მოქალაქე.

*24 საათი*

# ნაცემი რედაქტორი პოლიციას უნდობლობას უცხადებს

ზვიად რუაძე
*კახეთი*

*კახეთის რეგიონულ გაზეთ "იმედის" რედაქტორი გელა მთივლიშვილი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ სცემეს, გურჯაანის რაიონულ პოლიციას უნდობლობას უცხდებს და საქმის მოკვლევას სხვა რაიონის სამართალდამცველებისგან მოითხოვს. გაზეთის რედაქტორი გამოძიებისადმი უნდობლობის მიზეზს იმით ხსნის, რომ ინციდენტის დროს პოლიციას დამნაშავის დაკავება შეეძლო, მაგრამ საპირისპიროდ იმოქმედა. სამართალდამცველები კი, პირიქით, ამბობენ, რომ გელა მთივლიშვილი გამოძიებას ემალება. მომხდარ ინციდეტს კახეთში მოქმედი მესამე სექტორის წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ.*

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ კახეთის რეგიონში ჟურნალისტებზე თავდასხმის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, მაგრამ არც ერთი საქმის გამოძიება დღემდე არ დაწყებულა. რამდენიმე დრის წინ საკუთარ საცხოვრებელ სახლთან გაზეთ "იმედის" რედაქტორ გელა მთივლიშვილს უცნობმა პიროვნებამ უმოწყალოდ სცემა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის მასალების მოკვლევას გურჯაანის რაიონული პოლიცია აწარმოებს, დაზარალებული სამართალდამცველებს უნდობლობას უცხადებს. იგი ასეთი გადაწყვეტილების მიღებას იმით განმარტავს, რომ პოლიციამ დამნაშავე განგებ გაუშვა. **"იმ დროს, როდესაც თავს დამესხნენ, მალევე დავუკავშირდი პოლიციას, რომელსაც თვითმხილველებმა მიანიშნეს, თუ რა მიმართულებით წავიდა დამნაშავე, მაგრამ მათ პირიქით იმოქმედეს. ისინი ცხელ კვალს სხვა მიმართულებით გაჰყვნენ. გარდა ამისა, სამართალდამცველები მეუბნებიან, რომ იმ ქვეყანაში, სადაც პრემიერ-მინისტრს კლავენ, დიდი ამბავი, თუ რეგიონული გაზეთის რიგით ჟურნალისტს სცემეს. ასეთ შემთხვევაში, რომელ ობიექტურ გამოძიებაზეა საუბარი?!"** - კითხულობს გელა მთივლიშვილი. გარდა ამისა, გაზეთის რედაქტორი ეჭვობს, რომ მომხდარში, შესაძლოა, ადგილობრივი სამართალდამცველებიც იყვნენ გარეულები. ამის მიზეზად გელა მთივლიშვილი რაიონის პოლიციის უფროსის ცინიკურ ნათქვამს ასახელებს. **"როდესაც ნაცემი გადმომიყვანეს პოლიციაში, პოლიციის უფროსი მთელი ოცი წუთის განმავლობაში ცინიკურად იღრიჯებოდა და მეუბნებოდა - ისე ვერ ხარ ნაცემი, უფრო მეტის ღირსი ხარო. ვფიქრობ, ჩემს ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, ასევე მოიქცეოდა და გურჯაანის პოლიციასა და გამოძიებას უნდობლობას გამოუცხადებდა,"** - აცხადებს გაზეთის რედაქტორი.



გაზეთის რედაქტორი საქმის მოკვლევას სხვა რაიონის სამართალდამცველებისგან მოითხოვს.

მომხდარს "თავისუფლების ინსტიტუტისა" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" კახეთის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლობა გამოეხმაურა. მათი განცხადებით, ბოლო უნდა მოეღოს სამართალდამცველების მხრიდან ასეთ უკანონო ქმედებებს. **"ჩვენ ვგმობთ მომხდარს და იმედი გვაქვს, რომ სამართალდამცველები გონს მოეგებიან და ყველაფერს ობიექტური თვალით შეხედავენ"**, - განაცხადეს სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე მესამე სექტორის წარმომადგენლებმა.

არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს რაიონული პოლიციაც გამოეხმაურა. მათი თქმით, გაზეთის რედაქტორი გამოძიებას ემალება. **"აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენ – პოლიცია, დაზარალებულისგან მოვითხოვთ, რომ მოგვცეს ჩვენება, მაგრამ მას ამის სურვილი არ აქვს. გარდა ამისა, ვითხოვთ, რომ დაგვეხმაროს ფოტორობოტის შედგენაში და ის ამაშიც არ გვეხმარება. ჩვენ რა გავაკეთოთ"?!** - კითხულობს პოლიციის უფროსი არჩილ ბოჟაძე.

გაზეთ "იმედის" რედაქტორი უნდობლობის კიდევ ერთ მიზეზად იმას ასახელებს, რომ რამდენიმე თვის წინ რედაქცია დაარბიეს და პოლიციას საქმე ბოლომდე არ მიუყვანია. რაც შეეხება ცემის ფაქტს, იგი ამბობს, რომ მომხდართან დაკავშირებით სამი ვერსია აქვს. ერთ-ერთი ამ ცოტა ხნის წინ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელების წინააღმდეგ არასამთავრობოების კლუბის სახელით გაკეთებული განცხადებაა - კერძოდ, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილის ირგვლივ ატეხილი სკანდალის უკან გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და მისი ძმა დავით ადეიშვილი იდგნენ. **"განცხადებას, რომელიც ჩვენ, არასამთავრობოებმა და ჟურნალისტებმა გავაკეთეთ, მედიაში დიდი რეზონანსი და გამოხმაურება მოჰყვა. არ გამოვრიცხავ, რომ მომხდარი ამას უკავშირდებოდეს. თუმცა, სხვა ვერსიებიც არის. ჩვენს გაზეთში სამართალდამცველების წინააღმდეგ არაერთი კრიტიკული მასალა დაიბეჭდა"**, - ამბობს გაზეთ "იმედის" რედაქტორი.

# დავით ტატიშვილის გატაცებაში ეჭვმიტანილებს პატიმრობა შეუფარდეს

სისხლის სამართლის საქმეთა საქალაქო სასამართლომ აკადემიკოს დავით ტატიშვილის გატაცებაში ეჭვმიტანილ პირებს აღკვეთის ღონისძიება შეუფარდა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში გამომძიებლებმა შუამდგომლობა, საპროცესო ნორმების დაცვით, გუშინწინ შეიტანეს. ბრალდების მხარე სამივე ეჭვმიტანილისთვის - ფირცხალავასთვის, ჯიბლაშვილისა და გოგიბერიძისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ აკადემიკოსი დავით ტატიშვილი 25 ივნისს, დილის შვიდ საათზე ვაკეში, ყიფშიძის ქუჩიდან გაიტაცეს. პოლიციამ დანაშაულში ეჭვმიტანილები გატაცებიდან რამდენიმე წუთში დააკავა.

არსებული წინასწარი მონაცემებით, გატაცება თანხის გამოძალვის მიზნით მოხდა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მერაბ ბაღათურიას განცხადებით, დაკავებულები არიან - 42 წლის გიორგი ჯიბლაშვილი, 45 წლის შოთა გოგიბერიძე და 42 წლის ლევან ფირცხალავა, რომელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 143-ე მუხლით აღიძრა. იმ შემთხვევაში თუ ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში დადანაშაულებულ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს, წაყენებული ბრალდება დაუდასტურდებათ, 5-დან 15 წლამდე პატიმრობა ელით.

გავრცელებული ინფორმაციით, "ნივის" მარკის ავტომანქანა, რომელიც გატაცებისას გამოიყენეს, რეგისტრირებულია ვინმე ზედგენიძის სახელზე და ავტომანქანა შეძენილია ლევან ფირცხალავას მიერ.

ამჟამად პოლიცია არკვევს, აქვთ თუ არა აღნიშნულ პირებს მსგავსი ან სხვა რაიმე დანაშაული წარსულში ჩადენილი. დაკავებულთაგან ერთ-ერთი – ჯიბლაშვილი წარსულში ნასამართლევია.

*24 საათი*

## მოკლედ

### დავით მირცხულავას პროცესზე რევაზ შავიშვილი და ემზარ ჩაჩხიანი დაიკითხნენ

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას სასამართლო პროცესზე კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი და „საქენერგოს" ყოფილი გენერალური დირექტორი ემზარ ჩაჩხიანი დაკითხეს. შავიშვილის განმარტებით, სომხეთის ენერგოკომპანიებისადმი „საქენერგოს" მიერ ვალის აღიარების დოკუმენტზე მირცხულავას ხელმოწერას რაიმე სამართლებრივი შედეგი არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ვინაიდან ეს შეთანხმება იყო ორ კერძო სუბიექტს შორის. სწორედ ამ დოკუმენტზე ხელმოწერის გამო ედავებიან დავით მირცხულავას სახელმწიფოს 6 მლნ ლარით დაზარალებაში. პროკურატურა მიიჩნევს, რომ ამით მირცხულავამ ვალი აღიარა, თუმცა ბრალდებულის დამცველი ეკა ბესელია აცხადებს, რომ მირცხულავას ხელმოწერა სომხურ და ქართულ ენერგოკომპანიებს შორის მოლაპარაკებაზე დასწრების ნიშანი იყო და არა ვალის აღიარებისა. მსგავსი განმარტება მისცა სასამართლოს ემზარ ჩაჩხიანმაც.

ამასთან, პროცესზე მოწმეებად დაბარებული სომხეთის ენერგოკომპანიების წარმომადგენლები თბილისის საოლქო სასამართლოში არ გამოცხადდნენ. მათ ამის მიზეზად ავადმყოფობა დაასახელეს და სასამართლოს შესაბამისი ცნობები გამოუგზავნეს.

მირცხულავას საქმის სააპელაციო წესით განხილვა საოლქო სასამართლოში ორი კვირის წინ დაიწყო. საოლქო სასამართლო თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს 2005 წლის 30 მარტის განაჩენის კანონიერებას იხილავს, რომლითაც ბრალდებულს 10 წლით პატიმრობა შეეფარდა.

მირცხულავას პროცესი 22 ივლისს განახლდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გეგუთიდან და ორთაჭალის ციხიდან გაქცეული პატიმრები დააკავეს

განზრახ მკვლელობის, ქრთამის მიცემისა და კოლონიიდან გაქცევისათვის სამართალდამცველების მიერ ძებნილი, ნასამართლევი, 23 წლის ნუკრი დვალიშვილი პოლიციელებმა და მესაზღვრეებმა თბილისის აეროპორტის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, დვალიშვილი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გეგუთის მკაცრი რეჟიმის N8 დაწესებულებიდან 41-კაციან შეიარაღებულ პატიმართა ჯგუფთან ერთად ერთი წლის წინათ გაიქცა. ამ დროს მოკლეს შიდა საგუშაგოს კონტროლიორი იაგო რობაქიძე.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ორთაჭალაში დააკავეს საპატიმროდან გაქცევისათვის ძებნილი, 42 წლის ავთანდილ კორძაია. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ავთანდილ კორძია 441 პატიმართან ერთად 2004 წლის 14 ივნისს გეგუთის კოლონიიდან გაიქცა. იგი გასამართლებული იყო ყაჩაღობისთვის და მისჯილი ჰქონდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კანონის მიხედვით, აღნიშნულ პირებს სასჯელი 5 წლამდე დაუმძიმდებათ; ანუ ძველ სასჯელზე ახალი დანაშაულისთვის - გაქცევისთვის 3-დან 5 წლამდე პატიმრობა დაემატებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................

საკონტაქტო ტელეფონი........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "ნოვემბერის" შენობის ხელი საერთო გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# რაციონალური დაგეგმვა წარმატების საწინდარია

*საქართველოს ენერგეტიკა ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი გახდა. მთავრობის გადაწყვეტილებამ, საბოლოოდ დაუსვას წერტილი გაჭიანურებულ ენერგეტიკულ კრიზისს, ფართო საზოგადოებრიობის მოწონება და ყოველმხრივი მხარდაჭერა მოიპოვა. აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქმნა მხოლოდ პრობლემის გადაწყვეტის გზებსა და პრიორიტეტებზე, რაც ნათლად აისახა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში "24 საათის" ფურცლებზე "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" მიერ ორგანიზებულ პოლემიკაში.*

თეიმურაზ გოჩიტაშვილი
ექსპერტი

სპეციალისტთა აზრით, ხელისუფლება, ყოველ შემთხვევაში, მისი ის შტო, რომელიც ენერგეტიკულ საკითხებზეა პასუხისმგებელი, ხშირად ეკონომიკურად დაუსაბუთებულ, პოლიტიკურ რაციონალიზმს მოკლებულ, ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს გვთავაზობს. ასეთი გადაწყვეტილებების ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითებია ელექტროენერგეტიკული ობიექტების ე.წ. "გენერაცია-დისტრიბუციის პაკეტების" მიხედვით დაჯგუფება-პრივატიზაციისა და სექტორის რეფორმის და მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზაციის გეგმები, რაც ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა მონოპოლისტური სტრუქტურების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ბაზრის ლიბერალიზაციის პრინციპებიდან გადახვევა, ქვეყნის ეკონომიკისა და ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის თანმხლები უარყოფითი ეფექტების მაღალი ალბათობით. პრობლემა კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს იღებდა კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მომავალი მფლობელების ვინაობა, ფაქტობრივად, წინასწარ იყო განსაზღვრული.

ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტ-სპეციალისტთა და პოლიტიკურ კონსულტანტთა აქტიურობის შედეგად მოხერხდა ამ გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესის შეჩერება (ან გადადება მაინც. ყოველ შემთხვევაში, მაგისტრალურ გაზსადენებთან მიმართებაში).

თუმცა, მცდარ გადაწყვეტილებათა პრევენციის ეს მეთოდი, ზოგადად, აბსოლუტურად მიუღებელია, თუნდაც იმის გამო, რომ ყოველთვის არ არსებობს გარედან ზემოქმედების ისეთი ეფექტური ინსტრუმენტების ამოქმედების გარანტია, რაც საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში მოხდა, რამაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა.

ყურადსაღებია სხვა, არანაკლებ მავნე ტენდენციაც, როცა კეთდება რეალურ საფუძველს მოკლებული განცხადებები გადაუმოწმებელი პერსპექტივების შესახებ, რაც საზოგადოებრიობის, პოტენციური ინვესტორებისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელთა და ჩვენი სტრატეგიული პოლიტიკური პარტნიორების დეზორიენტაციას იწვევს. მაგალითისათვის გავიხსენოთ ირანიდან ბუნებრივი გაზის მიღების შესაძლებლობის განხილვა 2005 წლის დასაწყისში, ან ადგილობრივი საბადოებიდან გაზის მოპოვების შესაძლებლობები, როცა სპეციალისტებისთვის აპრიორი იყო ცნობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოუმზადებლობა და, შესაბამისად, ამ პროექტების აბსოლუტური არარეალურობაც მიმდინარე ეტაპზე. ამავე კონტექსტში უნდა იქნეს განხილული მოლაპარაკებები აზერბაიჯანთან და შაჰ-დენიზის კონსორციუმთან იმ რაოდენობის გაზის თაობაზე, რომლის მიღების ალბათობა დღევანდელ ეტაპზე არარეალურია და არც არის საჭირო, რადგან ერთი მხრივ, თვით აზერბაიჯანი საკუთარ მოთხოვნას, ჯერჯერობით, იმპორტით ავსებს, ხოლო მეორე მხრივ, ამ გაზის რეალური მომხმარებელი საქართველოში ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის.

ბევრად უფრო რაციონალური იქნება, თუ მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგებისა და ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების აქტუალური პრობლემების მოგვარება ობიექტურ საწყის ინფორმაციასა და საპროგნოზო მაჩვენებლებს დაეფუძნება და დასაწყისიდანვე სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით დაიგეგმება და განხორციელდება.

ამ თვალსაზრისით, საზოგადოებრიობის ყურადღებას უდავოდ იმსახურებს საქართველოს ენერგეტიკის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ახლო და საშუალოვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის დაგეგმვა და მისი რაციონალური გამოყენება ელექტროენერგეტიკაში. საკითხი ეხება გაზზე მომუშავე არსებული გენერაციის საშუალებების და დაგეგმილი აირტურბინების ფინანსური რესურსებითა და სათბობით რაციონალურ უზრუნველყოფასა და მათი აღდგენა-ექსპლუატაციის პრიორიტეტების განსაზღვრას.

როგორც ცნობილია, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ენერგოდეფიციტის საბოლოო აღმოფხვრისათვის ორიენტაცია, პირველ რიგში, საკუთარი გენერაციის საშუალებების ზრდაზე, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიით მომუშავე აირტურბინულ დანადგარებზე აიღო. ასეთი სტრატეგია უდავოდ პროგრესულია, რადგან ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაამტკიცა საკუთარი წარმოების უდავო პრიორიტეტი იმპორტთან შედარებით, თუნდაც ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ პირობებში მნიშვნელოვანი სიიაფით გამოირჩეოდეს.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამა ითვალისწინებს აირტურბინების მშენებლობას სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე, მიმდინარე წლის დეკემბერში ენერგოსისტემას დაემატება 110 (2X55) მეგავატი სიმძლავრის მარტივი სქემით მოქმედი აირტურბინები, მეორე ეტაპის დამთავრებისას, 2006 წლის თებერვალში – კიდევ 110 მეგავატი, მესამე ეტაპზე კი, რომლის დასრულება 2006-2007 წლების ზამთრის სეზონისათვის იგეგმება, დამატებული ორთქლის ტურბინები 80 მეგავატი სიმძლავრით. საერთო ჯამში, აირ- და ორთქლის ტურბინების ინტეგრალური ციკლით მომუშავე კომპლექსის მშენებლობის დასრულების შემდეგ, საქართველოს ენერგოსისტემას 300 მეგავატი სიმძლავრე შეემატება.

პარარელურად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლო დეფიციტის ლიკვიდაცია დამდეგი ზამთრის სეზონში (განსაკუთრებით, მის საწყის პერიოდში) დაწყებულია "ძველი" 120-მეგავატიანი ენერგობლოკების აღდგენაც.

ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, პირველი ეტაპის სამუშაოებს რუსული "ვნეშტორგბანკის" მიერ დაფუძნებული კომპანია "ინვესტენერჯი" შეასრულებს. შემდგომი ეტაპის სამუშაოების შესრულება კი ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას დაევალება.

"ინვესტენერჯის" პირობებით გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი საწყის ეტაპზე დაახლოებით 3.3 ცენტი/კვტსთ იქნება. ტარიფი, სავარაუდოდ, 4.5 ცენტამდე გაიზრდება, ინვესტირების შეღავათიანი პერიოდის გავლის შემდეგ, რაც დასტურდება კიდევაც სატარიფო განაცხადით. დაგეგმილი ჯამური ინვესტიცია 61 მლნ დოლარია, მათ შორის, 56 მლნ დოლარი ძირითადი სესხია მოწყობილობების შესაძენად და მშენებლობისათვის (ნაცვლად ადრე განცხადებული 46 მილიონისა) და 5 მლნ წლიური საბრუნავი სახსრები. შესაბამისად, 1 კვტ სიმძლავრის სამშენებლო ღირებულება დაახლოებით 550 $/კვტ-ს შეადგენს. ინვესტიციის დაბრუნების ვადა 7 წელია, ამორტიზაციის ნორმა 16 პროცენტი (ნაცვლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული 8 პროცენტისა).

სამინისტროს აზრით კი, ტარიფი უნდა შემცირდეს, რისთვისაც საჭირო გახდება მისი გაანგარიშების ამჟამად მოქმედი მეთოდოლოგიის შეცვლა და თანხების ამოღების მაჩვენებლის ზრდის გათვალისწინება.

ტარიფის შემცირებისათვის იგეგმება, აგრეთვე, 2006 წლისათვის ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის ამოქმედების შემდეგ ტრანზიტის საფასურად მიღებული იაფი ბუნებრივი აირის მიწოდება აირტურბინებისათვის.

გარდა ამისა, აირტურბინების მიერ გამომუშავებულ 1.5 მლრდ კილოვატსაათი ენერგიის შესყიდვის ვალდებულებას გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია კისრულობს, ხოლო მომხმარებელთა მიერ გადაუხდელი თანხების დაფარვა ბიუჯეტიდან იწარმოებს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ "ინვესტენერჯი" მარტივი სქემით აირტურბინის ხანგრძლივ გამოყენებას გეგმავს (გაზის დაგეგმილი ხვედრით ხარჯი დაახლოებით 0.29 კუბ.მეტრი/კვტსთ, მქკ = 34 პროცენტს) და პასუხისმგებლობას არ იღებს პროექტის შემდგომი ეტაპების წარმატებულ განხორციელებაზე, რამაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს კომპლექსიის მაღალი ეფექტურობა (მქკ დაახლოებით 50-57 პროცენტი). თუკი ეს ასეა, მაშინ შეფასებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ შარშან გარდაბნის მოქმედ მე-9-ე ბლოკზე გაზის საშუალო ხვედრითი ხარჯი იყო 0.3087 მ3/კვტსთ (როცა ბლოკი გაუჩერებლად ხანგრძლივად მუშაობდა - 0.28 მ3/კვტსთ). ე.ი. არსებული მე-9, და მისი ანალოგი მე-10 ბლოკი, პრაქტიკულად, იმავე ეკონომიკური პარამეტრებით ხასიათდება, როგორითაც, თეორიულად, ახალასაშენებელი აირტურბინული აგრეგატი მარტივი სქემით მუშაობისას. მე-9 ბლოკზე ეს მაჩვენებელი, და უკეთესიც, უკვე რეალურად მიღწეულია, ასაშენებელ აირტურბინაზე კი ეს მხოლოდ საპროექტო მონაცემია (შედარებისათვის: მე-9 და მე-10 ბლოკების ანალოგების საპროექტო მქკ 35-38 პროცენტია).

ცნობილია, რომ კომბინირებული (ზოგჯერ მას ინტეგრალურსაც უწოდებენ) ციკლით მომუშავე აირტურბინა შედარებით რთული სამართავია. მისი ხანგრძლივი და წარმატებული ექსპლუატაცია, ჯერჯერობით, საზღვარგარეთულ მასიურ პრაქტიკაშიც კი გაძნელებულია. მით უმეტეს, მისი საიმედო ფუნქციონირებისათვის ჩვენი არამდგრადი სისტემის პირობებში საჭირო გახდება სათანადო, ძვირადღირებული წინაპირობების უზრუნველყოფა. სხვათა შორის, ამ ფაქტორის შესახებ ერთმნიშვნელოვნად მიუთითეს უცხოელმა ექსპერტებმა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UN ECE) მიერ ორგანიზებულ, "თბილგაზის" პრობლემებისადმი მიძღვნილ, ამასწინანდელ სემინარზე.

როგორც ჩანს, პროექტის პირველი ეტაპის განხორციელების გეგმის რეალიზაცია, ფაქტობრივად, კონკურსის გარეშე შერჩეულ კომპანიას დაევალა, რომლისთვისაც დამატებით "სათბურის" პირობების შექმნაც არის გათვალისწინებული. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ნაჩქარევი და დაუსაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაა, რაც ენერგეტიკულ სექტორში ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს ვერაფრით წაადგება. ამავე დროს, არსებობს ალტერნატიული, ეკონომიკურად და, სისტემის საიმედოობის გაზრდის თვალსაზრისით, უფრო ეფექტური პროექტების განხორციელების საშუალება.

გასული წლების (2001-2004) განმავლობაში საქართველოში, საშუალოდ, 7.8 მლრდ კვტსთ ენერგია იხარჯებოდა (იხილე ნახაზი 1). აქედან დაახლოებით 6 მლრდ კვტსთ-ს ჰიდროსადგურები გამოიმუშავებდა, 0.75-0.8 მლრდ-ს - თბოსადგურები, იმპორტი დაახლოებით 1 მლრდ-ს უტოლდებოდა, დეფიციტი კი გადამხდელუნარიანი მომხმარებლისათვის კიდევ დაახლოებით 0.5-0.6 მლრდ კვტსთ-ს შეადგენდა.

ქვეყნის მთლიანი მოხმარების დაახლოებით 60 პროცენტი საყოფაცხოვრებო სექტორზე მოდის. თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონებში, ძირითადად, ენერგიის აღურიცხავი ხარჯვა წარმოებდა, ამჟამად დასრულებულია გამრიცხველიანების პირველი ეტაპის სამუშაოები. ახლად გამრიცხველიანებული მომხმარებლების მიერ სამომავლოდ მინიმუმ 20 პროცენტით შემცირდება ენერგიის ხარჯი (ამას ადასტურებს თელასის გამოცდილება და, საერთოდ, საერთაშორისო პრაქტიკა). მეორე მხრივ, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10-პროცენტიანი ზრდის დაგეგმვისას, იმ დაშვებით, რომ ეკონომიკის დარგებში ენერგიის მოხმარებაც პროპორციულად გაიზრდება (რეალურად, მოთხოვნა დამატებით ენერგიაზე გაცილებით დაბალი იქნება), შეიძლება დავასკვნათ, რომ დეფიციტის აღმოფხვრისა და მოთხოვნის სრული დაკმაყოფილებისთვის მომავალი 1 წლის განმავლობაში (ყველაზე კრიტიკულ პერიოდში - 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის სექტემბრამდე) არაუმეტეს 8.6-9.0 მლრდ კვტსთ ელენერგია იქნება საჭირო, რომლის დაბალანსება შესაძლებელია, ძირითადად, ადგილობრივ წარმოებული ელექტროენერგიით. თუმცა, მაგალითად საშობაო დღესასწაულების პიკური მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მაინც საჭირო გახდება ენერგიის იმპორტი, მიუხედავად იმისა, ამ დროისათვის აირტურბინა იფუნქციონირებს თუ არა.

ჰიდრორესურსების გამოყენებით ენერგიის გენერაციის პოტენციალი გასულ პერიოდში 6.0-6.5 მლრდ კვტსთ-ს შეადგენდა. პროგნოზის თანახმად, მიმდინარე სეზონში მდინარეებზე ხელშემწყობი მოდინების რეჟიმების და ხრამის, ენგურისა და სხვა ჰესებზე ჩასატარებელი სამუშაოების გათვალისწინებით, შეიძლება დაიგეგმოს ჰიდროსადგურებზე წარმოებული ენერგიის, მინიმუმ, 8 პროცენტით ზრდა (ყოველთვიურად საშუალოდ 50 მლნ დამატებითი კვტსთ 2001-2004 წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით), რაც ჯამური პოტენციალის 6.6-7.0 მლრდ კვტსთ-მდე გაზრდას უზრუნველყოფს (დაახლოებით 620 მლნ კვტსთ/თვეში ზაფხულის განმავლობაში და 500 მლნ კვტსთ/თვეში ზამთარში).

დამდეგი ზამთრის სეზონის დასაწყისში, 2005 წლის ოქტომბერ-დეკემბერში გარდაბნის თბოსადგურის მე-9 ბლოკისა და ენერგეტიკის სამინისტროს განვითარების გეგმის თანახმად აღდგენილ ერთ-ერთ "ძველ" ბლოკზე ყოველთვიურად დაახლოებით 250 მლნ კვტსთ-ის წარმოება იქნება შესაძლებელი (მე-9 ბლოკს შეუძლია იმუშაოს 250 მეგავატი სიმძლავრით ზამთრის სეზონის 7 თვის განმავლობაში. საჭიროა მხოლოდ დაახლოებით 400 მლნ კუბური მეტრი გაზის მიწოდების უზრუნველყოფა. აღდგენილი "ძველი" ბლოკის საიმედო პოტენციალი შეიძლება განისაზღვროს 100 მეგავატი სიმძლავრით, მაქსიმუმ, 3.5-4 თვის მუშაობის პირობებში).

შესაბამისად, ნოემბერ – დეკემბრის განმავლობაში, როცა მოთხოვნილება ენერგიაზე მკვეთრად გაიზრდება და, სავარაუდოდ, 820-850 მლნ კვტსთ-ს მიაღწევს (შედარებისათვის: რეალური საშუალო მოხმარება გასული წლების ამ პერიოდში დაახლოებით 720 მლნ კვტსთ-ს შეადგენდა), სისტემა იმპორტის გარეშე დეფიციტური დარჩება, რადგან საკუთარი გენერაციის საშუალებები იძლევიან დაახლოებით 750 მლნ კვტსთ-ის გამომუშავების საშუალებას (იხილე ნახაზი 2).

ამასთან, აირტურბინების ამოქმედების შემთხვევაში, გეგმის მიხედვით, ენერგიის წლიური ბალანსი დადებითი იქნება, თუმცა ეს, ძირითადად, 2006 წლის გაზაფხულზე ჭარბი ენერგიის წარმოების ხარჯზე მოხდება.

ალტერნატიული ვარიანტით, თუ 2-3 წლის შეღავათიან რეჟიმში მუშაობის გარანტიით აღდგება მე-3, მე-4 და მე-8 "ძველი" ბლოკები, მაშინ მათი რეალურად მიღწევადი სიმძლავრის – 100 მგვტ-ის გათვალისწინებით, და თითოეულის წლიური დატვირთვით 2650 სთ (3.5 თვე), ზამთრის სეზონზე დამატებით 800 მლნ კვტსთ ენერგიის წარმოება შეიძლება (საიმედოობის მიზნით, მხოლოდ 2 ბლოკი იმუშავებს, ერთი კი მუდმივად ცხელ რეზერვში იქნება).

ჯამში საკუთარი გენერაციის საშუალებებით შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ელენერგიაზე მინიმალური მოთხოვნა – 8.6-8.8 მლრდ კვტსთ (იხილე ნახაზი 3), და ეს სრულიად რეალისტურია, მოითხოვს დაახლოებით 10 მლნ დოლარს პროფილაქტიკურ-აღდგენით სამუშაოებზე და 42 მლნ დოლარს გაზის შესყიდვაზე.

ამ სცენარის რეალიზაციის შემთხვევაში, თუ "ძველი" ბლოკების აღდგენა ახლავე დაიწყება, და რაც მთავარია ფინანსებით იქნება უზრუნველყოფილი, ოქტომბრის ბოლოს სრული მზადყოფნა იქნება შესაძლებელი. არავითარი ახალი თბოგენერაციის საშუალებების ფორსირებული (რეალურად კი, მეტად სათუო) მშენებლობის აუცილებლობა ასეთი სცენარის შემთხვევაში არ არსებობს.

შესაბამისად, დამდეგი ზამთრის სეზონში ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის ერთ-ერთი რეალური ვარიანტი არის თბილსრესის "ძველი" ბლოკების აღდგენა და მათი, აგრეთვე, მე-9 ბლოკის გარანტირებული მომარაგება გაზით (დაახლოებით 600 მლნ კუბური მეტრი – სექტემბერ-მარტის პერიოდში, რისთვისაც პირველ რიგში უნდა იქნას გამოყენებული მოხმარებული ენერგიის ამოღებიდან მიღებული გაზრდილი შემოსავლები). პარალელურად, ნებისმიერი ეკონომიკურად გამართლებული შესაძლებლობისთანავე იმპორტის ჩართვა ბალანსში და ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეების რაციონალურ რეჟიმში ექსპლუატაცია, განსაკუთრებით ზამთრის ცივი და სადღესასწაულო დღეების პიკური დატვირთვის დასაკმაყოფილებლად, როცა თვიურმა მოთხოვნამ 900 მლნ კვტსთ-ს შეიძლება გადააჭარბოს, საიმედოდ უზრუნველყოფს ქვეყნის გარანტირებულ მომარაგებას საჭირო ოდენობის ენერგიით. (ცნობისათვის – იმპორტირებული სიმძლავრის ჯამური თეორიული პოტენციალი რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან, მინიმუმ, 400 მეგავატს შეადგენს).

რაც შეეხება განვითარების პერსპექტივებსა და პრიორიტეტებს, თბილსრესის მე-10 ბლოკის (ქვაბის) აღდგენის ღირებულება მწარმოებლის (ტაგანროგის ქვაბ-აგრეგატების ქარხანა) მონაცემებით, 58 მლნ დოლარი დაჯდება, რაც მშენებლობისა და გაშვება-გამართვის სამუშაოებსაც მოიცავს. საჭირო დრო 18 თვე, დადგმული სიმძლავრე 300 მგვტ. შესაბამისად 1 კვტ სიმძლავრის მშენებლობის (ამ შემთხვევაში აღდგენის) ღირებულება 186 $/კვტსთ-ია, რაც თითქმის 3-ჯერ უფრო ნაკლებია მარტივი სქემით მომუშავე აირტურბინების მშენებლობის ღირებულებაზე. ეს კი შესაბამისად აისახება ტარიფზეც (მხოლოდ ამ ფაქტორის გამო ენერგია დაახლოებით 0.5 თეთრით იაფი იქნება). რეალურად, ამ ტურბინის ამოქმედება, დაახლოებით 32-პროცენტიანი მქკ-თი, მინიმალური დაყვანილი ინვესტიციითა და ამორტიზაციის კოეფიციენტით (8 პროცენტი) შესაძლებელია 2006-2007 წლის ზამთრის სეზონის დადგომამდე. შესაბამისად, ბიუჯეტიდან ტარიფის რაიმე ფორმით დაფარვის გარანტიების გაცემა, რაც პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია, ამ შემთხვევაში საჭირო აღარ გახდება.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ამ ბლოკის აღდგენით მნიშვნელოვნად გაიზრდება მოქმედი მე-9 ბლოკის მუშაობის საიმედოობაც და შემცირდება გენერირებული ენერგიის თვითღირებულება, რადგან მე-9 და მე-10 ბლოკები უკვე მზა ინფრასტრუქტურის: ტრანსფორმატორების, მართვისა და ძალოვანი ქსელების, ავტომატიზაციის სისტემის, ქიმიური საამქროს, გაზმომარაგების სისტემის, შენობებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების და ა.შ. ერთობლივ ექსპლუტაციაზე არიან გათვლილი. ჩვენი აზრით ამ ბლოკის აღდგენა უპირველესი პრიორიტეტი უნდა იყოს, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით დაახლოებით 1.1-14 მლრდ კვტსთ შედარებით იაფი ენერგიის გარანტირებულ გამომუშავებას წლიურად.

რა თქმა უნდა, პრიორიტეტულია თანამედროვე ტექნოლოგიით მომუშავე აირტურბინების მშენებლობაც, მაგრამ დაგეგმვისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებელია ჩვენი ქვეყნის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიზნების გათვალისწინება და შესაბამისი მეთოდებისა და პარტნიორების შერჩევა, რეალური დროის ფაქტორის გათვალისწინებით (ასეთი ტურბინის ექსპლუატაციაში გაშვების ტექნიკურად უზრუნველყოფილი და ეკონომიკურად მიზანშეწონილი დრო არ შეიძლება იყოს უადრეს მომავალი წლის შემოდგომისა).

თუ 2006-2007 წლის ზამთრის სეზონისათვის განხორციელდება მე-10 ბლოკის აღდგენა და 2 აირტურბინული აგრეგატის მშენებლობის დასრულება, მაშინ შესაძლებლობა იქმნება, უარი ითქვას "ძველი" ბლოკების შემდგომ ექსპლუტაციაზე და ისინი თანდათან ჩამოიწეროს, მწყობრიდან გამოსვლის კვალობაზე.

სამივე აირტურბინის ამოქმედების შემთხვევაში კი, მე-9 და მე-10 ბლოკებთან, და აღდგენილ ჰიდროსიმძლავრეებთან ერთად იქმნება საშუალება წლიურად მინიმუმ 12 მლრდ კვტსთ-ის წარმოებისათვის, რაც 2008-2010 წლებში დაახლოებით 0.5 მლრდ კვტსთ, ზაფხულის წყალდიდობისას წარმოებული ჭარბი ჰიდროენერგიის ექსპორტის საშუალებასაც მოგვცემს, საკუთარი მოთხოვნის სრული დაკმაყოფილების გარდა.



ნახაზი 1.



ნახაზი 2.



ნახაზი 3.

## ძირითადი დასკვნები

**■ ენერგეტიკული დეფიციტის აღმოფხვრისათვის საკუთარი გენერაციის საშუალებების მშენებლობა, ნაცვლად იმპორტულ, თუნდაც იაფ ენერგიაზე ორიენტაციისა, უაღრესად რაციონალურ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გარანტირებული უზრუნველყოფისათვის, თუმცა მისი რეალიზაციისათვის სწორი მეთოდების შერჩევას საბოლოო სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის გადამწყვეტი როლი ენიჭება;**

**■ მიზანშეწონილია დაუყოვნებლივ დაიწყოს მე-10 ბლოკის საქვაბის აღდგენის სამუშაოები, რათა 2006-2007 წლის ზამთრის სეზონისათვის ის უკვე სრულ მზადყოფნაში იყოს. ეს არის თბოელექტრული გენერაციის დამატებითი სიმძლავრეების მიღების შედარებით ყველაზე იაფი, საიმედო და რეალური შესაძლებლობა. ამ ბლოკის აღდგენით მნიშვნელოვნად გაიზრდება მოქმედი მე-9 ბლოკის მუშაობის საიმედოობაც და შემცირდება გენერირებული ენერგიის თვითღირებულება, რადგან მე-9 და მე-10 ბლოკები უკვე მზა ინფრასტრუქტურის ერთობლივ ექსპლუატაციაზე არის გათვლილი;**

**■ დამდეგი ზამთრის სეზონში ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის ერთ-ერთი რეალური ვარიანტი არის თბილსრესის "ძველი" ბლოკების აღდგენა და მათი, აგრეთვე, მე-9 ბლოკის გარანტირებული მომარაგება გაზით სექტემბერ-მარტის პერიოდში. პარალელურად, ნებისმიერი, ეკონომიკურად გამართლებული შესაძლებლობისთანავე იმპორტის ჩართვა ბალანსში და ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეების რაციონალური ექსპლუტაცია საიმედოდ უზრუნველყოფს ქვეყნის გარანტირებულ ელექტრომომარაგებას მთელი წლის განმავლობაში;**

**■ თანამედროვე, ინტეგრირებული ციკლით მომუშავე აირტურბინების გამოყენების პროგრესული იდეა საქართველოს ენერგეტიკაში ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს, თუმცა იმის შეგნებით, რომ რეალურად, დამატებითი ენერგიის გარანტირებული მიღება შესაძლებელია არაუადრეს 2006-2007 წლის ზამთრის სეზონისა. შესაბამისად, აუცილებელია ინტენსიურად გაგრძელდეს სამუშაოები გაზტურბინების მშენებლობის უზრუნველსაყოფად, ძირითადად, დონორ ორგანიზაციებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან კოორდინაციით, როგორც ამას, მაგალითად, მეზობელი აზერბაიჯანი ახორციელებს;**

**■ ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული საკითხები ელექტროენერგეტიკისა და სათბობი რესურსების, ძირითადად, ბუნებრივი აირის სექტორების შესახებ არსებული ობიექტური ინფორმაციის ერთობლივი ანალიზისა და რეალისტური პროგნოზების საფუძველზე უნდა დაიგეგმოს. განვითარების სცენარები უნდა გამორიცხავდეს საბიუჯეტო სახსრების, მათ შორის, პოტენციური მოთხოვნების (მაგალითად, ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის) მიმართვას, არასახელმწიფო ეკონომიკური სუბიექტისათვის "სათბურის" პირობების შესაქმნელად, ეს ხელს შეუშლის ჯანსაღი კონკურენტული ურთიერთობებისა და ელენერგიისა და ბუნებრივი აირის ბაზრების რაციონალურ ფორმირებას, ქვეყნისათვის მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიით.**

ცნობისათვის: გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებრივი აირით ელექტროენერგეტიკული ობიექტების და, საერთოდ, ქვეყნის საიმედო მომარაგების, გაზის სექტორის განვითარების პერსპექტივებისა და მისი ტრანსპორტირებისა და რაციონალური უტილიზაციის სტრატეგიული საკითხები ცალკე განხილვისა და ანალიზის საგანია.

*P.S. მომავალ ორშაბათს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" შემოგთავაზებთ მასალას გაზის სექტორის ახალი პირობებისათვის, მათ შორის, აირტურბინების მომარაგებისათვის, ადაპტაციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.*

საქართველოს პირველი ვიცე-მისის ტაილანდური შთაბეჭდილებები



B2

აქ ტიტულის დასაცავად ჩამოვედი



B4

შვიდნი მესამეზე



B5

ნომრის სტუმარი

# კორუფციის სტილი შეიცვალა

*ერთი რამ შევნიშნე და უნდა ვთქვა; მით უფრო, რომ ეს ეხებათ "წვიმის მუსიკოსებს", რომელთაც გუშინ საღამოს ისევ ღია ცის ქვეშ მომართეს ინსტრუმენტები. მომრავლებულ მუსიკალურ რადიო თუ ტელეარხებზე, რევოლუციის დამთავრებიდან მყისვე სადღაც გაქრა რევოლუციის ჰიტი, განწყობა, ფერი, შეგრძნება, ადრენალინი, ერთობა, ცრემლი, სიხარული, ყიჟინა, რომელსაც "ჩვენ ავაშენებთ სახლს" ერქვა და, რომელსაც წვიმის მუსიკოსები იქამდე ასრულებდნენ, ვიდრე წვიმა მათ ინსტრუმენტებს გააფუჭებდა. სამაგიეროდ, ყველა ტელე-რადიო არხზე, გამუდმებით ტრიალებდა "ფონოგრამშჩიკების" "ჰიმნი", რომელიც მათ უკვე მშიდობიანად დასრულებულ რევოლუციას მიუძღვნეს და რომლის შთაგონება პოპულარულ "ვარსკვლავებს" რევოლუციის დამთავრებიდან მყისვე თბილ სტუდიაში ეწვიათ. ეს ქვემოთ წასაკითხ ინტერვიუსთან იქნებ არც იყოს დაკავშირებული, მაგრამ, მაშინ ეს იყო პირველი, არაპოლიტიკური სიმპტომი იმისა, რომ ამ ქვეყანაში ნამდვილი, სახალხო ცვლილებები რევოლუციურ მთავრობასაც კი არ უყვარს. პოლიტიკურ სიმპტომებს კი მრავლად ასახელებს ჩვენი დღევანდელი სტუმარი, მარკ მალენი. საზოგადოება მას "ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის" (NDI) დირექტორად უფრო იცნობს, რადგან ამ ინსტიტუტმა, მისმა საარჩევნო რეკომენდაციებმა და გაბედულმა პოზიციამ წინა ხელისუფლების შეცვლაში დიდი როლი ითამაშა. "საერთაშორისო გამჭვირვალობა" - კორუფციის მიზეზებისა და გზების გამომკვლევი ეს საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში 2000 წელს, ანუ მაშინ დარეგისტრირდა, როცა კორუფცია ჩვენი სახელმწიფო სისტემის განუყრელი ნაწილი იყო. როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მარკ მალენი ამბობს, იმ დროს კორუფციას ყველაფერი ჰქონდა მოცული და მიმართულების განსაზღვრაც კი ჭირდაო. ახლა, როცა კორუფციამ იცვალა ფერი, ფორმა, გამოიცვალა სახელი და გვარი, იმედია, ეს ორგანიზაცია ფრთებს გაშლის და გარკვეული რეკომენდაციებითაც დაეხმარება ხელისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას აღარც რეკომენდაციები მოსწონს, შენიშვნებსაც გაღიზიანებული ხვდება და თუ უკანასკნელი მოვლენებით ვიმსჯელებთ, მზად არის, ძალაუფლებას ის დემოკრატიული ღირებულებებიც გადააყოლოს, რის გამოც ხალხმა მას ძალაუფლება ანდო.*



ვახო ხაცელაძის ფოტო

სიჩქარის მომიზეზება და გაუგებარი არგუმენტებით გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება ყველაზე დიდი საფრთხეა, რაც ამ ქვეყანას ემუქრება. თუ რამ ამ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებას ხელს შეუშლის, ეს უპირველესად გაუაზრებელი, არაგრძელვადიანი გადაწყვეტილებები იქნება.

გუბერნატორების, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის შიში იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლების არგუმენტით, თუ ეს ხალხი პირდაპირ არჩეული იქნება, ხელისუფლება მათზე კონტროლს და შემოსავლებს კარგავს. ეს არ არის ჩემთვის ძალიან მყარი არგუმენტი და იგივეა, რაც შევარდნაძეს ჰქონდა, როდესაც ამ პოზიციებზე ხალხის პირდაპირი დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებდა.

მაია ჭალაგანიძე

**- ხელისუფლების შეცვლასთან ერთად შეიცვალა თუ არა კორუფციის მაღალი რისკის ზონები?**

- სექტორები, სადაც მაღალი ხარისხით არსებობდა კორუფცია, გარკვეულწილად შეიცვალა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - შეიცვალა კორუფციის სტილი. შევარდნაძის დროს ქვეყნის მართვა კორუფციაზე იყო დამყარებული, ეკონომიკა იყო კორუფციული. უფრო მეტი ფული მოძრაობდა მაგიდის ქვეშ, ვიდრე მაგიდის ზემოთ. კორუფცია სისტემის ნაწილი, მისი ლოგიკური გაგრძელება იყო. შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კორუფცია ისევ არსებობს, მაგრამ ეს უფრო არაორგანიზებულობით არის გამოწვეული. ჯერჯერობით, არა არის შემუშავებული მყარი სისტემა, რომელმაც შეიძლება კორუფცია გამორიცხოს.

**- კორუფციული ქვეყნების რეიტინგებში რა ცვლილებები შეგვეხო?**

- ამ რანგირებით საქართველო ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალ საფეხურზე დგას. ქვეყანაში კორუფციის დონის შესაფასებლად სხვადასხვა საშუალება და მეთოდი არსებობს. იმედია, ხელისუფლება მხოლოდ იმის გამო არ ებრძვის კორუფციას, რომ რეიტინგებში მაღალ საფეხურზე მოხვდეს. კორუფციის დამარცხების უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები არსებობს.

**- კორუფციაზე, პირველ რიგში, ქვეყნის ბიუჯეტი მეტყველებს. ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა. თქვენი აზრით, ამის პარალელურად დაიკლო კორუფციამ თუ ეს ზრდა ანტიდემოკრატიული მეთოდებით ბიუჯეტის შევსებამაც გამოიწვია?**

- ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა. საერთაშორისო ინსტიტუტებისგან, მსოფლიო ბანკისგან და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან არსებობს მოთხოვნა, რომ ქვეყანამ გაზარდოს შემოსავლები და ამ მოთხოვნის საპასუხოდ საქართველომ მართლაც გადადგა გარკვეული ნაბიჯები. ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რის საფუძველზე იზრდება ბიუჯეტი. რამდენიმე დღის წინ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მერი საკრებულომ უნდა აირჩიოს. რადგანაც საკრებულო ამტკიცებს ბიუჯეტს, რომელსაც მერი განკარგავს, მან ჩათვალა, რომ უმჯობესი იქნება, ეს ორი რგოლი ერთმანეთთან კარგ ურთიერთობაში იყოს. ხელისუფლების წარმომადგენლისგან ეს ძალზე თამამი განცხადება იყო. მისი ამ არგუმენტით, ბიუჯეტი უფრო მნიშვნელოვანი გამოდის, ვიდრე დემოკრატიული პროცესი, რომლითაც ხალხი თავის წარმომადგენელს - მერს ირჩევს.

ბუნებრივია, არსებობს კავშირი ბიზნესის განვითარებას და ბიუჯეტს შორის. სახელმწიფო აქცენტს ბიუჯეტის ზრდაზე აკეთებს და ბიზნესის განვითარებას შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ბიუჯეტის ზრდა ხშირად ბიზნესის ხარჯზე ხდება. კარგია, როდესაც სახელმწიფო მეტი თანხის ჩადებას ცდილობს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, გზების შეკეთებაში და ამისთვის ბიუჯეტს ზრდის. მაგრამ, ქვეყანაში აუცილებელია ეკონომიკის განვითარება, აუცილებელია ფულმა მუდმივად იმოძრაოს და ბიზნესს მუდმივად ჰქონდეს რეინვესტიციის საშუალება და ინტერესი. ეს ქვეყანას ეკონომიკურად უფრო წარმატებულს გახდის. მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ყურადღება ბიზნესიდან რაც შეიძლება მეტი ფულის ამოღებაზე აქვს გადატანილი, რა თქმა უნდა, ბიზნესის წარმატებულობისა და ზრდის ინტერესი შემცირებულია.

**- კონკრეტულად, რა მაგალითებს გულისხმობთ, როდესაც ბიზნესის ხარჯზე ბიუჯეტის გაზრდაზე საუბრობთ?**

- ერთ-ერთი მაგალითი დამოუკიდებელი არბიტრაჟის ინსტიტუტის შექმნიდან საკმაოდ მოკლე ხანში მისი გაუქმება იყო. საგადასახადო კოდექსის მიღების დროს ერთი-ერთი წარმატებული ცვლილება ამ ინსტიტუტის შემოღება იყო, მაგრამ როგორც კი მთავრობამ არბიტრაჟში რამდენიმე საქმე წააგო, ეს ინსტიტუტი გაუქმდა. სხვა საკითხია, რამდენად გამართული იყო ამ ინსტიტუტის მუშაობა, მაგრამ ის მომენტი, რომ ამას ჯერ დებ საგადასახადო კოდექსში, აცხადებ, რომ ეს არის წარმატება და შემდეგ, როგორც კი რამდენიმე საქმეს აგებ, მალევე აუქმებ - ცუდია.

აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ასევე პოლონეთში, ხელისუფლება ცდილობდა, შეძლებისდაგვარად გაემარტივებინა საგადასახადო პროცედურები. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსი კი საკმაოდ რთულად განსაზღვრავს ამ პროცედურებს. იმდენად, რომ გასამარტივებელი ცვლილებების ჩამონათვალი ათჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე დოკუმენტები, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნებში ამარტივებს ამ პროცედურებს.

**- არჩევნების ჩატარების დიდი გამოცდილება გაქვთ. დღეს ხელისუფლება მერის არჩევის საკმაოდ ჩახლართულ მეთოდს გვთავაზობს. თავის მხრივ, ოპოზიცია გააფთრებული იბრძვის ამის წინააღმდეგ. ამასობაში რა ეწირება ამ პოლიტიკურ პროცესს?**

- ასეთი საკითხების გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანია დისკუსიის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმდინარეობა. ხელისუფლებას ერთი საკმაოდ უარყოფითი ტენდენცია აქვს - ის სიჩქარეს იმიზეზებს და საკუთარ გადაწყვეტილებას იმით ამართლებს, რომ მისი მიღება სწრაფად და მოკლე დროშია აუცილებელი. ასეთი რამ ამ ხელისუფლების არსებობის მანძილზე არაერთხელ მოხდა. ერთ-ერთი მათგანი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება იყო - კონსტიტუციის შეცვლა დაჩქარებული წესით მოხდა და თან ისე, რომ ხელისუფლება შეეცადა, ყურადღება სხვა საკითხებზე გადაეტანა. კერძოდ კი, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვისა და მიღების დროს ტრანსპორტის მინისტრი დააპატიმრეს, ხოლო იმ დღეს, როდესაც პარლამენტში ცვლილებების კენჭისყრა უნდა შემდგარიყო, რამდენიმე საათით სხვადასხვა ტელეარხზე საინფორმაციო გადაცემები გაითიშა.

ცესკოს წევრების დამტკიცების დროსაც იგივე მოხდა - წარდგენილ კანდიდატურებს ძალიან მოკლე ვადაში ეყარა კენჭი, რის გამოც ამ საკითხებზე ფართო მსჯელობის საშუალება არ იყო. იგივე მეორდება არა ერთ საკითხთან დაკავშირებითაც... თუ ხელისუფლებას მერის არჩევითობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მართლაც აინტერესებდა საერთაშორისო პრაქტიკა, ევროკომისიისთვის ძალზე მარტივად შეეძლო გაეგზავნა ოფიციალური მოთხოვნა და აერჩია საქართველოსთვის მისაღები მოდელი.

**- ხალხი, რომელმაც ჩაატარა ბევრი არჩევნები, მოაწყო რევოლუცია, აირჩია პარლამენტი და პრეზიდენტი, პირდაპირ რატომ ვერ აირჩევს ქალაქის მერს? არის ეს ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხისთვის გამოცხადებული უნდობლობა?**

- გუბერნატორების, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის შიში იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლების არგუმენტით, თუ ეს ხალხი პირდაპირ არჩეული იქნება, ხელისუფლება მათზე კონტროლს და შემოსავლებს კარგავს. ეს არ არის ჩემთვის ძალიან მყარი არგუმენტი და იგივეა, რაც შევარდნაძეს ჰქონდა, როდესაც ამ პოზიციებზე ხალხის პირდაპირი დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებდა.

რაც შეეხება, ჩემს პირად აზრს - ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხის მიერ ადგილებზე იყვნენ არჩეულნი. ასევე მნიშვნელოვანია, ამ ხალხს ფინანსების კონტროლის საშუალება ჰქონდეს. საქართველოში არაერთხელ არჩეულა ისეთი საკრებულოები, რომელთაც არავითარი ფინანსური ბერკეტი არ გააჩნდათ. ასეთი საკრებულოს ან პირდაპირი, ან სხვაგვარი წესით არჩევას აზრი არ აქვს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პირდაპირი გზით უნდა იყვნენ არჩეულნი და მათ ფინანსური ბერკეტები უნდა ჰქონდეთ.

სხვადასხვა თანამდებობის პირებს თუ გადავხედავთ, გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება - თანამდებობის ის პირები, ვისაც ხალხი ირჩევს, ყურადღებას ხალხის ინტერესებზე ამახვილებენ და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცდილობენ. ასე იმიტომ იქცევიან, რომ შემდეგ არჩევნებზე ისევ მიაღწიონ წარმატებას. დანიშნული თანამდებობის პირები იმაზე უფრო მეტს ფიქრობენ, თუ როგორ ასიამოვნონ საკუთარ დამნიშვნელს, ვიდრე იმაზე, თუ რა სჭირდება ხალხს მოცემულ მომენტში.

**- რაც თქვენ ჩამოთვალეთ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ხელისუფლება ქვეყანაში სისტემური ცვლილებების გატარებას არ ცდილობს, ეს ასეა?**

- ძალიან რთულია ასეთი დასკვნის გაკეთება. სხვადასხვა სფეროში სისტემური ცვლილებები მართლაც არის და უფრო მეტი კი ამ ცვლილებების გატარების მცდელობა იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რასაც ეს ხელისუფლება აწყდება, არაორგანიზებულობაა - ხელისუფლება შეამჩნევს პრობლემას, ცდილობს, სწრაფად მოაგვაროს ის და შემდეგზე გადაინაცვლოს. პრობლემების გრძელვადიანი მოგვარების გეგმები კი არ ჩანს. თუ ეს ხელისუფლება გარკვეულად წარუმატებელი იქნება (იმედი მაქვს, რომ მაინც წარმატებული იქნება), ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ არაორგანიზებულობა გახდება.

**- ახლა ძალიან მოდაშია სიტყვა "ფორსმაჟორი", რაც ხან 20 ლიტრი დიზელის დარიგებას ეწოდება, ხან კონსტიტუციურ ცვლილებებს და ხან საჭმელი დაწესებულების შტურმს. ერთადერთი, რაც ამ ტერმინით არ აღინიშნა, საქართველოში მომხდარი წყალდიდობებია... როდის გამოდის პოსტრევოლუციური ქვეყანა ამ მდგომარეობიდან?**

- ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ტერმინი საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის ასე პოპულარული გახდა. ამ ტერმინის არგუმენტად მოხმობა ნიშნავს, რომ ვართ ზარმაცები, არაკომპეტენტურები საიმისოდ, რომ ნორმალურ პროცესებს მივყვეთ და ისე მივიღოთ გადაწყვეტილებები, როგორც ამას ნორმალური, დემოკრატიული პროცესი მოითხოვს.

**- საქართველო სიღარიბის დაძლევის "ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამაში მოხვდა. სხვები და განსაკუთრებით, აფრიკული ქვეყნები ჩივიან, რომ ეს ძალზე ბიუროკრატიული პროგრამაა. ეს იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ დამფინანსებლები ამ ჩამორჩენილი ქვეყნების მთავრობებს არ ენდობიან?**

- ათასწლეულის გამოწვევის ორი ოფისი არსებობს - ამერიკის და საქართველოსი. ბოლო პერიოდში საქართველოს ოფისი ცდილობს, უფრო გამჭვირვალე იყოს. რაც შეეხება, ამერიკის კორპორაციას, იქ გარკვეულ არაორგანიზებულობას ჰქონდა ადგილი და არასწორი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევებიც იყო.

"ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამის ძირითადი პრინციპი მარტივ პროცედურებს და ბიუროკრატიული ელემენტების მინიმუმს გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციას იგივე დაემართა, რაც საქართველოს მთავრობას სჭირს - გადაწყვიტეს, რომ თუ ფართო მსჯელობას გამართავდნენ და ბევრი ადამიანის აზრს მოისმენდნენ, ეს მათი მუშაობის ტემპს დააგდებდა.

**- ახლა როგორ მიდის პროცესები და რა სფეროებია მიჩნეული პრიორიტეტად?**

- ძირითად პრიორიტეტად ახალქალაქის მიმართულებით გზის გაკეთება, გაზსადენის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პროექტებია განსაზღვრული.

ძირითადი მიმართულებები საკმაოდ კარგად არის განსაზღვრული და ეს პროექტი საქართველოსთვის შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. მაგრამ, წარმატება გამჭვირვალობის მექანიზმებზეა დამოკიდებული. "ათასწლეულის გამოწვევა" ამ ქვეყანაში პირველად ხორციელდება. ძალზე მნიშვნელოვანია, რაიმე ხარვეზი და შეცდომა არ გაეპაროს საქართველოს ხელისუფლებას და თავად კორპორაციას. ეს პროგრამა საბოლოო სახეს ახლა იძენს. ამ დღეებში საქართველოს წარმომადგენლები ლაშა შანიძე და დენიელ კუნინი ვაშინგტონში არიან, სადაც კონტრაქტის საბოლოო სახეზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. ქართულ მხარეს სერიოზული შანსი აქვს, მოითხოვოს გამჭვირვალობის ძალზე მაღალი სტანდარტები და თავად განსაზღვროს, როგორი იქნება ფინანსების განაწილების ბერკეტები. იმედი მაქვს, რომ ქართველი ხალხი, ასევე არასამთავრობოები, ბიზნესსექტორი და მასმედია ამაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ.

საქართველოს წარმომადგენლობასთან შევთანხმდით, რომ ამ კონტრაქტის გაფორმებამდე არასათავრობოებს საბოლოო ვარიანტის გადახედვისა და ამ მექანიზმების გადამოწმების საშუალება მიეცემათ. იმედი მაქვს, რომ ამ პროცესში ჩვენი ჩართვა ფორმალური არ იქნება და ჩვენს შენიშვნებს გაითვალისწინებენ.

**- შემთხვევით, ხომ არ იცით, რატომ ჩამოვიდა საქართველოში ნილ ბუში, ეს ვიზიტი ბუნდოვნად გაშუქდა. ცხადია, ეს იყო მეგობრული ვიზიტი, მაგრამ რას ემსახურებოდა?**

- მეც ტეხასელი ვარ და ვიცი, რომ ბიზნესში არც ერთი ძმა არ უქნია ღმერთს. წარმოდგენა არა მაქვს, რატომ ჩამოვიდა ნილ ბუში, მაგრამ იმედი მაქვს, ამ ვიზიტს რაიმე შედეგი მოჰყვება.

**- ხედავთ სიმპტომებს, რაც აჩვენებს, რომ ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზიდან უხვევს?**

- გავიმეორებ - სიჩქარის მომიზეზება და გაუგებარი არგუმენტებით გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება ყველაზე დიდი საფრთხეა, რაც ამ ქვეყანას ემუქრება. თუ რამ ამ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებას ხელს შეუშლის, ეს უპირველესად გაუაზრებელი, არაგრძელვადიანი გადაწყვეტილებები იქნება.

კიდევ ერთი მომენტი, რაც ამ ხელისუფლებას უჭირს, ეს მასშტაბურ, მტკივნეულ პრობლემებზე შეჭიდებაა. მაგალითების მოყვანაც შეიძლება - ელექტროენერგიის პრობლემა. ეს არის ძალზე მტკივნეული საკითხი, რომელიც 6 თვეში ვერ მოგვარდება, მაგრამ ჯერჯერობით, არ არის შემუშავებული გრძელვადიანი პროგრამა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი პრობლემები და რისი გადაჭრა შეეძლება საქართველოს ხელისუფლებას.

ასეთივე შემთხვევაა ჯანდაცვასთან დაკავშირებით - აქაც ბევრი მტკივნეული გადაწყვეტილების მიღება იქნება საჭირო. ეს პროცესი დროში იწელება, ამ საკითხებზე ფართო მსჯელობა არ მიმდინარეობს. იგივე მდგომარეობაა წყალთან, ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით... ბევრი სხვა პრობლემის დასახელებაც შეიძლება. ერთი კონკრეტული რეკომენდაცია, რასაც ამ ხელისუფლებას მივცემდი, არის ის, რომ პროექტის სახით შექმნას არაოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ფართო განხილვის საგანი იქნება და რომელშიც ეწერება, თუ როგორი გვინდა იყოს საქართველო 20-30 წლის შემდეგ.

**- წინა ხელისუფლებას არ უყვარდით, არჩევნებზე დამკვირვებლებად არც კი გიშვებდათ. რას გრძნობთ ამ ხელისუფლებისგან?**

- ამ ქვეყანაში მეგობრული ურთიერთობები ძალზე მნიშვნელოვანია და უნდა არსებობდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს, ეს მოსმენის უნარია. ძალზე მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსს კრიტიკის მიღება და ამის სწორად შეფასება შეეძლოს...

შევარდნაძის გადადგომამდე ერთი თვით ადრე ქვეყანაში უზარმაზარი პესიმიზმი სუფევდა. ხალხი ფიქრობდა, რომ ეს იყო ყველაზე კორუმპირებული და განწირული ქვეყანა, რომელიც ვერასდროს ვერაფერს მიაღწევდა. თუმცა, მაინც არსებობდა დიდი რწმენა იმისა, რომ ყველა სირთულის მიუხედავად, ამ ქვეყანას გადარჩენის შანსი ჰქონდა და უკეთესი მომავალი ელოდა. ახალი ხელისუფლების პირობებში დადებითი ცვლილებების უფრო მეტი იმედია, მაგრამ ბოლო პერიოდში, შეიძლება, პესიმიზმმა ისევ წამოყო თავი. თუ ხელისუფლება ყურადღებას იმ საკითხებს მიაქცევს, რაზეც მისი ოპონენტები საუბრობენ და თუ ხელისუფლება მეტად ორგანიზებული გახდება, მეტ აქცენტს გააკეთებს გრძელვადიან დაგეგმარებაზე, მაშინ ქვეყანას თავისუფლად შეუძლია იყოს წარმატებული. ეს ხელისუფლება წარმატებული მხოლოდ მაშინ იქნება, თუ მოუსმენს ხალხს, ოპონენტებს, ბიზნესის წარმომადგენლებს და არასამთავრობოებს. თუ ეს ხელისუფლება კრახს განიცდის, ამის მიზეზი მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღებიდან ამ ჩამოთვლილი მხარეების გამოთიშვა იქნება.




### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"შპიონი ძიძა"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ.

"მისტერ და მისის სმითები"
დას: 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"ბეტმენი"
დას: 12:30; 15:00; 17:30; 20:00 სთ.

"მისტერ და მისის სმითები"
დას: 22:00 სთ.

### გამოფენები

**ბავშვთა სურათების გალერეა**
ცისანა ბაღდავაძის (12 წლის) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ვერნისაჟი**
70-იანი წლების ქართველ ავანგარდისტთა ნამუშევართა ჯგუფური გამოფენა
"რეპრესირებული ხელოვნება 17 წლის შემდეგ. კოლაჟი, ობიექტი"

**ბაიას გალერეა**
მაია ზაალიშვილის ფოტონამუშევართა გამოფენა

**უნივერსი**
თვითნასწავლ მხატვარ ქალთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა "ცისარტყელა"

**ჰობი**
"საუკეთესო ანტინარკოტიკული პლაკატი"

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**TMS**
სანდრო ანთაძის ნამუშევართა გამოფენა
(ფერწერა)

**შარდენი**
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ნიუ არტი**
კოტე მინდაძე
"ინფრაწითელი შოუ"

**ბავშვთა სურათების გალერეა**
თათა ჯანაშიას ნამუშევრების გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# დამძიმებული მეფე

## კონცერტი დაცემამდე

ვერა ნეფარიძე

*"ძირს მეფე!" - ირაკლი ჩარკვიანის ახალი ალბომის სახელწოდებაა. მაგრამ არავინ იცის, როგორია მთლიანობაში ნამუშევარი. ამას ვერც 30 ივნისს შეიტყობთ, კლუბ "16 რაუნდში" დანიშნულ წვეულებაზე. მეფე 2005 წლის პირველ კონცერტზე მხოლოდ ჰიტებს შეასრულებს და, როგორც თავად ამბობს, შეეცდება გვაჩვენოს ისეთი საქართველო, როგორსაც თავად ხედავს.*

კონცერტი თავისუფალი იქნება ყველანაირი კონცეპტუალური დატვირთვისგან. ამჯერად ირაკლი ჩარკვიანისთვის მთავარია გაუზიაროს მსმენელს ის ენერგია, რაც მასთან ბოლო შეხვედრიდან დღემდე დაუგროვდა. ბოლო კონცერტი კი" მეფეს" შარშან "აჭარა მიუზიქ ჰოლში" ჰქონდა; მაშინ პროგრამა აკუსტიკური იყო, ახლა - ელექტრო იქნება და ცოტა დამძიმებულიც. ანუ, როგორც თავად მუსიკოსი ამბობს, თავისი არსით, ალტერნატიულ როკ-კონცერტს ემსგავსება.

საკმაოდ დიდი პროგრამა (დაახლოებით 17-18 კომპოზიცია) მუსიკოსმა მსმენელისთვის ყველაზე ცნობილი კომპოზიციებით შეადგინა. ეს სიმღერები ახალ ინტერპრეტაციებს ჯგუფ "ენერგორესურსით" (დასარტყამი ინსტრუმენტი: კაკადუ, ბას-გიტარა: ლევანი) შეიძენს. სცენაზე ირაკლი და ქეთათო ამ მუსიკოსებთან ერთად შეასრულებენ ირაკლის ჰიტებს, რომლებიც პირველი ალბომიდან მოყოლებული დღემდეა გამოცემული.

"კონცერტი ყველა შემთხვევაში განსხვავებული გამოვა, რადგან ჟღერადობა იქნება განსხვავებული. მინდა მოვსინჯო, როგორი იქნება ამ ჟღერადობაში ის კომპოზიციები, რომელსაც პუბლიკა იცნობს. მე არ ვაპირებ ამ კონცერტით წარმოვადგინო ახალი ალბომი, რომელსაც ჰქვია "ძირს მეფე", იმიტომ, რომ ის სექტემბერში გამოდის და ჯერ ძალიან ადრეა დამხმარე კონცერტი გავმართო. წელს ოფიციალური სოლოკონცერტი არ მქონია. მინდა, რომ ჩემი ენერგია, რაც დამიგროვდა ამ ხნის განმავლობაში, გავუზიარო მსმენელს. ეს არის და ეს", - ამბობს ირაკლი ჩარკვიანი.

რაც შეეხება ახალ ალბომს, ის მზადაა. ყოველ შემთხვევაში, მასალაზე მუშაობას მუსიკოსი დასრულებულად მიიჩნევს და ამბობს, რომ ჩანაწერის გამოსვლის ვადებს მაშინ გადაწყვეტს, როდესაც მისი ტრილოგიის პირველი წიგნი გამოვა. რომანზე მუშაობა ირაკლიმ დაახლოებით ათი წლის წინათ დაიწყო და მას შემდეგ ბევრი ელოდება მის საჯარო დებიუტს პროზაში, მაგრამ მუსიკოსი ამბობს, რომ რომანი ახლა მივიდა დასრულებულ ფორმამდე. წიგნის გამოცემით ლაშა ბერაიას "ლოგოს პრესია" დაინტერესებული. "ჯერჯერობით დავთანხმდი და სხვა გამომცემლობებთან ურთიერთობას არ ვამყარებ. ღმერთმა უკეთესად იცის, ვის უნდა შენი წიგნის დაბეჭდვა; რახან მათ შემომთავაზეს, ესე იგი, მათ უნდა დაბეჭდონ", - ამბობს ირაკლი და გვაცნობებს, რომ წიგნი, რომლის გამოსვლასაც სავარაუდოდ შემოდგომაზე უნდა ველოდოთ, ტრილოგიის ("სიტყვა მეფისა ერთისა") პირველი ნაწილია და მას "მშვიდი ცურვა" ჰქვია: "წიგნმა გარკვეულწილად შეიძინა ის მთავარი, რაც აქამდე აკლდა; ის უფრო დაუახლოვდა იმ რეალობას, რომელშიც ვცხოვრობთ, ჩაწვდა და გასცდა კიდეც, რადგან მოქმედება ხდება 25-ე საუკუნეში, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო". მოკლედ, რომანს შემოდგომაზე გავეცნობით, ახალ ალბომთან ერთად. 30 ივნისს კი მეფე 2005 წლის პირველ კონცერტს მართავს. და ეს იქნება ნამდვილად საინტერესო მისი მსმენელისთვის, რადგან 2004 წლის 6 მაისიდან (ირაკლის ბოლო კონცერტი "აჭარა მიუზიქ ჰოლში" 6 მაისს იყო) დღემდე ბევრი რამ მოხდა; მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი საზოგადოებაში რევოლუციური აღტკინება; ჯერ კიდევ არსებობდა იმედი და რწმენა, რომ რაღაცის შეცვლის თავი გვქონდა. რაღაცები ალბათ შეიცვალა; მაგრამ ბევრიც დაგვრჩა წარსულის გადმონაშთის სახით. ერთ-ერთი ასეთი მტკივნეული მეფისთვის "ჩინოვნიკების" თემაა; ამას ჩვენს გაზეთში ირაკლიმ სტატიაც მიუძღვნა: როგორ ესმით საქართველოში საზოგადოების სამსახურში ყოფნა (ანუ პირიქით: როგორ ცდილობენ იმსახურონ საზოგადოება). "რატომღაც ჰგონიათ, თანამდებობებზე რომ დაინიშნებიან, შენ უნდა ეახლო და არა პირიქით - თვითონ ინახულონ ხალხი, ვინც რეალურად კულტურას ქმნის ქვეყანაში". ზოგადი სურათი რომ არც ისეთი სანუგეშოა, ამის ჩვენებას მუსიკოსი "16 რაუნდში" დამძიმებული ჟღერადობით შეეცდება.


ლევან ხერხეულიძის ფოტო
ირაკლი ჩარკვიანი კონცერტისთვის ემზადება.

# საქართველოს პირველი ვიცე-მისის ტაილანდური შთაბეჭდილებები

## და რჩევები ქართველ ლამაზმანებს


ფინალური შოუს მეჯლისზე.


რუსკა ბოჭოიძე "მარიონელას" საღამოს კაბაში

ვერა ნეფარიძე

*დგება ტრადიციული სეზონი და ახლოვდება სილამაზის კონკურსი "მის საქართველო" ორგანიზატორთა ჩვეული ვნებათაღელვით; მონაწილეობის მსურველი გოგონების ორჭოფობით: გადაწყვიტონ თუ არა; საბოლოოდ მაინც იკრიბებიან ბუნებრივი სილამაზით დაჯილდოებულები, გადიან სინჯებზე, ზოგიერთები ხვდებიან რჩეულთა შორის, მიდიან ფინალამდე, ხვდებიან საუკეთესოთა ხუთეულში, სამეულში... და აგრძელებენ მოგზაურობას მსოფლიოს მასშტაბით ისე, როგორც ეს "მის საქართველო 2004"-ის ვიცე-მისის რუსუდან ბოჭოიძის შემთხვევაში მოხდა.*

რუსკამ "მის საქართველოდან" გაიკვალა გზა ტაილანდში, სადაც "მის სამყაროზე" სცადა ბედი. ასე იყო გათვალისწინებული: ვინც "მის საქართველოს" მეორე ადგილს მოიპოვებდა, სწორედ ის გაიგზავნებოდა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და მილიონობით გოგონასთვის საოცნებო კონკურსზე. "რა თქმა უნდა, ნანახი მქონდა ეს კონკურსი, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე იმ გოგონების ადგილზე აღმოვჩნდებოდი", - ამბობს რუსკა ბოჭოიძე, რომელიც არც ისე დიდი ხანია, რაც ტაილანდიდან დაბრუნდა, იქაურ შთაბეჭდილებებს უზიარებს ახლობლებს და სურს, ურჩიოს გოგონებს, რომელთაც ვერ გადაუწყვეტიათ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა "მის საქართველო 2005"-ის შესარჩევ ტურში.

მრავალი თანატოლის მსგავსად, რუსკაც ბევრს ფიქრობდა. როგორც გოგონების უმრავლესობას, რუსკასაც სურდა სილამაზის კონკურსებში მონაწილეობა, მაგრამ უჭირდა გადაწყვეტილების მიღება. ბოლოს მაინც მივიდა "იმიჯ ცენტრში" და დღეს საკუთარი გადაწყვეტილებით ამაყობს. შემდეგი ორჭოფობისა თუ ეჭვების მიზეზი "მის საქართველო 2004"-ზე აღებული პრიზი იყო: გამგზავრება "მის სამყარო 2004"-ზე. "ვრცელდებოდა ჭორები, რომ ასეთ დიდ კონკურსებზე გოგოები ერთმანეთის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი; თითქოს მეტისმეტად ძნელია კონკურენტებთან ერთად ცხოვრება და ა.შ., რაც საერთოდ არ გამართლდა. პირიქით, ტაილანდში სრულიად განსხვავებული სიტუაცია დამხვდა. თითქმის სამი კვირა მარტო ვცხოვრობდი - ჩვენი მენეჯერები ბოლოს ჩამოვიდნენ; ძალიან კარგი გოგოები იყვნენ, თბილები, ყურადღებიანები, უმრავლესობას დავუახლოვდი და საუკეთესო მეგობრებიც გავიჩინე", - ამბობს რუსკა.

ქართველი მონაწილე ბანგოკში 7 მაისს ჩავიდა, წელიწადის არაჩვეულებრივ დროს. ტაილანდში გატარებული სამი კვირა მის ცხოვრებაში ჯერჯერობით ყველაზე შთამბეჭდავია. უჩვეულო გარემოში - სადაც ქალაქი, ქუჩები, სახლები, ადამიანები, კულტურა ქართველი გოგონასთვის მეტად უცნაური იყო, რუსკას ცხოვრება კიდევ უფრო მიმზიდველი იყო. დროს გონივრულად იყენებდნენ: ეძინათ 4-5 საათი და სასტუმროშიც მხოლოდ მაშინ იყვნენ; დანარჩენ დროს მუშაობდნენ: დილიდან ვარჯიშობდნენ, ხვდებოდნენ წვეულებებზე, ფოტო და ვიდეოგადაღებებზე... კონკურსის მონაწილეებს ორგანიზატორები აცნობდნენ ტაილანდის კულტურას, დადიოდნენ საინტერესო ადგილებში. მოახლოვდა 30 მაისიც, ფინალის დღე. 81 ფინალისტიდან ჯერ 15, შემდეგ 10, ბოლოს კი ხუთი საუკეთესო შეარჩიეს. მართალია, რუსკა მათ შორის არ მოხვედრილა, მაგრამ, ამის მიუხედავად, კონკურსზე მას ყურადღება არ მოჰკლებია. კონკურსის ვებ-საიტზე ექსპერტთა უმრავლესობამ იგი საუკეთესო ფიგურის მონაწილედ მიიჩნია; რუსკას საღამოს კაბამ კი, რომელიც "მარიონელამ" შეუკერა, ყველა მოხიბლა: ორგანიზატორებიც, მონაწილეებიც და კონკურსის მთავარი დიზაინერიც... "კულისებში შემოდიოდნენ და მეკითხებოდნენ, ვინ შემიკერა. კაბა მართლა ლამაზი იყო, განსაკუთრებით სცენაზე", - კმაყოფილია რუსკა.

ამჟამად რუსკა ბოჭოიძე თბილისშია. სწავლობს სამედიცინო უნივერსიტეტში (ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინის ფაკულტეტზე) და მეექვსე კურსზე გადავიდა. თუმცა, შესაძლოა, დროებით სწავლის შეწყვეტა მოუხდეს, რადგანაც შეთავაზებები აქვს უცხოური სამოდელო სააგენტოებიდან. სწავლას კი აუცილებლად გააგრძელებს, რადგან, მისი აზრით, სამოდელო კარიერა დროებითია, მედიცინა კი სერიოზულად აინტერესებს. "ძალიან მინდა ვურჩიო გოგოებს, ვისაც "მის საქართველოში" მონაწილეობის მიღება უნდა და ვერ გადაუწყვეტია. ამ კონკურსზე ისინი საჭირო გამოცდილებას მიიღებენ; დაუვიწყარია ფინალისთვის მოსამზადებელი პერიოდიც. და, რაც მთავარია, აქვთ შანსი მოხვდნენ "მის სამყაროზე". კონკურსისთვის კი რეგისტრაცია დაწყებულია და "იმიჯ ცენტრი" ელის მსურველებს.

# ვენეციელი რესტავრატორი უნიკალურ ქართულ ფრესკებს აღადგენს

სექტემბერში საქართველოში ვენეციელი რესტავრატორი ალბაქიარა პიცეტი ჩამოვა. იგი ხობის, წალენჯიხისა და ცაიშის დადიანთა საგვარეულო ტაძრებში ფრესკების რესტავრაციის მიზნით ფონდის "მიურატები საქართველოში" მოწვევით ჩამოდის.

"საგვარეულო ტაძრებში ფრესკები სავალალო მდგომარეობაშია. მათი განადგურების თავიდან ასაცილებლად 6 ათასი ევროა საჭირო. ფონდს ხელთ აქვს 2 ათასი ევრო. იმედი გვაქვს, რომ დარჩენილი თანხის მოპოვება არ გაგვიჭირდება", - აცხადებს პრინცესა მიურატი.

ფონდს სახელმწიფო სტრუქტურებისთვის არ მიუკითხავს. პრინცესა მიურატი განმარტავს, რომ ხელისუფლება ფრესკების აღსადგენ თანხას ფინანსური კრიზისის გამო ვერ გამოყოფს. ხობის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ ფონდს ფინანსური დახმარება აღუთქვა, თუმცა თანხის რა რაოდენობაზეა საუბარი, პრინცესა მიურატი ჯერ ვერ ასახელებს. სექტემბერში ვენეციელი რესტავრატორი ფრესკებს პირველად სამუშაოებს ჩაუტარებს. ***მედიანიუსი***

# პრემიერა ოპერაში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 30 ივნისს სპექტაკლის "ამაო სიფრთხილის" პრემიერა გაიმართება. ფერდინანდ ჰეროლდის ნაწარმოები ცნობილმა ქორეოგრაფმა ალექსანდრე გრანტმა დადგა. იგი თბილისის საბალეტო დასთან ერთად სამი თვის განმავლობაში მუშაობდა. სპექტაკლს ზაზა კალმახელიძე უდირიჟორებს, დამდგმელი მხატვარი ოსბერტ ლანკასტერია, კოსტიუმების ავტორი ნათია სირბილაძე, მუსიკალურად კი ჯონ ლანჩბერმა გააფორმა.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სპექტაკლის "ამაო სიფრთხილის" საპრემიერო ჩვენებები 1, 2 და 3 ივლისს გაიმართება. ***ინტერპრესნიუსი***

# საქართველო ბულგარეთშიც ასახელეს

## სექტემბერში "მთიები" უკრაინელთა გულებს დალაშქრავს

ირმა კახურაშვილი

გუშინ პროფკავშირების სასახლეში ქორეოგრაფიულ ანსამბლ "მთიების" სოლისტებს ლაურეატების წოდება მიენიჭათ. პატარა მოცეკვავეები იმ დიპლომებითაც დაჯილდოვდნენ, რომლებიც მათ ქართული ნაციონალური აკადემიური ბალეტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ხალხური ცეკვების რესპუბლიკურ ფესტივალზე მოიპოვეს. მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა "მთიებმა" 17-26 მაისს ბულგარეთში გამართულ ხალხური ცეკვების ფესტივალზეც გამოაჩინეს, სადაც სპეციალური პრიზი და ფესტივალის მონაწილეთა აღფრთოვანება დაიმსახურეს.

12 წლის რეზო კაკაბაძე მესამე წელია "მთიებში" ცეკვავს. სხვა ბავშვების მსგავსად, ბულგარეთის ტურნე მისთვის პირველი სერიოზული გამოცდა იყო. "ვარნაში ექვსი დღე ვიყავით და ხუთი გამოსვლა გვქონდა. პირველ კონცერტზე ძალიან ვღელავდი. მაყურებელი დიდხანს გვიკრავდა ტაშს და სცენიდან არ გვიშვებდა. ფესტივალის დასრულების შემდეგ ქუჩაში უამრავი ბულგარელი თანატოლი დაგვხვდა, ავტოგრაფებს გვთხოვდნენ... ერთ დღეს ქალაქის მერიაშიც მიგვიწვიეს. მართლაც ძალიან საინტერესო იყო," - იხსენებს პატარა მოცეკვავე.

ხუთწლიანი ისტორიის მანძილზე ანსამბლმა თურქეთიც მოიარა. წელს კი "მთიები" ბულგარეთში მიიწვიეს. ასეთ მასშტაბურ ფესტივალში მონაწილეობა, სადაც საქართველოს გარდა ხორვატიის, მაკედონიის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების ხალხური ანსამბლებიც დაპატიჟეს, მოცეკვავეებმა დიდ პატივად ჩათვალეს და ბულგარეთში საკუთარი ხარჯებით გაემგზავრნენ.

"არც ვნანობთ. ჯერ ერთი, საუკეთესონი ვიყავით და ამას ბულგარელებიც აღიარებდნენ. გვთხოვეს, მომავალშიც ჩავიდეთ მათთან. ასევე მივიღეთ ხორვატების, მაკედონიელებისა და ესპანელების მოწვევაც, თუმცა, მოგეხსენებათ, ნებისმიერი დიდი ტური ფინანსურ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ჩვენი ბავშვები საქართველოში ამაყები და ბედნიერები დაბრუნდნენ," - ამბობს ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ბულგარელმა მაყურებელმა ნახა ცეკვა "ფარცა", "აჭარული", "სვანური", "ქართული", "ნარნარი"... წარსადგენად თითოეულ ანსამბლს ფესტივალის ჟიურიმ 20 წუთი გამოუყო, თუმცა, ქართველებმა მაყურებელს თავი ისე მოაწონეს, რომ დროის გადაჭარბება არავის შეუნიშნავს. ყველა ცეკვამ ტრიუმფით ჩაირა.

"ბულგარეთში ჩვენი ჩასვლა წმინდა ელენესა და კონსტანტინეს დღესასწაულს დაემთხვა, როცა ქალაქი ისვენებს, ბარებისა და რესტორნების გარდა არაფერი მუშაობს და ყველა აღლუმისა და დიდი სანახაობების მოლოდინშია. მართალია, თავისუფალი დრო ცოტა გვქონდა, მაგრამ ბავშვებმა რამდენიმე საინტერესო ადგილის დათვალიერება მაინც მოასწრეს," - ამბობს ანსამბლის ხელმძღვანელი ანზორ გვარამაძე.

სავარაუდოდ, სექტემბრის დასაწყისში პატარა მოცეკვავეები კიევში გაემგზავრებიან. კარგი იქნებოდა ანსამბლისთვის, რომელმაც საქართველო ბულგარეთში ასახელა, ხელისუფლებასაც მიექცია ყურადღება და, დამფინანსებლის თუ არა, მხარდამჭერის ფუნქცია მაინც შეესრულებინა.

# ავირჩიოთ!

## მერის არჩევითობას "წვიმის მუსიკოსებიც" უმღერიან

A1 გვერდიდან

მეტიც, ამის შემდეგ ჭიაბერაშვილმა მთავრობის წინაშე დაახლოებით ისეთივე მკაცრი გამოცდები ჩააბარა, როგორიც, ალბათ, რუდოლფ ჯულიანიმ 11 სექტემბრის შემდეგ (პირველ აბზაცში ნახსენებ მსოფლიო მოვლენასა და მისი თანმდევი ქალაქის მოასფალტება-შეფერადებაზე გაწეული ჯაფა იგულისხმება, ჯულიანის შემთხვევისგან კი ღმერთმა დაგვიფაროს!). ეს კი წესით, ჭიაბერაშვილის ყველაზე მოსისხლე მტრებსაც უნდა შეეფასებინათ, დაეფასებინათ და მისთვის თავიც უნდა დაენებებინათ, მაგრამ დემოკრატიას საკუთარი წესები აქვს - საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის აზრით, თბილისის მერი საყოველთაო არჩევნების გზით უნდა ავირჩიოთ.

თუ მსგავსი მოთხოვნის გახმაურება და მასებამდე მიტანა გინდა, დახმარებისთვის ამ საქმეში კარგად გამობრძმედილ ხალხს უნდა მიმართო. ასეთი "შტატი" საქართველოში ე. წ. "წვიმის მუსიკოსებს" აქვთ. გუშინდელი კონცერტის მთავარი მამოძრავებელი ძალა, სწორედ, ისინი იყვნენ. თუმცა ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი მოსულა: ის რომ, ზუმბა, "მწვანე ოთახი", "პაპარაცი" და მსგავსი სუბიექტები თბილისის მერის არჩევითობას ანუ მათი ქალაქისთვის, მარტივად რომ ვთქვათ, კარგს ითხოვენ, გასაგებია, მაგრამ როცა ამ ღონისძიებას ქუთაისური "აუტსაიდერიც" უერთდება, ეს მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს - ქართულ ალტერნატივას სცენაც მოენატრა.

"წვიმის მუსიკოსების" გვერდით მათი იდეური სატელიტები: დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, სერგი გვარჯალაძე, უცნობი, დავით დეფი გოგიბედაშვილი და მისთანანი ახლდნენ. ამ მხრივ, აშკარა ლიდერის როლში ერთ დროს კულტურის მინისტრი, რევოლუციის შემდეგ მერობის კანდიდატი (ჭორის დონეზე), სტაბილურად კი პოეტი დავით მაღრაძე გვევლინებოდა. იგი საზოგადოების წინაშე ლოზუნგური სიტყვითაც გამოვიდა: "თბილისის მერი აუცილებლად უნდა ავირჩიოთ თუნდაც იმისთვის, რომ ხელისუფლებას დავანახოთ - ჩვენს საზოგადოებას ვერასდროს დააშინებს. ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ჩვენს ნაცვლად შეძლებს გადაწყვეტილების მიღებას. უნდა ახსოვდეთ, რომ საზოგადოების უპატივცემულობა ქვეყნისთვის დამღუპველია. მე მინდა, რომ საარჩევნო უბანზე მივიდე და ხმა მივცე ჩემთვის სასურველ კანდიდატურას. თავისუფლება თბილისს!"


უცნობი


კონცერტის მოლოდინში


მწვანე ოთახი


დათო მაღრაძე

იმავე შინაარსის ლოზუნგები გოგირდის აბანოს ერთ-ერთ გუმბათს ამშვენებდა: "თბილისის მერი თბილისელებმა უნდა აირჩიონ!", "არჩევანი თბილისელებს!", "ღირსება თბილისს!" და შედარებით მასშტაბური შინაარსის "საქართველო ძალადობის გარეშე!" ამ მოწოდებების სიახლოვეს კი მერის არჩევითობის მომხრეების ხელმოწერები გროვდებოდა. ამის მსურველი იმდენი იყო, რომ პატარა რიგიც დადგა, თუმცა თბილისელები მორჩილად ითმენდნენ და საკუთარი აზრის დაფიქსირებას არ იზარებდნენ.

ვინ ისმენდა და კითხულობდა ამ და სხვა მოწოდებებს: როგორც წესი, მსგავსი ტიპის თავშეყრა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თბილისი მრავალეთნოსური ქალაქია. ამჯერად აბანოთუბნის კონცერტზე თავი მოიყარეს სხვადასხვა ასაკისა და რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებმა, ოპოზიციურად მოძრავმა პოლიტიკოსებმა, ჰიპობისკენ მიდრეკილმა ახალგაზრდებმა, აბანოს მექისეებმა და მათაც, ვისაც ჯორჯ ბუშის მეორედ მოსვლისა სჯერა (აქვე იყო თბილისის ამჟამინდელი, დანიშნული მერიც). მათ უმეტესობას, სამწუხაროდ, არც მერის არჩევითობის საკითხი აღელვებდა და, მით უმეტეს, არც კონცერტის მუსიკალური ხარისხი. თუმცა ამ მხრივს, "წვიმის მუსიკოსებმა", მართლაც იყოჩაღეს.

კონცეტი "მწვანე ოთახმა" გახსნა. ჯგუფმა თავი შეიკავა საკუთარი კომპოზიციების აჟღერებისგან და ნონკონფორმისტული იდეებით გამსჭვალული მსოფლიო ჰიტების პოპური შემოგვთავაზა. მწვანეებმა "ბითლზის", "პინკფლოიდისა" და "ზეპელინის" რამდენიმე ნაწარმოების საკმაოდ საინტერესო ინტერპრეტაციის შემდეგ, სცენა რობი კუხიანიძის "აუტსაიდერს" დაუთმეს. მანაც არ დაახანა და ჩვეული სიგიჟეების თაიგული გადმოგვაფრქვია. გალაკტიონის "შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი" კუხიანიძემ ოსტატურად გააპანკა, ხოლო სიტყვა "მერი" (რომელიც გალაკტიონისთვის სახელია!) თემატური ალტკინების ნიადაგზე ლამის ასჯერ გაიმეორა. ასეა - რობი კუხიანიძე მაგარი ვინმეა და იცის საქმე!

# მოცვის დრო

## გასინჯეთ

შეიბრალეთ პატარა მოცვი. ის ხომ თავისი ნათესავების - მსუქანი და შაქრიანი მარწყვებისა და უზარმაზარი და წვნიანი ატმების ჩრდილშია მოქცეული და მათ ვერც პოპულარობით ეწევა და ვერც - ფინანსური მოგებით.

თუმცა, ჯობდა, წარსული გრამატიკული დრო გვეხმარა. მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა მისთვისაც მოიცალეს და მოცვის საოცარი სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აღმოაჩინეს, ამერიკაში ამ "დაჩაგრული" კენკროვანი ხილის პოპულარობა ერთი-ორად გაიზარდა. ჯადოსნური სიტყვები ასეთი იყო: მოცვი დიდი დოზით შეიცავს ანტიოქსიდანტებს. ეს სიტყვები წარმოითქვა და მოცვის ამერიკული ბიზნესიც ისევე აყვავდა, როგორც მოცვის ბუჩქები აყვავდება მალე. სამთავრობო ექსპერტები კი იმასაც დასძენენ, რომ წელს შტატებში მოცვის რეკორდული მოსავალი დაფიქსირდება.

ეხლა კი ვნახოთ, კიდევ რა სასარგებლო ცნობები იმალება "ჯადოსნური სიტყვების" - მოცვი ანტიოქსიდანტია-ს მიღმა. ირკვევა, რომ მოცვს შეუძლია ადამიანის ორგანიზმი სიმსივნის რამდენიმე ფორმისგან დაიცვას, შეამციროს გულის დაავადებების რაოდენობა, შეაჩეროს მავნე გავლენები, რაც დაბერების პროცესს სდევს თან. ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მკვლევართა ჯგუფის წარმომადგენელი როდ ქუქი კი დასძენს: სწორედ ამ ცნობების ბრალია ის, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მოცვის გაყიდვების მაჩვენებელი, თანაც ყველა ფორმით - ახალიც, გაყინულიც და გამომშრალიც - გეომეტრიული სისწრაფით გაიზარდა.

არსებობს ასეთი ვებ-გვერდიც: http://www.blueberry.org. იქ, ჯანმრთელობის გრაფაში უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მოპოვებაც შეიძლება. მაგალითად: ვამბობთ, რომ მოცვს ანტიოქსიდანტის ძალიან მაღალი ფუნქცია აქვს და ვგულისხმობთ რას: მოცვი ამ თვალსაზრისით პირველ ადგილზე დგას დანარჩენ 40 სახეობის ხილსა და ბოსტნეულს შორის. ანტიოქსიდანტები კი, კარგად იცით, რომ ანეიტრალებენ ნივთიერებათა ცვლის პროცესში წარმოქმნილ მავნე "თავისუფალ რადიკალებს", რომლებიც სიმსივნეს იწვევენ.

ჩატარდა მეორე კვლევაც, რომლის დროსაც ლაბორატორიის ვირთხები მოცვით კვებეს. შედეგად, დაბერების პროცესი მსუბუქად წარიმართა, ხანში შესვლის გამო არც მენტალური შესაძლებლობები დაქვეითებულა. ეს კი მოცვის დამსახურება იყო.

მოცვის ეფექტები გამოიკვლიეს ნიუ ჯერსში, რატგერსის უნივერსიტეტშიც და იქ კიდევ ერთი სასიამოვნო ცნობა მოიპოვეს. მოცვი ამცირებს ინფექციის შანსს შარდის გამომყოფ არხში და აქედან გამომდინარე, იცავს მის სიჯანსაღეს.

დაბოლოს, ევროპაში ჩატარებული რამდენიმე დამოუკიდებელი კვლევის შედეგად ისიც დადგინდა, რომ მოცვი შველის მხედველობასაც და ეს სავარაუდოდ მისი ლურჯი პიგმენტის განსაკუთრებული შემადგენლობის ბრალი უნდა იყოს. ერთი დამოუკიდებელი იაპონური კვლევის მიხედვით კი, მოცვი არათუ პროფილაქტიკისთვის გამოდგება, არამედ აუმჯობესებს კიდეც მხედველობას.

ასე რომ, გასაკვირი არ არის, რომ მოცვზე ბუმია. განსაკუთრებით აჟიოტაჟი ამერიკაში შეიმჩნევა. შტატები ხომ, კანადასთან ერთად, მოცვის უმსხვილესი მწარმოებელია. ქვეყნის შიგნით კი პირველ ადგილზე მეინისა და მიჩიგანის შტატები დგას, შემდეგ ნიუ ჯერსი, ორეგონი, ჯორჯია, ჩრდილოეთ კაროლინა და ვაშინგტონი.

ეფექტის გასამძაფრებლად, ცოტა სტატისტიკასაც გადავხედოთ. 2002 წელს ამერიკელებმა 105 მილიონი ფუნტი ახალი მოცვი იყიდეს, შარშან კი საერთო წონა 166 მილიონამდე გაიზარდა. იმატა მოთხოვნამაც და ფერმერებმაც მეტი მოცვის წარმოება დაიწყეს. წელს რეკორდულ მაჩვენებელსაც ელიან: 490 მილიონ ფუნტ მოცვს.

ერთი სიტყვით, რეალობა შეიცვალა. თუ მოცვს ადრე ამერიკელები მხოლოდ გემრიელი მაფინების, ღვეზელების, იოგურტისა და ნაყინის დასამზადებლად იყენებდნენ, ახლა მას ყველანაირი ფორმით მიირთმევენ. ხოლო თუ რამდენიმე წლის წინ ახლად დაკრეფილ ანდა გაყინულ მოცვს მეორეხარისხოვანი როლი ეჭირა, გამომშრალი მოცვი - ასეთი ცნება კი საერთოდ არ არსებობდა, წელს - მოცვის ახალ-ახალი რეცეპტებიც მოიგონეს.

იმავე ვებ-გვერდზე ბევრი ასეთი რეცეპტის მოძებნა შეიძლება. გამოცდილი მზარეულები იმასაც გვასწავლიან, თუ როგორ შევინახოთ მოცვი, როგორ დავამზადოთ მისგან მურაბა ისე, რომ ამ სასარგებლო კენკროვანმა თავისი უნიკალური თვისებების შენარჩუნება შეძლოს.

აქვე გთავაზობთ ორ რეცეპტს, რომელთა გამოყენება ქართულ რეალობაშიც შეიძლება. თანაც, დიდი სიახლეც იქნება.



**მოცვის სალსა** (მზადდება ერთი ფინჯანი)

ეს არომატული წვნიანი შეგიძლიათ ყოველგვარი დამატებების გარეშე გასინჯოთ, ამერიკელები კი მას ქათმის ანდა თევზის კერძთან მიირთმევენ:

**შემადგენლობა:**

1 ჭიქა დაჭრილი მოცვი

1 წითელი წიწაკა, რომელსაც შიგთავსს გამოვაცლით და წვრილად დავჭრით

1 ხალაპენიო, ანდა უბრალოდ ცხარე წიწაკა, ასევე შიგთავსგამოცლილი და დაჭრილი

2 ჩაის კოვზი ქინძი

2 მწვანე ხახვის თეთრი და ღია მწვანე ნაწილი, ასევე წვრილად დაჭრილი.

1 ლაიმის წვენი (შეგვიძლია გამოვიყენოთ ქართული ლიმონი)

ნახ. ჩაის კოვზი სუფრის მარილი

ოდნავ შაქარი

**მომზადების წესი:**

საშუალო ზომის თასში ჩავყაროთ წინასწარ მომზადებული ინგრედიენტები და კარგად ავურიოთ. დავახუროთ პლასტიკატის თავსახური და სუფრაზე მიტანამდე 30 წუთით შევდოთ მაცივარში. ასე დაცული სალსას შენახვა 3 დღის განმავლობაში შეიძლება. ის ძალიან გემრიელი და არომატული საწებელია ნებისმიერი სახის კერძზე, ცხადია, მარტივად - ჩიპსსაც და შემწვარ კარტოფილსაც უხდება.

1 ჭიქა შეიცავს: 33 კალორიას, 1 გ. პროტეინს, 0 გ. ცხიმს, 0 გ. ქოლესტეროლს, 150 მლ.გ. სოდას.

**მოცვის მშრალი ნამცხვარი მეინის შტატიდან**

მეინის შტატში "ბენჯამინ პაკარდ ჰაუზის" სასტუმროში ამ ნამცხვარს მთელი წლის განმავლობაში ამზადებენ. სტუმრებში ის ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. ახალი მოცვის გარდა შეგვიძლია გამოვიყენოთ გაყინული მოცვიც, ანდა მოცვისა და ჟოლოს კომბინაცია.

**შემადგენლობა:**

1 ჭიქა + 1 ჩაის კოვზი ფქვილი

1 ჩაის კოვზი საფუარი

ნახ.ჩაის კოვზი სუფრის მარილი

1 კოლოფი უმარილო კარაქი (გავალღოთ)

1 ჭიქა შაქარი

ნახ.ჩაის კოვზი ვანილი

2 დიდი ზომის კვერცხი

2 ჭიქა მოცვი, კარგად გარეცხილი და დაწურული (შეიძლება გაყინული მოცვის გამოყენებაც)

1 ჩაის კოვზი ლიმნის წვენი

შაქრის ფხვნილი მოსართავად

**მომზადების წესი:**

ღუმელი გავათბოთ 350 გრადუსზე.

გავათბოთ ტაფა, შემდეგ წავუსვათ ცხიმი და მოვაფრქვიოთ ოდნავ ფქვილი.

პატარა ზომის თასში, ერთმანეთში ავურიოთ 1 ჭიქა ფქვილი, საფუარი, ოდნავ მარილი და გვერდზე გადავდოთ.

ცალკე თასში, ელექტრო-მიქსერით ამოვიყვანოთ კარაქი, შაქარი და ვანილი, სანამ მასა მსუბუქი და ჰაეროვანი არ გახდება (საშუალო, ან უმაღლეს სიჩქარეზე სავარაუდოდ 3 წუთი დასჭირდება). შემდეგ დავამატოთ თითო-თითო კვერცხი და მიქსერით საერთო მასას შევუზავოთ. როცა მასა გაითქვიფება, მიქსერის სიჩქარე დავაყენოთ დაბალზე და თანდათან ავურიოთ მასში ფქვილის მასა. ბოლოს ეს რბილი ცომი წინასწარ გამზადებულ ტაფაზე გადავიტანოთ.

პარალელურად, ცალკე თასში ერთმანეთში ავურიოთ მოცვი, მოტოვებული 1 ჩაის კოვზი ფქვილი და ლიმნის წვენი. მერე კი, მასა კოვზით მოვფანტოთ ტაფაში ჩადებული ცომის ზედაპირზე.

ცხობას 350 გრადუსზე დაახლოებით 1 საათი სჭირდება. თუმცა, დროის გაზომვა თვითონაც შეგვიძლია, იგივე ასანთის ღერით. როცა ნამცხვარი მზად იქნება, გამოვიღოთ ღუმელიდან და ტაფაში 10 წუთით დავტოვოთ - რათა გაგრილდეს. შემდეგ ზემოდან მოვაყაროთ შაქრის ფხვნილი სილამაზისთვის.

თითო ნაჭერი შეიცავს: 402 კალორიას, 5 გ. პროტეინს, 17 გ. ცხიმს, 112 მლ.გ. ქოლესტეროლს, 222 მლ.გ. სოდას.



დავით კოვზირიძის სვეტი

## კონფედერაციული კონფიგურაცია

კონფედერაციათა თასის (კონFედერეიშენი - ასე მოიხსენიებენ ტურნირს ქაჯები, ან ისინი, ახალი მთავრობის შემხედვარე, ნარევოლუციევს რომ დაიწყეს ინგლისურ-კომპიუტერის დაზუთხვა) გათამაშება ყოველთვის თითიდან გამოწოვილ, ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის მოგონილ, არასერიოზულ შეჯიბრებად მიმაჩნდა.

დიდად არც ახლა შემცვლია აზრი, თუმცა, ტურნირმა პროფილი ოდნავ შეიცვალა, მოსამზადებელი შეკრების, ტაქტიკათა მოსინჯვის, ახალწვეულების გამოცდის ამბავში გადაიზარდა და ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. რამდენიმე მაღალი კლასის გულშემატკივარმა ისიც მითხრა, კონფედერაციათა თასი მსოფლიოსა და ევროპის პირველობებს გაუტოლდება, ცოტა დროა საჭიროო. რა ვიცი, ვნახოთ. მანამდე კი იმაზე ვილაპარაკოთ, რა გამოჩნდა გერმანიაში მიმდინარე უჩვეულოდ ლაღ და გოლებით სავსე "კონFედერეიშენზე."

თბილისში ბერძნების ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მათ ცხვრები რომ ვუწოდე, ბევრმა შემომხედა ალმაცერად. პრინციპში, ბუნებრივი რეაქციაა, როცა ადამიანი ევროპის ჩემპიონებზე ასე ლაპარაკობს, მაგრამ რაც დრო გადის, ყველანი ვრწმუნდებით - საბერძნეთის ნაკრები არაა კონტინენტის უძლიერესი გუნდი და არც არასდროს ყოფილა. უბრალოდ, 2004 წლის ზაფხულს დანარჩენებისთვის აშკარად ამოუცნობი სიახლე იყო ოტო რეჰაგელის ამაზრზენი, მაგრამ შედეგის მომტანი სტრატეგია. და სანამ სეზონით გადაქანცული ფავორიტები ზერელედ მარჩიელობდნენ ბერძენთა ნაკრების რაობაზე, ოტოს ტაქტიკა მათვე ასაჩუქრებდა 1:0-ებით. ამ კაცმა შესანიშნავად გამოიყენა ენერგია, რომელიც მისმა ერთფეროვანმა მოწაფეებმა სხვადასხვა კლუბის სათადარიგოთა სკამებზე დააგროვეს.

ყველაფერთან ერთად, ბერძნებმა ბოლომდე ისარგებლეს წამით, რომელიც ნებისმიერი გუნდის თუ ადამიანის ცხოვრებაში უეჭველად ჩამოჰკრავს ოდესმე და რომელსაც გამართლება ჰქვია. შანსის გამოყენება - ერთადერთი ამისთვის შეიძლება საბერძნეთის ეროვნულ გუნდს ხუთიანი დავუწეროთ. თუმცა, ამ წამმა ჩაიარა, რეჰაგელის სისტემა გაიშიფრა, ბერძენი ფეხბურთელების უმრავლესობა კვლავ სკამს ხეხავს და შედეგიც აშკარაა - ამ მახინჯ ნაკრებს გერმანიაში სამმა საფეხბურთო სკოლამ ჩამოახია ნიღაბი - სამხრეთ და შუაამერიკულმა, ასევე აზიურმა.

ისე, მექსიკელებმა და იაპონელებმა მსოფლიოს ჩემპიონიც მაგრად აწვალეს. შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ კარლოს ალბერტო პარეირა, მისივე თქმით, 21-ე ასწლეულის სოკერ-ბრენდს, სრულიად ახალ ტაქტიკას ამუშავებს. 4-6, ასეთია მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელის მეტად ორიგინალური, ჯერ კიდევ გასაშალაშინებელი სქემა. ამ ტაქტიკური მონახაზის თანახმად, ოთხი მცველი ძველებურადაა განლაგებული და მათგან ორი განაპირა ტრდიციულად აკონტროლებს მთელ ფრთას. სადაც ფლანგები ვახსენეთ, კაფუ და რობერტო კარლოსიც უნდა გავიხსენოთ. ისინი გერმანიაში არ არიან და ეს ორი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული - პარეირა ვეტერანებს აღარ ენდობა, ან პირიქით, იმდენად ენდობა, რომ ეგზამინაცია საჭიროდ არ ჩათვალა და მათ ღირსეულ სათადარიგოებს ეძებს.

დარჩენილ ექვს კაცს სრული თავისუფლება ენიჭება და ამიტომ რთულია, ტაქტიკის ამუშავების შემთხვევაში მათი ამპლუებად დაყოფა. ალბათ შეამჩნიეთ, რომ ბრაზილიელთა ყოველი შეტევისას ზე რობერტო, რონალდინიო, კაკა, ემერსონი, ადრიანო და რობინიო სხვადასხვა წერტილებიდან ემუქრებიან მეტოქეს. ჯერჯერობით ეს სტრატეგია არცთუ შთამბეჭდავად და დალაგებულად გამოიყურება როგორც შეტევაში, ისე დაცვაში, რის გამოც დაკარგულია გუნდური სისტემა და მსოფლიოს ჩემპიონები მხოლოდ ინდივიდუალიზმის, უმაღლესი კლასის ხარჯზე აღწევენ წარმატებას. თუმცა პარეირას წინ ერთი წელიწადი აქვს და თუ ეს დრო მისთვის საკმარისი იქნება 4-6-ის დასახვეწად, მაშინ 2006 წლის ზაფხულში ბრაზილიელთა მოწინააღმდეგეებს დიდი თავსატეხი გაუჩნდებათ.

რაც შეეხება კაკას და რონალდინიოს, მათგან ჯერ არც ერთი არაა არც 1994 წლის რომარიო და არც 2002-ის რონალდო. ანუ - პენტაკამპეონებს ბელადი არ ჰყავთ. მართალია, ამ ბიჭებმა მთელი სეზონი შეუსვენებლად იბრძოლეს "მილანსა" და "ბარსელონაში", დაიღალნენ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, მაგრამ ფაქტია - გაისად ამით ვეღარ გაიმართლებენ თავს. ორიდან ერთმა აუცილებლად უნდა ითამადოს. გარდა ამისა, ფიზიკურად ძალიან სუსტია რობინიო და, სავარაუდოდ, ევროპაში გამოჩნდება, რამდენად ღირსია ნაკრების ძირითადში ადგილისა. პირიქით, არ იცის სად წაიღოს ჯანი ადრიანომ და, ჩემი აზრით, იგი არ უხდება ბრაზილიურ ელასტიკას, მაგრამ მან გერმანელებთან დაამტკიცა, რომ თუ აკრიფა, მტრისას. ნაკრებს ძალიან აკლია რონალდო.

კონფედერაციათა თასზე მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის კიდევ ორი ფავორიტი ვიხილეთ - გერმანია და არგენტინა. კარგი იყო მექსიკაც, მაგრამ არა მგონია, მეოთხედფინალს გაცდეს.

მასპინძლებს უკვე დაეტყოთ კლინსმანის, ფანტასტიკური ფორვარდის საფეხბურთო ფილოსოფია. გერმანელები უტევენ, თუმცა, არ უვარგათ დაცვა, რაც მეტად უცნაურია ამ საფეხბურთო სკოლისთვის. აშკარაა კიდევ ერთი არაგერმანული პრობლემა - მეკარე. კანი და ლემანი დაბერდნენ, ხოლო ჰილდებრანდი ნორჩი, მაგრამ ნაკლებად ნიჭიერია. ისე, არიელები თავდამსხმელებშიც მოიკოჭლებენ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი ნახევარდაცვაზე. ბავარიული ტრიო: შვაინშტაიგერი-ბალაკი-დაისლერი ერთ-ერთი საუკეთესოა, თუ საუკეთესო არა. ასე რომ, საქოუჩო საქმეში გამოუცდელ იურგენს უამრავი საფიქრალ-საკეთებელი აქვს და მხოლოდ მშობლიური კედლების შემხედვარე ფონს ვერ გავა.

მარადონას ეპოქის შემდეგ საუკეთესო ნაკრები ჰყავს არგენტინას და ეს, რასაკვირველია, პეკერმანის დამსახურებაა. ჩინებული თაობა, რომელიც დღეს სამხრეთამერიკელთა ბირთვია, სწორედ ამ გენიალურმა მწვრთნელმა გამოზარდა, გამარჯვება ასწავლა, გზაზე დააყენა და ეს კეთილი საქმე წინ დაუხვდა. როგორც გუნდი, ერთიანი ორგანიზმი, არგენტინა დღეს უძლიერესია მსოფლიოში, რაც ოსტატობასთან და ბრძენ მასწავლებელთან ერთად, ტრადიციული ჯიგრითაა განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელთა გულშემატკივარი ვარ, არგენტინის ეროვნული გუნდი ძალიან მომწონს და მიხარია, რომ ფინალში გავიდა. წინ კლასიკა, ჩასაწერი თამაში გველის. ესეც კიდევ ერთი პლუსი წლევანდელი ტურნირისა. და საერთოდ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ყველაზე მაგარი კონფედერაცია სამხრეთამერიკულია.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# ოვერატის სცენარი



*1974 წლის გერმანიის ფეხბურთელთა ლეგენდარული ნაკრები.*

ვოლფგანგ ოვერატმა მთელი თავისი საფეხბურთო კარიერა "კიოლნის" რიგებში გაატარა. ამის მიუხედავად, იგი ათეული წლის განმავლობაში ამ კლუბის პრეზიდენტის სავარძელზე უარს აცხადებდა. თუმცა, გასული წლის ზაფხულში ოვერატი "დანებდა", ეს პოსტი დაიკავა და არასრულ თორმეტ თვეში გუნდს ბუნდესლიგის "ჩაწერა" დაუბრუნა.

ამჟამად კი ბუნდესლიგის ისტორიაში გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი პლეიმეიკერი, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი ვოლფგანგ ოვერატი იმედოვნებს, რომ "კიოლნს" ევროპულ დონეს დაუბრუნებს. ამასთან, "კიოლნის" ერთ-ერთი აღსაზრდელი ლუკაშ პოდოლსკი, ოვერატის აზრით, უკვე მზადაა უმაღლეს დონეზე სათამაშოდ და, შესაძლოა, მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატზე იურგენ კლინსმანის მთავარი კოზირიც გახდეს.

**- როგორ შეაფასებდით პირველ წელს "კიოლნის" პრეზიდენტის პოსტზე?**

- მთავარი ამოცანა შევასრულეთ - ბუნდესლიგაში დავბრუნდით, თუმცა, ამასთან ერთად, მთელი სეზონის განმავლობაში არცთუ საუკეთესო ფეხბურთს ვთამაშობდით. ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გადავდგათ ნაბიჯები. კიოლნში ჩვენი წარმატებები ფანტასტიკური ენთუზიაზმით და სიხარულით მიიღეს, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ გარკვეულწილად საფრთხესაც შეიცავს. ჩვენ მივყვებით გეგმას, რომელიც მომდევნო ორ-სამ წელიწადზეა გათვლილი. პირველი ნაბიჯი (უმაღლეს დივიზიონში დაბრუნება) უკვე გადავდგით. ახლა უმნიშვნელოვანესია ელიტაში ადგილის შენარჩუნება. ამის შემდეგ ვგეგმავთ ადგილის დაკავებას სადღაც მე-8 - მე-10 საფეხურებს შორის, ხოლო მეოთხე სეზონისთვის უკვე უძლიერესთა კამპანიაში უნდა აღმოვჩნდეთ. თუ დასახულ გეზს არ გადავუხვევთ და მიზანს მივაღწევთ, გაწეულ მუშაობას დადებითად შევაფასებ.

**- "კიოლნის" ფეხბურთელმა ლუკაშ პოდოლსკიმ მიმდინარე კონფედერაციის თასზე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. რას იტყვით მასზე?**

- საფეხბურთო ექსპერტებს ლუკაშის ტალანტზე უკვე შეექმნათ წარმოდგენა. დიდია ალბათობა, რომ იგი მართლაც უმაღლესი კლასის მოთამაშედ ჩამოყალიბდეს. პოდოლსკის კარგი ხასიათი და უზარმაზარი პოტენციალი აქვს, ხოლო კიოლნში მასზე უკვე ლოცულობენ. იმედი მაქვს, ზრდას და საფეხბურთო დაოსტატებას არ შეწყვეტს. იგი რჩება ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ გერმანელ ფეხბურთელად და ძალიან გაგვიმართლა, რომ ჩვენს რიგებში თამაშობს.

**- თქვენი აზრით, კონფედერაციის თასის თამაშებიდან გამომდინარე, რამდენად კარგად გამოიყურება გერმანიის ნაკრები?**

- ჩვენ კონფედერაციის თასის ოთხ საუკეთესო გუნდს შორის მოვხვდით და მსოფლიო ჩემპიონატზეც, სულ მცირე, ასეთ შედეგს ველი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს კიდევ ერთი წელი აქვს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მოსამზადებლად. ტურნირში გამარჯვებაზე ასპროცენტიანი დარწმუნებით არ ვისაუბრებ, რადგან არსებობენ ისეთი გუნდები, როგორებიცაა ბრაზილია, არგენტინა, ინგლისი, საფრანგეთი და ჰოლანდია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრები ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს.

**- თქვენ 1974 წელს გერმანიის ნაკრების შთაგონების წყარო იყავით. რა შეიცვალა მას შემდეგ?**

- ძალიან ბევრი რამ! შეიცვალა ფეხბურთისადმი დამოკიდებულება და თავად ფეხბურთიც. თანამედროვე ფეხბურთი საგრძნობლად ათლეტური გახდა და ფანტასტიკურად მოიმატა სისწრაფემ, ამასთან, მიმდინარეობს ბრძოლა მოედნის თითოეული გოჯისთვის. სხვა საკითხია - ამით ფეხბურთი უფრო ლამაზი და სანახაობრივი გახდა თუ არა. 1974 წელს ერთი ბალაკი არ გვყოლია. ჩვენ ბევრი ბალაკი, ბევრი ძლიერი პიროვნება გვყავდა. პოდოლსკის მათ რიგებში შესვლის პოტენციალი აქვს. პერსპექტივაში, გერმანიის ნაკრების კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეუძლია ამ დონემდე გაზრდა. თუმცა, უაზრობად მიმაჩნია დღევანდელი ფეხბურთისა და 30 წლის წინანდელის შედარება. ადრე ფეხბურთის პოპულარობის ხარისხი ძალზე მაღალი იყო, მაგრამ პოპულარობის დღევანდელმა მასშტაბებმა წარმოუდგენელ დონეს მიაღწია. მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთის ფანტასტიკურ ზეიმად იქცევა. მოვუწოდებ ჩემს თანამემამულეებს, რომ მადლობა გადაუხადონ ფრანც ბეკენბაუერს. მისი დამსახურებით, გერმანელები საკუთარ ქვეყანაში უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში ყველაზე საუკეთესო შოუს იხილავენ.

ჩოგბურთი

# მარია შარაპოვა: „აქ ტიტულის დასაცავად ჩამოვედი"

კატარინა სრებოტნიკის დამარცხების შემდეგ უიმბლდონის შარშანდელმა ჩემპიონმა მარია შარაპოვამ განაცხადა, რომ ეს დაპირისპირება მისთვის ყველაზე რთული იყო წლევანდელ გათამაშებაში. რუსი ჩოგბურთელი არ მალავს, რომ ლონდონში სწორედ ტიტულის დასაცავად ჩავიდა, ხოლო მეტოქეთა თამაშს თვალს არ ადევნებს.

**- სრებოტნიკთან მატჩი თქვენთვის ამ ტურნირზე ყველაზე რთული იყო?**

- ალბათ. ანგარიში ბევრს არაფერს გვეუბნება. მე უფრო გამიჭირდა, ვიდრე შეიძლება მოგეჩვენათ. პირველ სეტშიც კი მეტოქემ უაღრესად რთულ მდგომარეობაში ჩამაგდო. მხოლოდ კარგმა მოწოდებამ გადამარჩინა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მთელი მატჩის განმავლობაში კარგად ვაწვდიდი.

**- არ მოგეჩვენათ, რომ წელს უიმბლდონის კორტები ადრინდელთან შედარებით უფრო ნელია?**

- არა მგონია. მე სრებოტნიკს ჰაერის მაღალი ტენიანობის პირობებში ვეთამაშე და ბურთი ამიტომ დაფრინავდა ნელა. წინა დღეებში კი მზიანი ამინდი იყო და ეს პრობლემაც არ წამოჭრილა.

**- თუ შეიძლება, შეადარეთ ერთმანეთს შარშანდელი ტურნირი და წლევანდელი გათამაშების ერთი კვირა.**

- შარშან მიხაროდა, რომ ტურნირს მეორე კვირამდე შემოვრჩი. ახლა კი ამ შედეგს ველოდი. თუმცა, მაინც ძალიან მიხარია, რომ ასპარეზობას ვაგრძელებ.

**- გაგაოცათ მეტოქის შეუპოვარმა წინააღმდეგობამ?**

- რა თქმა უნდა. მომწონს, როცა მატჩი შეუპოვარ ბრძოლაში მიმდინარეობს. განსაკუთრებით ტურნირის ადრეულ ეტაპებზე.

**- თუ ტურნირის დასაწყისი იოლი გამოვიდა, სერიოზულ მეტოქესთან შეხვედრისას შეიძლება ფსიქოლოგიურად მზად არ აღმოჩნდეთ?**

- სრებოტნიკი, რომელიც კარგი მოწოდებით და ბადესთან თამაშით გამოირჩევა, ძალიან სახიფათო მეტოქეა, განსაკუთრებით ბალახის კორტებზე.

**- იაპონიაში თქვენი პორტრეტით მარკები დაბეჭდეს. მსგავსი ფაქტები პირველ ჩოგნად გახდომაში გეხმარებათ?**

- პირველობის მოპოვებაში სერიოზული შრომა გეხმარება და არა მარკები.



*მარია შარაპოვა მეოთხედფინალში გავიდა.*

**- დღევანდელი თამაშით უკმაყოფილო ბრძანდებით?**

- ყველაზე უფრო იმით, რომ დასაწყისში მოწოდებები არ გამომდიოდა. მთლიანობაში კი ყველაფერი რიგზეა.

**- ტიტულის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე მისი პირველად მოპოვება. არ მეთანხმებით?**

- რასაკვირველია. მაგრამ მე უფრო მხიბლავს უიმბლდონზე ჩემპიონის სტატუსით ვითამაშო, ვიდრე იმ ჩოგბურთელის რანგში, რომელიც შარშანდელ გათამაშებაში პირველ ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას.

**- ტურნირის ატმოსფერო მოგწონთ? თქვენი გამოჩენის შემდეგ მაყურებელი ცოცხლდება.**

- ყოველთვის მხიბლავდა უიმბლდონზე, უამრავი მაყურებლის წინაშე თამაში. მაგრამ კორტზე გამოსვლისას ვცდილობ, გარე სამყაროსთან დისტანცია დავიჭირო.

**- შარშან განაცხადეთ, რომ მეორე წრეში გასვლას არ მოელოდით. ახლა რას ელით? ტურნირზე გამარჯვებას?**

- დიახ. სწორედ ამას.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს თამაშისგან სიამოვნების მიღებაში ხელს გიშლით?**

- ყოველი გამოცდილება თავისებურად ძვირფასია. ერთი წლის წინათ ფავორიტი არ ვიყავი, მაგრამ მოვიგე. ეს ძალიან მაგარია. ახლა ტიტულის დასაცავად ჩამოვედი და ესეც პოზიტიურ ემოციებს იწვევს. თუმცა, აბსოლუტურად განსხვავებულს.

**- თქვენ ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, რომელსაც გარე მოვლენებისგან დისტანცირება შეუძლია. თვალს ადევნებთ იმას, რაც ტურნირზე ხდება?**

- მხოლოდ იმას, თუ ვინ იქნება ჩემი მომდევნო მეტოქე.

**- ნუთუ არ გაინტერესებთ, როგორ ასპარეზობენ დები უილიამსები?**

- არა. რა თქმა უნდა, მე შემიძლია ანგარიში გავიგო, მაგრამ...

**- მამაკაცების ასპარეზობას თვალს ადევნებთ?**

- ისე რა. მომწონს, როცა უიმბლდონზე თვალსასეირო მატჩები იმართება, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ტურნირზე მიმდინარე მოვლენებს ვაკვირდები.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად რთული იქნება მომდევნო მატჩი?**

- ყოველ ახალ რაუნდში სულ უფრო გამიჭირდება. ეს ბუნებრივია.

**- როგორ მოემზადებით ამ მატჩებისთვის?**

- განსაკუთრებულს არაფერს არ ვაპირებ. დავისვენებ, წავიკითხავ.

ინფოთეკა

### პაკი ბექჰემის გზის გამეორებას აპირებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ახალწვეულმა პაკ ჩჟი სუნმა განაცხადა, რომ აპირებს, თავისი გუნდისა და გულშემატკივრებისთვის ახალი დევიდ ბექჰემი გახდეს.

"მე დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში და შესაძლებლობებში. ღირსეულად ვითამაშე "პსვ"-ში. ვფიქრობ, არაფერი შემიშლის ხელს, "მანჩესტერ იუნაიტედშიც" კარგი თამაში ვაჩვენო. ყოველთვის ვცდილობ, როგორც ფეხბურთელი გავიზარდო, უფრო მეტს მივაღწიო. არაფერია წარმოუდგენელი და შეუძლებელი იმაში, რომ ბექჰემის კალიბრის ფეხბურთელი გავხდე. რა თქმა უნდა, ფიზიკურად რომ მასავით მიმზიდველი ვიყო, წარმატებას ცხოვრების ყველა ასპექტში მივაღწევდი", - განაცხადა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, მანკუნიანელებმა პაკი ჰოლანდიური კლუბის "პსვ"-სგან ოთხ მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინეს.

### პანდიანს "სარაგოსაში" გადასვლა უნდა

ესპანური კლუბის "დეპორტივოს" თავდამსხმელმა ვალტერ პანდიანიმ, რომელიც ამჟამად "ბირმინგემში" თამაშობს იჯარის წესით, "სარაგოსაში" გადასვლის სურვილი გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ "ბირმინგემი" ამ ფეხბურთელის "დეპორტივოსგან" გამოსყიდვას გეგმავს.

"ვალტერს "სარაგოსაში" გადასვლა იმიტომ უნდა, რომ ამ კლუბს დიდი მიზნები აქვს. ჩვენ უკვე ვესაუბრეთ მათ წარმომადგენლებს, თუმცა, ეს სურვილი საკმაოდ რთული განსახორციელებელი იქნება, რადგან ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული", - განაცხადა პანდიანის აგენტმა.

### "არსენალი" რობინიოსთვის იბრძვის

ლონდონის "არსენალი" ბრაზილიელი ფორვარდის რობინიოს შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. ლონდონელთა ოფიციალური პირები უკვე იყვნენ გერმანიაში, სადაც რობინიო კონფედერაციათა თასში იღებს მონაწილეობას.

"მეფოთეები" მზად არიან თავდამსხმელში 14 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ.

სხვათა შორის, ადრე ამ ფეხბურთელისთვის გამართულ ბრძოლაში მადრიდის "რეალი" მთავარ პრეტენდენტად მოიაზრებოდა. მადრიდელები "სანტოსს" რობიონში ათ მილიონ დოლარს სთავაზობდნენ.

### ვან ნისტელროის ესპანეთში გადასვლა უნდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ ამჟამინდელი გუნდის დატოვებისა და მადრიდის "რეალში" გადასვლის სურვილი გამოთქვა. ბრიტანული პრესის ცნობით, ფეხბურთელის აგენტმა უკვე შეატყობინა მანკუნიალნელების მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს ფორვარდის გადაწყვეტილების შესახებ. მანკუნიანელთა თავკაცი ჰოლანდიელის გაშვებაზე უარს აცხადებს. თუმცა, ნისტელროი დანებებას არ აპირებს.

### გერმანელმა მეკარეებმა თანაბარი შანსები მიიღეს

გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ მას სამ მეკარეს - ოლივერ კანს, იენს ლემანსა და ტიმო ჰილდებრანდს შორის მოუწევს არჩევნის გაკეთება. მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს, ვის მიაკუთვნებს ძირითად შემადგენლობაში ადგილს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს. კლინსმანისვე თქმით, სამივე მეკარეს თანაბარი შანსი აქვს.

"რბოლა პირველი ნომრის მოსაპოვებლად უკვე დაწყებულია. საბოლოო გადაწყვეტილება ცნობილი გახდება 2006 წლის მაისში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე. ჩვენ მსოფლიო დონის ორი მეკარე გვყავს: კანი და ლემანი, ასევე მეტად პერსპექტიული ჰილდებრანდი. ჩემპიონატის დაწყებამდე მათ მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები", - განაცხადა კლინსმანმა.

### აბრამოვიჩი ესიენის შეძენას გეგმავს

ინგლისური პრესის ცნობით, ლონდონის "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი მზადაა, "ლიონს" მათთვის მომგებიანი წინადადებით მიმართოს. "ჩელსი" განის ნაკრების ფეხბურთელში 20 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას გეგმავს. ინგლისურ კლუბს იმედი აქვს, რომ ყველა ფორმალურ მხარეს ამ კვირაში მოაგვარებს.

ახალგაზრდული თამაშები

# ახალგაზრდული დიდი შედეგი

გიგა გურასაშვილი

*დსთ-სა და ბალტიისპირეთის თამაშებზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა თავი გამოიდეს, შინ ორი ათეული მედლით დაბრუნდნენ და 17 ქვეყნის თანატოლ მეტოქეებს შორის გუნდური მეოთხე ადგილი დაიკავეს. დაბნეულობა რომ თავიდანვე გამოვრიცხოთ, გეტყვით, რომ ყოფილი საბჭოეთის 15 ქვეყანას მეტოქეობა უწევდა ჩინეთისა და სინგაპურის წარგზავნილებთანაც. ხუთი ოქრო, ექვსი ვერცხლი და ათი ბრინჯაო - სულ 21 მედალი და ისტორიას ჩაბარებული რიგით მესამე ახალგაზრდული თამაშები, რომლის მონაწილეებს თბილისის აეროპორტშიც დახვდნენ და კაფე "მსოფლიო სპორტისკენ" ესკორტით გააცილეს.*



გიორგი უდესიანი სამწყსოთი კმაყოფილია.

დსთ-სა და ბალტიისპირეთის ახალგაზრდულ თამაშებზე საქართველოს ნაკრებმა სპორტის ცხრა სახეობაში მოსკოვის რეგიონის ამა თუ იმ სარბიელზე მართლაც კარგ შედეგს მიაღწია. ასე რომ, გვაქვს საბაბი, ვთქვათ: დიდი ნაკრებებისთვის თაობა მოდის, თაობა, რომელიც ოლიმპიურ თამაშებსაც დააჭაშნიკებს და სწორი სტრატეგიით გაკვალული გზის შემთხვევაში სხვა დიდ შეჯიბრებებშიც საუკეთესო სინჯის მედლებს მოიპოვებს.

აეროპორტში კი იყვნენ ისინი, ვისაც წვლილი მიუძღვით იმათ აზრდაში, რომლებმაც მოსკოვში იასპარეზეს. იყვნენ გულშემატკივრებიც და სახელმწიფო დროშებით საგანგებოდ დარაზმული ბავშვები, რომლებიც მაშინ ახმაურდნენ, როდესაც აეროპორტის ზღურბლს ნაკრების წევრებმა გადმოაბიჯეს. მოჭიდავეებს კი ახლაც, როგორც ყოველთვის, ზურნით, გარმონითა და დოლით დახვდნენ.

ნაკრები სრული შემადგენლობით "მსოფლიო სპორტისკენ" საზეიმო მიღებაზე ესკორტით წაიყვანეს.

წარჩინებულები (ანუ მედალოსნები) მერიის სპორტის სამსახურმა და მისმა ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა ფულადი პრემიებით დააჯილდოვა.

ისევე როგორც გაცილებისას, ახლაც პათეტიკური და ემოციური სიტყვით გამოირჩეოდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი: "გაცილებისას გითხარით და ახლაც გავიმეორებ: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ვიყოთ გამარჯვებულები. ჩვენ არ გვინდა ისე რა შედეგები. ჩვენ გვინდა დიდი შედეგები. ჩვენ გვჭირდება გმირები, ისეთები, როგორებიც თქვენ ხართ.

...ჩვენ ფული მარტო გზების შესაკეთებლად და ფასადების შესაღებად რომ არ გაგვილია, ამის დასტური ხართ თქვენ".

ის, რომ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა დსთ-სა და ბალტიისპირეთის თამაშებზე იასპარეზა, სწორედ მერიისა და საკრებულოს დამსახურებაა, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს გუნდის დაფინანსება.

"ქალაქის სპორტის სამსახურმა და მისმა ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენს მიერ გაღებული თანხა წყალში გადაყრილი არ იქნებოდა", - კაფე "მსოფლიო სპორტში" განაცხადა თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა.

საქართველოს ნაკრების 15-დან 20 წლამდე 131 სპორტსმენმა ცხრა სახეობაში (ცურვა, მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი, ფარიკაობა, სამბო, ძიუდო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობა, მძლეოსნობა) იასპარეზა.

სარბიელზე თავდაპირველად სამბისტები გავიდნენ და ექვსი მედლის მოპოვების შემდეგ დანარჩენებს მშვენიერი სტიმული მისცეს. მათ მხარი აუბეს ბერძენ-რომაელებმა (7 მედალი), ძიუდოისტებმა (6) და თითოც თავისუფალი სტილით მოჭიდავემ და მძლეოსანმა. ახლოს ვიყავით ბრინჯაოს მედალთან კალათბურთშიც, მაგრამ დამატებით დროში მესამე ადგილისთვის მატჩში საქართველოს ნაკრები უკრაინელებთან დამარცხდა და მეოთხე ადგილზე გავიდა.

ჩინელთა ასპარეზობა მოსკოვში იმან განაპირობა, რომ ისინი 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლები არიან. ასე რომ, ამით ორგანიზატორებმა ჩინელებს ერთგვარი პატივი მიაგეს. რაც შეეხება სინგაპურის ნაკრებს, ამაზე ოფიციალური ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ: მოსკოვი, ისევე როგორც ლონდონი, პარიზი, მადრიდი და იმთავითვე განწირული ნიუ იორკი 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის იბრძვიან. უმთავრესი ასპარეზობის მასპინძლის ვინაობას კი 6-9 ივლისს სწორედ სინგაპურში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 117-ე სესიაზე დაასახელებენ. ერთი სიტყვით, თუ საქმე მართლაც ასეა, გამოდის, რომ რუსებმა სინგაპურს კოჭი გაუგორეს. ეს ისე, ცნობისთვის.

რაგბი

# შვიდნი მესამეზე

## საქართველო პირველობას ჩამოაშორეს

პაატა თოთაძე

ერთი ეტაპილა დარჩა გასამართი ევროპული შვიდკაცას სერიაში მოსკოვის ფინალურ ტურნირამდე. სწორედ ეს, ბათუმში 2-3 ივლისს გასამართი შეჯიბრება გაარკვევს ფინალური ეტაპის მონაწილეებს, რომლებიც 16-17 ივლისს რუსეთის დედაქალაქში შეიკრიბებიან.

ბოლოსწინა ტურნირი კვირას დასრულდა პოლონეთში. ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობდა. უკრაინა და პოლონეთი ორ-ორი გუნდით იყვნენ წარმოდგენილი. მათ გარდა, გამოდიოდნენ საქართველოს, ბულგარეთის, მოლდოვისა და ლატვიის ნაკრებები. შემადგენლობის მიხედვით საქართველოს ტურნირის მოგება თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ...

შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე ქართველებმა პირველ დღეს ჯგუფში სამივე მატჩი მოიგეს. ჯერ უკრაინის მეორე გუნდთან გაიმარჯვეს 31:5, მერე ლატვიასთან - 19:10, ბოლოს კი მასპინძლების პირველ გუნდს აჯობეს 54:0. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ნაკრებიც ისეთ თამაშს აჩვენებდა, რომ ფინალში გასვლას უკლებლივ ყველა უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ, ეტყობა, ბორჯღალოსნებმა ზედმეტად ირწმუნეს საკუთარი ძალების და დაისაჯნენ კიდეც. ნახევარფინალში უკრაინის პირველმა გუნდმა 7:5 მოუგო ჩვენს ნაკრებს და, დიდი-დიდი, მესამე ადგილის შანსი დაუტოვა. მესამე ადგილი კი მოსკოვში მოხვედრის გარანტიას არ იძლევა, ასე რომ, თუ ქართველებს ფინალურ ეტაპზე მოხვედრა სურთ, ბათუმში კარგად უნდა გამოვიდნენ. მეორე ნახევარფინალში მოლდოვამ ლატვიას 17:7 აჯობა. იმავე დღეს ლატვიელები დაამარცხეს ქართველებმაც 12:5, ოღონდ მესამე ადგილისთვის მატჩში. ტურნირი კი უკრაინამ მოიგო ფინალში მოლდოვის დამარცხებით 17:7.

მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ დღეებში ახალი ზელანდიისკენაა მიპყრობილი, სადაც ტურნეს ატარებენ ბრიტანელი და ირლანდიელი "ლომები". შაბათს გუნდებმა პირველი ტესტი გამართეს. ევროპელთა დამრიგებელი სერ კლაივ ვუდვორდი ბევრს კი იქადნებოდა მატჩამდე, დიდებული გუნდი გვყავს და ნახეთ, მოედანზე რასაც დავატრიალებთო, მაგრამ რად გინდა, "ოლ ბლექსმა" მომხდურებს შავი დღე აყარა. განსაკუთრებით ზელანდიელმა მორკინალებმა დაჩაგრეს მეტოქე. ამას უკანახაზელთა დიდებული თამაშიც დაემატა და აი, შედეგიც - 21:3. ყველაფერთან ერთად სტუმრებს პირველ ტაიმში გამოაკლდათ ბრაიან ოდრისკოლი და რიჩარდ ჰილი. ანგარიში უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, მაგრამ ბრიტებმა თავი დადეს და მეტოქეს მეტი არ გაატანინეს. არა უშავს, მარცხიდან დასკვნებს გამოვიტანთ და მეორე მატჩში სხვაგვარად ვითამაშებთო, - ვუდვორდის სიტყვები უფრო თავის დამშვიდებას ჰგავდა. სერ კლაივმა ოდრისკოლის დამტვრევაზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ლომთა კაპიტანი შეგნებულად დაამტვრიეს და ამის დამტკიცებასაც აპირებს. ჯერ ზელანდიელებს სხვადასხვა კამერით გადაღებული ვიდეოფირი მოსთხოვა, მაგრამ რაკი ვერ მიიღო, მატჩის კომისარს მიმართა, უმაგა და მეალამუ გამოიძახეთ ტრიბუნალზე დასაკითხადო. ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა, პირიქით, ბრიტი გრუკოკი ცნეს დამნაშავედ - ერთ-ერთ მომენტში არასპორტულად მოიქცაო და ორი თვით ჩამოაშორეს რაგბის. ამაზე სერ კლაივი სულ მთლად გაცოფდა და მსაჯულებს დაემუქრა, შავ დღეს დაგაყრითო. ოდრისკოლის არყოფნაში ვუდვორდის გადაწყვეტილებით ნაკრებს უელსელი გარეს თომასი უკაპიტნებს.



შავებმა ბრიტებს შავი დღე აყარეს.

კიდევ ერთი სამხრეთ-ჩრდილოური დაპირისპირება გაიმართა სამხრეთ აფრიკაში, სადაც "სპრინგბოკენმა" საფრანგეთის ნაკრებს უმასპინძლა. თამაშამდე აფრიკულ რაგბიში მდგომარეობა დაიძაბა - პოლიტიკოსებმა მწვრთნელს შემადგენლობა დაუწუნეს და მითითებები მისცეს, თუ რამდენი თეთრი და რამდენი შავკანიანი უნდა თამაშობდეს ეროვნულ გუნდში. ამან აფრიკელთა თავკაცი იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ საქვეყნოდ გამოაცხადა, თუ თავს არ დამანებებთ, წავალ და, რაც გინდათ, ის გიქნიათო. ამ არეულობამ შედეგად ის გამოიღო, რომ პირველად ბოლო 30 წლის მანძილზე აფრიკელებმა შინაურ ასპარეზზე პირველად აჯობეს საფრანგეთს (27:13). ეს ამ გუნდების მეორე მატჩი იყო კვირის განმავლობაში. პირველი წინა უქმეებზე ფრედ 30:30 დასრულდა.

ინფოთეკა

### "იუვენტუსი" ვიეირას უმიზნებს

"ბიბისის" ცნობით, "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველის პატრიკ ვიეირას შეძენა უნდა. "იუვეს" წარმომადგენლის განცხადებით, ვიეირა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს კლუბის მთავარი მიზანია: "ჩვენ გვინდა შევიძინოთ ის ფეხბურთელი, რომელიც ემერსონს პარტნიორობას გაუწევს მოედნის ცენტრში. ამიტომაც გვინდა ამ ფრანგი ფეხბურთელის შეძენა, თუ "არსენალი" ამ წინადადებაზე თანახმა იქნება. ჩვენ მზად ვართ, ის თუნდაც ხვალვე შევიძინოთ".

"მეთოფეთა" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კი ამ დღეებში განაცხადა, რომ ვიეირას გაყიდვა მის გეგმებში არ შედის.

### "რეალმა" "ინტერი" უარით გაისტუმრა

Sky Sports-ის ცნობით, მადრიდის "რეალმა" უარი უთხრა "ინტერს" მცველის სალგადოს გაყიდვის გამო. "სამეფო კლუბის" მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ განაცხადა, რომ არ აპირებს უარი თქვას სალგადოზე, ფეხბურთელზე, რომელსაც კონტრაქტის ვადა 2010 წელს გაუდის.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**სამშაბათი. 28 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 "დიდი წინააღმდეგობები. განვლილი სეზონი - ჰოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" - პსვ
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/02 "ბოავიშტა" - "დინამო" (უკრაინა)
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
17:00 "დიდი წინააღმდეგობები. განვლილი სეზონი - ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალი. ბრაზილია - არგენტინა. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
21:25 "ფეხბურთი ჭრილში"
21:55 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
22:25 ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალი. მაროკო - ნიგერია. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:30, 19:00 პრესცენტრი
10:20, 16:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
12:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
13:30 საჭადრაკო მიმოხილვა
14:00 "სარკის წინ"
14:30 მძლეოსნობა. დიდი პრიზი ჩეხეთში
16:50 სახვალიო ტელეპროგრამა
16:55 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
00:30 ახალი ამბები
00:45 "ბილიარდის მეუფენი"

**EUROSPORT**
10:30 მულტისპორტი. VIP - საშვი
10:45 მულტისპორტი. სპორტული მოგზაური
11:00 ფრენბურთი. მსოფლიოს დიდი პრიზი იაპონიაში. კორეა - პოლონეთი
12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:30 მძლეოსნობა. იააფ-ის დიდი პრიზი ჩეხეთში
14:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
14:30 ფრენბურთი. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. ვაჟები. ესპანეთი - ხორვატია. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ნახევარფინალი
17:15 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ნახევარფინალი
18:15 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
19:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
20:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "აკროპოლისის რალი"
22:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. განვლილი კვირის საუკეთესო ორთაბრძოლები
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. მიმოხილვა
01:15 ახალი ამბები
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "აკროპოლისის რალი"
02:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
03:15 ახალი ამბები

გახსენება

# ჩვენი თაობის სინდისი და მშვენება

## სოსო სტურუას გარდაცვალებიდან ორმოცი დღის გამო

თავისი ოჯახისა და მეგობრების გულსაკლავად სოსო სტურუა უეცრად გაეცალა ცხოვრებას. ყველა ჩვენგანისთვის იმდენად მოულოდნელი იყო სოსოს ამქვეყნიდან წასვლა, რომ თავზარდაცემულებმა, გაოგნებულებმა, მაისის იმ ავბედით დღეებში მცირე გამოსათხოვარის დაწერაც კი ვერ შევძელით.

უცნაურია, თითქოს თვით სიკვდილიც მოეკრძალა ამ ანგელოზური სულის ადამიანს, მძინარეს მიაკითხა და უხმოდ წაიყვანა სამარადისო ძილის საუფლოში. არავის გაუგონია მისი უკანასკნელი ამოძახილი.

წარმოუდგენელი უსამართლობაა ისეთი მოსიყვარულე დედა-შვილის დაშორება, როგორიც ქალბატონი მაყვალა და სოსო იყო.

სოსოსა და მის უფროს ძმას, გიორგის, იმთავითვე საქართველოს უანგარო სამსახურისთვის ზრდიდა წარმომავლობითა და დახვეწილი ინტელიგენტით ცნობილი მათი დედ-მამა.

სოსო სრულიად სხვა, მრავალთაგან გამორჩეული პიროვნება იყო. მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა ვიცოდით ეს და, ამდენად, ჩვენი მწუხარება გაორმაგებულია, რადგან იმ საბედისწერო დღესვე მწვავედ ვიგრძენით, ვის უნდა გამოვთხოვებოდით სამუდამოდ.

სოსო სტურუას უმწიკვლო ბიოგრაფიასა და ხასიათს შელამაზება ოდნავადაც არ ესაჭიროება. მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოსო სტურუა იმავე წელს შეუდგა შრომით საქმიანობას: საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის უცხოეთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, შემდეგ საქართველოს სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე, ამავე კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, შემდეგში პრემიერის სამდივნოს უფროსი, წლების მანძილზე მოღვაწეობდა სხვადასხვა კერძო კომპანიაში, ბოლო წლებში კი საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, შემდეგში სააგენტოს მინისტრის მოადგილის მრჩეველია. დაჯილდოებულია საპატიო სიგელებითა და მრავალი მადლობით. იყო საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, საქართველოს იურისტთა კავშირის წევრი.

მშობლიურის გარდა, საფუძვლიანად ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს, იყო მრავალმხრივ განათლებული, ერუდირებული ადამიანი.

მშრალი ანკეტური მონაცემები მიახლოებითაც ვერ გამოხატავს სოსო სტურუას დიდ ორგანიზატორულ ნიჭსა და გამჭრიახობას, სისპეტაკეს, კეთილსინდისიერებას და გულმოდგინებას, რასაც იგი ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობის დროს ამჟღავნებდა.

შეუწყნარებელია ის, რომ თავისი ქვეყნის ისეთი ერთგული პატრიოტის, როგორიც სოსო იყო, უდროოდ გარდაცვალების ძირითადი მიზეზი, ჩვენი ღრმა რწმენით, იყო ათეული წლების მანძილზე საქართველოში გამეფებული ცნობიერება, უვიცობა, შური, გულგრილობა და უსულგულობა ადამიანის ბედისადმი, რომელიც გზას ულობავდა და მორალურად კლავდა არა მარტო ცნობილ პოლიტიკოსებს, არამედ ნიჭიერ და განათლებულ ახალგაზრდებსაც. ძალზე სამწუხაროა, რომ მისი სახელოვანი, საქვეყნოდ ცნობილი მამის, დევი სტურუას მსგავსად,



საქართველომ ვერც ჩვენი სოსოს ესოდენ თვალსაჩინო მონაცემები გამოიყენა.

თამამად შეიძლება ითქვას - სოსო სტურუა რჩეულთა შორის რჩეული, ჩვენი თაობის სინდისი და მშვენება იყო. იგი ყველგან გამოირჩეოდა თავისი ოჯახიშვილობით, განათლებით, საქმის ცოდნით და იუმორით. იყო უსაზღვროდ კეთილი, მოსიყვარულე, ულევ შინაგან სითბოს - ყველაფერს, რაც გააჩნდა უხვად გასცემდა და სამაგიეროს არავისგან მოითხოვდა. მეგობრობაც ბოლომდე იცოდა, ამაშიც ყველას გვჯობდა.

ჭეშმარიტად სამაგალითოა, რაც მან ნაადრევად დაღუპული უახლოესი ადამიანის, უნიჭიერესი ახალგაზრდა მეცნიერის რუსუდან რიგვავას მიმართ გააკეთა. მისი ბრწყინვალე ესსე - "სიკეთისა და გულმოწყალების ძალა" - შეუძლებელია აუღელვებლად, ცრემლის გარეშე წაიკითხო, მან იგივე შეძლო რუსიკოს სახელის უკვდავსაყოფად, რაც მისმა მამამ, დევი სტურუამ, რომელმაც თავის სიყრმის მეგობრებს - თბილისის დამამშვენებელ ქალბატონებს - ინოლა გურგულიასა და ლია ლომინაძეს პოეტური შთაგონებით აღსავსე მოგონებები უძღვნა. რამდენის მთქმელია თუნდაც ეს ფაქტი - სოსოს წერილიდანვე ვიგებთ, რომ დევი სტურუას, როცა იგი თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას - "ზმანება ბასიანთან" - ქმნიდა, თამარ მეფის გარეგნობის დასახატავად რუსუდან რიგვავას სილამაზე და კდემამოსილება ედგა თვალწინ.

სოსოს უახლოეს მეგობრებსა და ნათესავებს იმედად და ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ მისი თოთხმეტი წლის უმშვენიერესი ქალიშვილი ანა, შესახედაობითაც და ნიჭითაც სტურუების სახელოვანი და ლამაზი ოჯახის ღირსეული შთამომავალია. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ჟურნალისტი, დევის უფროსი ძმა, ბატონი მელორ სტურუა კმაყოფილებით ადევნებს თვალს ანას პირველ ჟურნალისტურ ნაბიჯებს და მიაჩნია, რომ გოგონას უთუოდ დიდი მომავალი აქვს.

სამაგალითო მოქალაქისა და მრავალი ღირსებით შემკული პიროვნების სოსო სტურუას წმინდა, უკეთილშობილეს სახეს დროთა დინება ჩვენი გულიდან და ხსოვნიდან ვერასოდეს ამოშლის.

*მეგობრების ჯგუფი*

მოგზაურობა

# რას აღმოაჩენს უკრაინაში ჩასული ტურისტი?

## მათთვის, ვინც წელს ნარინჯისფერი ქვეყნის მონახულება გადაწყვიტა

ეთერ მამულაშვილი

ეს ის ქვეყანაა, წელიწადში ერთხელ ან თუნდაც ათჯერაც რომ ჩახვიდე, ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენ. ამას ის ადამიანებიც ამტკიცებენ, ვისაც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე თუ უბრალოდ ამ ქვეყნის მიმართ დიდი სიყვარულის გამო აქ ჩამოსვლა ხშირად უწევთ.

პირველი, რაც უკრაინაში ჩასულს თვალში მოგხვდება, ეს უჩვეულო სისუფთავეა, თუმცა, უჩვეულოა ალბათ ჩვენთვის, საქართველოდან ჩასულებისთვის, თორემ სხვა ცივილური ქვეყნის მოქალაქისთვის ამაში გასაკვირი რა უნდა იყოს?

ლურჯი და ყვითელი ფერების შემდეგ (უკრაინული დროშის ფერები) აქ ყველაზე მეტად აქტუალური დღეს ნარინჯისფერია. ბუნებრივიცაა. უამრავი რამ, შენობების ფასადით დაწყებული, სუვენირებით დამთავრებული, ნარინჯისფრად ილებება. მშენებლობის ტემპი უკრაინაში, განსაკუთრებით მის დედაქალაქში, დღეს არაჩვეულებრივად მაღალია, თუმცა, თბილისისგან განსხვავებით, აქ ქალაქის ძველი იერი მნიშვნელოვნად არ იცვლება, არ მახინჯდება. პირიქით, კიევში მიმდინარე ყველა ახალი მშენებლობა ძველს ორგანულად და გემოვნებით ერწყმის. კიდევ ერთი წესი, რასაც კიევში ყველა მშენებელი მკაცრად ემორჩილება - ქუჩის განაპირას მდებარე ნებისმიერი შენობა ხუთსართულიანზე მაღალი არ უნდა იყოს. ეს წესი თანაბრად ეხება კიევის ცენტრალურ ნაწილსაც და გარეუბნებსაც.

### ის, რაც კიევში აუცილებლად უნდა ნახო

5-მილიონიან კიევში ახლა ერთი ამდენი ტურისტიც იმყოფება. პირველი, საიდანაც ხშირად უცხოელი ტურისტი კიევის დათვალიერებას იწყებს, დამოუკიდებლობის მოედანია. ის ქალაქში ყველაზე ლამაზ და ცენტრალურ გამზირზე - ხრეშატიკზე მდებარეობს. ორიგინალური არქიტექტურის გარდა, დამოუკიდებლობის მოედანი იმითაც იქცევს მნახველის ყურადღებას, რომ ის ნარინჯისფერი რევოლუციის ეპიცენტრი იყო. ახლა აქ საღამოს საათებში დაახლოებით ისეთივე ხალხმრავლობაა, როგორც ეს რევოლუციის წინა და მომდევნო დღეებში შეიმჩნეოდა.

აქ ბევრს ვერაფერს გააკეთებ, უბრალოდ, უკრაინულ ლუდს მოწრუპავ, ქუჩის მუსიკოსებს მოუსმენ და ამითაც მაქსიმალურ სიამოვნებას იგრძნობ. სწორედ ასე იქცევა დღეს დამოუკიდებლობის მოედანზე შეკრებილი ახალგაზრდების უმრავლესობა.

ტურისტებისთვის შემდეგი გაჩერება წმიდა სოფიას ტაძარი ან კიევ-პეჩორის ლავრაა. სიძველის გარდა, ეს ორი კულტურული ძეგლი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ისინი, ქალაქ ლვოვის ისტორიულ ცენტრთან ერთად, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.



გურამიშვილის სახლ-მუზეუმი.



კიევი

კიდევ ერთი ადგილი, რაც აუცილებლად უნდა ნახო, ეს წმიდა მიქაელის ტაძარია, თუმცა, იქ შესასვლელად ჭიშკართან დიდხანს დგომა მოგიწევთ. წმიდა მიქაელის ტაძარი სიძველის გარდა კიდევ ერთი რამით იპყრობს ტურისტების ყურადღებას - ეს ტაძრის ეზოში მდებარე პატარა დამშრალი შადრევანია. გადმოცემის თანახმად, თუ მომლოცველი შადრევნის რკინის მილზე ხურდა ფულის დამაგრებას შეძლებს, მას ნებისმიერი სურვილი აუსრულდება.

უცხოელი ტურისტისთვის კიევში ბოლო გაჩერება ანდრეევსკის დაღმართია, რომლის ფეხით გავლას, სულ ცოტა, 40 წუთი სჭირდება. მაგრამ თუ თქვენ ფერადი სუვენირები გიზიდავთ ან ახლობლებისთვის მათი ყიდვა გადაწყვიტეთ, მაშინ, მერწმუნეთ, ამ დაღმართის ბოლომდე ჩასარბენად, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, სამი საათი არ გეყოფათ. რას არ ნახავს აქ კაცის თვალი! ყველაზე მეტად აქ ტურისტები მატრიოშკებსა და ხის ბულავებს (უკრაინული საბრძოლო იარაღი) ეტანებიან.

ეს დაღმართი, გარდა იმისა, რომ ძველი ქალაქის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, თეატრებით, ლიტერატურული კაფეებით, მუზეუმებითა და სამხატვრო სალონებით არის ცნობილი. ანდრეევსკის დაღმართს ხშირად პარიზის მონმარტრსა და მოსკოვის არბატს ადარებენ.

სანახავი კიევში კიდევ ძალიან ბევრია, რაზეც საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, თუმცა, ამჯერად დედაქალაქის საზღვრებს რამდენიმე კილომეტრით მოვშორდეთ და ქართველებისთვის განსაკუთრებით საგულისხმო და მნიშვნელოვან ქალაქში გავისეირნოთ. ეს მირგოროდია.

### რა კავშირი აქვს მირგოროდს საქართველოსთან?

მირგოროდის მონახულებას უკრაინაში ჩასული ბევრი ქართველი ცდილობს. ქალაქში შესვლიდან ათიოდე წუთში გზის მარცხენა მხარეს ერთსართულიან, ქართულაბრიან ძველ შენობას შენიშნავთ. თუ ამ ქალაქში შემთხვევით მოხვდით, ქართული წარწერის დანახვას შეიძლება შოკის ეფექტი ჰქონდეს, მაგრამ თუ მირგოროდში მხოლოდ იმიტომ გადაწყვეტთ ჩასვლას, რომ ის ადგილები მოინახულოთ, სადაც დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი 32 წელი გაატარა და ნახო ყველაფერი, რაც მის სახელს უკავშირდება, მაშინ მინდა გითხრათ, რომ ნანახი მოლოდინს ბევრად გადააჭარბებს. პირველი: ეს საგულდაგულოდ შემონახული ქართველი პოეტის მუზეუმია. პატარა, სამოთახიანი მუზეუმი ზუსტად 36 წელიწადია ფუნქციონირებს. ექსპონატების სიმწირის მიუხედავად, დამთვალიერებლი მაინც არ აკლია, თუმცა, როგორც მუზეუმის თანამშრომლები ამბობენ, გასულ წლებთან შედარებით მათმა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. მუზეუმი სახელმწიფო დოტაციაზეა, თუმცა ეს თანხა არც ისე ბევრია.

მართალია, მუზეუმის თანამშრომლებმა ქართულად მხოლოდ "გამარჯობა" და "გმადლობთ" იციან, მაგრამ უკვე დიდი ხანია, კარგად იციან, თუ რა წერია "დავითიანში", რასაც არაქართველი ტურისტებისთვის უკრაინულად სიამოვნებით ჰყვებიან.

მუზეუმთან ახლოს მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასაფლაო, რომელსაც ადგილობრივები დავით გურამიშვილის სახელობის სასაფლაოს ეძახიან. რამდენიმეწლიანი ძიების შემდეგ უკრაინელმა მკვლევარებმა გურამიშვილის საფლავი 1939 წელს - მისი გარდაცვალებიდან 147 წლის შემდეგ აღმოაჩინეს. ქართველი პოეტი მისივე სახელობის სასაფლაოზე, ცენტრალურ შესასვლელთან ახლოს განისვენებს.

სხვებისგან არაფრით გამორჩეულ ქართველი პოეტის საფლავზე, როგორც აქაური მესაფლავეები ამბობენ, თითქმის ყოველთვის დევს ცოცხალი ყვავილების თაიგული.

### გოგოლის სამშობლოში ქართულადაც მღერიან

თუ უკრაინაში რომელიმე ტურისტული კომპანიის საშუალებით მოხვდით, ტუროპერატორი აუცილებლად შემოგთავაზებთ დაათვალიეროთ ის ადგილი, სადაც ნიკოლაი გოგოლი დაიბადა. დიკანკა - ასე ჰქვია სოფელს, რომელიც კიევიდან ოთხიოდე საათის სავალზეა. ამ ადგილით ყოველი უკრაინელი და განსაკუთრებით ამ სოფლის მცხოვრებლები დღემდე ამაყობენ. აქ ჩამოსულ ტურისტს აუცილებლად აჩვენებენ იმ ადგილსაც, სადაც გოგოლი ხშირად სტუმრობდა.

ეს დიკანკის შუაგულია, თუმცა, დასახლებული ადგილები აქედან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.

როგორც ამ ადგილის დღევანდელი მეპატრონე ამბობს, რუსეთიდან სამშობლოში მომავალი გოგოლი, რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, აქ აუცილებლად ჩერდებოდა.

იმ დროს ეს ადგილი გამვლელებისთვის დასვენების, წახემსებისა და იშვიათად გართობის ფუნქციასაც ასრულებდა. რა უყვარდა და ყველაზე ხშირად რას მიირთმევდა გოგოლი? რამდენად ხშირად სტუმრობდა ამ ადგილს და ვისთან ერთად დადიოდა? - ეს ის კითხვებია, რომლებიც დიკანკაში ჩასულ უცხოელ ტურისტებს ყველაზე ხშირად უჩნდებათ.

დღეს ეს ადგილი რამდენიმე სასადილოს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, დუქანს აერთიანებს. უკრაინული სამზარეულოს გაცნობაც ყველაზე უკეთ აქ შეიძლება. აქაურები იმასაც ირწმუნებიან, რომ უკრანული ხალხური ცეკვა და სიმღერა ყველაზე უკეთ აქ წარმოჩნდება. ზუსტად ვერ გეტყვით, სხვა მხარეში უკრაინულად როგორ მღერიან ან როგორ ცეკვავენ, თუმცა უცხო ქვეყანაში ქართულად ასე კარგად სიმღერა, ვეჭვობ, რომ ბევრს შეეძლოს. დიახ, დიკანკაში დღეს უკვე ქართულადაც მღერიან. მართალია, ქართული სიმღერის რეპერტუარი აქ არც ისე ფართოა, თუმცა როგორც აქაურები ამბობენ, მას ძალიან ხშირად ითხოვენ. ლაღიძის "თბილისო" უკრაინულად უფრო სასიამოვნო მოსასმენი ყოფილა, ვიდრე რუსულად და, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ფაქტია, რომ დიკანკელებმა ეს სიმღერა "ნარინჯისფერ რევოლუციამდე" რამდენიმე წლით ადრე ისწავლეს.

### სალონი, რომელსაც იუშენკო და ტიმოშენკო ხშირად სტუმრობენ

რეშეტილოვკა უკრაინის ერთ-ერთი რაიონული ცენტრია და ის მანქანით კიევიდან სამიოდე საათის სავალზე მდებარეობს. ეს ადგილი უკრაინის სხვა რაიონული ცენტრებისგან ერთი შეხედვით ბევრით არაფრით განსხვავდება.

ეს ქალაქი იმით არის გამორჩეული, რომ უკრაინული ტრადიციული ტანისამოსის უმეტესობა სწორედ აქ იკერება. მეტიც: უკრაინაში მიაჩნიათ, რომ ყველაზე ზუსტად და ხარისხიანად ნაციონალურ სამოსს მხოლოდ რეშეტილოვკაში კერავენ. უძველესი სამკერვალო სკოლა-ლიცეუმი, რომელიც აქ ფუნქციონირებს, თითქმის 100 წლის არის. ლიცეუმში სწავლა სამწლიანია და მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ლიცეუმის დირექტორი ამბობს, რომ უწინ აქ კერვის, ქარგვისა და ქსოვის სასწავლებლად უცხოეთიდანაც ჩამოდიოდნენ, მათ შორის საქართველოდანაც. უკანასკნელად, 1999 წელს, აქ დები ჩხიკვაძეები ჩასულან და, როგორც პედაგოგები იხსენებენ, მთელ კურსზე განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდნენ.

დღეს აქ 14-დან 30 წლამდე ასაკის 300 სტუდენტი სწავლობს. თითქმის ყველა უკრაინელია. როგორც ამბობენ, სწავლის მეთოდები ძალიან მარტივია, იმდენად რომ... "ჩვენ ისეთი სტუდენტებიც გვყავდნენ, რომლებსაც ცხოვრებაში ნემსი და ძაფი არ სჭერიათ. დღეს ისინი უკრაინის წამყვანი მოდის სახლებისა და სამკერვალო სალონების თანამშრომლები არიან", - სიამაყით ამბობს ლიცეუმის დირექტორი ნატალია ბიგუნი.

თითოეული აქაური ნახელავი იმდენად ძვირფასია, რომ მათი ძირითადი მყიდველები ე.წ. "ახალი უკრაინელები" არიან. ყველაზე იაფი "ექსპონატი" უკრაინული ორნამენტებით მოქარგული ბავშვის მაისურია, რომლის ღირებულება 70-80 აშშ დოლარია. ნატალია ბიგუნი ამბობს, რომ ამ მაისურზე მუშაობა დაახლოებით ერთ თვეს გრძელდება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მასზე ერთდროულად სამი ადამიანი მუშაობს.

ყველაზე საპატიო და ხშირ კლიენტებს შორის ლიცეუმის პედაგოგები იულია ტიმოშენკოსა და ვიქტორ იუშენკოს ასახელებენ.

ყველაზე ძვირი აქ კედლის ხალიჩებია, რომელთა ფასი, სულ მცირე, ხუთნიშნა რიცხვით აღინიშნება. ლიცეუმის პედაგოგები სიამაყით ამბობენ, რომ ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სამუშაო კაბინეტებსა და საცხოვრებელ სახლებს სწორედ აქ მოქსოვილი ხალიჩები ამშვენებს. იმასაც ამბობენ, რომ აქ მოქსოვილი ყველაზე დიდი ზომის ხალიჩა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური შენობის კედელზეა გაკრული. სასურველ კლიენტებს შორის აქაურები საქართველოს პრეზიდენტს ასახელებენ და მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როცა უკრანიაში მორიგი ვიზიტის დროს მიხეილ სააკაშვილი მათ ლიცეუმსაც მოინახულებს. ნატალია ბიგუნი ამბობს, რომ ის განსაკუთრებით ამაყი მაშინ იქნება, თუ მისი მოწაფეების მიერ მოქსოვილი ხალიჩა საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტსაც დაამშვენებს.

| | |
|---|---|
| სახელი | მისამართი |
| გვარი | |
| ასაკი | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |
| სიმაღლე | |

| | |
|---|---|
| 1 ოჯახური მდგომარეობა : დაქორწინებული / დაუქორწინებელი / გაყრილი / ქვრივი | 8 თქვენი ინტერესები |
| 2 შვილები: (თუ გყავთ) | 9 თქვენი ჰობი |
| 3 პროფესია : | 10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ? |
| 4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება) |
| 5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი) |
| 6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის? | 13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი) |
| 7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის? | ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში. ხელმოწერა________ თარიღი________ ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება ! |



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებამახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შევავსოთ გარკვევით ბლანკი ეფასოა**

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ თქვენი სახეა გამოსახული, მასზე სხვა არავინ უნდა იყოს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



1. ქართველი კომპოზიტორი; 2. მემკვიდრეობის მატარებელი ერთეული; 3. მიწაზე გართხმული მარადმწვანე ბუჩქი; 4. ლექსთწყობის ზომა ბერძნულ პოეზიაში; 5. მოძღვრების, თეორიის ამოსავალი დებულება; 6. ძველებური ესპანური მონეტა; 7. მე-19 საუკუნის ჩეხი კომპოზიტორი; 8. მე-19 საუკუნის ფრანგი კომპოზიტორი; 9. ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი; 10. სახელმწიფო ევროპაში; 11. ვითარებაში გარკვევის უნარი, ალღო; 12. ნოდარ მანაგაძის ფილმი; 12. შ. პეროს ზღაპარი; 14. მინდვრის ეკლებიანი ბალახი; 15. შინაური მსხვილფეხა ცხოველი; 16. "არსენალის" გერმანელი მეკარე; 17. ნადირობის რომაული ქალღმერთი; 18. ლატვიელი მოცეკვავე და ბალეტმაისტერი; 19. ოპტიკური მინა; 20. ამერიკული ავტომობილების მარკა; 21. ქრისტიანული დღესასწაული; 22. ზღვისპირა ქალაქი ჩილეში; 23. აშშ-ს უდიდესი შტატი; 24. ბერძნული ანბანის ასო; 25. იტალიელი კინომსახიობი; 26. პ. პიკასოს ცნობილი ტილო; 27. გრძელი უტარო მათრახი; 28. ჭადრაკის ფიგურა; 29. უგანდის დედაქალაქი; 30. გეომეტრიული ფიგურა; 31. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 32. გულმკერდისა და მუცლის ღრუების გამყოფი ძგიდე; 33. ვარსკვლავური გიგანტური სისტემა; 34. საერთაშორისო კომპიუტერული ქსელი; 35. კუჭუკანა ჯირკვლის ჰორმონი; 36. ქართველი "წვიმის მომღერალი".

## TV პროგრამა

28 ივნისისი, სამშაბათი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "100 დღე ბავშვობის შემდეგ" (გ) **15.25** უიმბლდონის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** პაგო-პაგოს საგანძური **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** სერიალი "უცნობი" **00.45** მხ. ფილმი "მაგდალინელი დები" (18) (ჯ. მაკეევანი) **03.10** პატრული

### [პირველი არხი]

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "ქარაგმა", "ვან-გოგის ყური" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** დოკ. სერიალი "სკოლის შემდეგ" 3-4ს. **19.00** "ჰოლმარკი" - "ნოეს კიდობანი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **22.00** დოკ. ფილმი "აინშტაინის დაუსრულებელი სიმფონია" **23.00** პროფესიონალი - ლოცმანი **23.30** მხ. ფილმი "აშიკ-ქერიბი" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიუნის შვილები" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "ვალი", "გაფრენა", "ტიბეტი" **00.00** მხ. ფილმი "მე ანა მქვია" (გ) (პეტი დიუკი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" 1ს. **19.50** "ბაბილინა" **20.00** დოკ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ექსცენტრიკოსები" **20.55** დოკ. ფილმი "დაზვერვის ცენტრალური ბიურო" **21.45** კინოსეანსი "თუში მეცხვარე" მე-2ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაც. ფილმი "მარკოსა და ჯინას თავგადასავლები" მე-2 ს. **08.40** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "დრონგო" **12.20, 13.15, 17.10, 02.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.30** ტვ-მარკეტი **13.40** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "თენდება გვიან" 1-ლი ს. **22.40** პირველები **23.30** მხ. ფილმი "მეფე ცეკვავს" (15) (ზ. მაჟიმელი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.35** კომედია "მარსი იქსი" **12.25** ფანტასტიკა "დინოკროკი" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **15.05** მხ. ფილმი "უნდა მოკვდეს დედაბერი" **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** ბოევიკი "მძევლები 2" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მელოდრამა "გუვერნანტი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 10.20** Сериал **"ВИОЛА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Александр Домогаров в фильме **"ОГНЕМ И МЕЧОМ". 13.30** Борис Хмельницкий в фильме **"КАРАВАН СМЕРТИ" 15.20** "Угадай мелодию" **15.40** Детективный сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.10** Вне закона. **18.40** "Пять вечеров". **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 22.30** Кремль-9. "Мавзолей". **23.30** Дастин Хоффман в остросюжетном фильме **"ЭПИДЕМИЯ". 01.40** Джефф Голдблюм в триллере **"ОТЦЫ И СЫНОВЬЯ".** Нью-Джерси. У вдовца Макса Фиша, обожающего книги и бег трусцой, сложные отношения с сыном-подростком. Макс ищет уединения и тишины, а у Эда на уме одни вечеринки, девочки и дискотеки. Однажды, во время очередной пробежки, на пирсе Макс знакомится с экстрасенсом. С этого момента жизнь Фиша и его сына превращается в настоящий кошмар... **03.40** фильм Бертрана Тавернье **"ЭТО НАЧИНАЕТСЯ СЕГОДНЯ".** Даниэль Лефебр работает старшим воспитателем детского сада в маленьком шахтерском городке около Валенсьенна на севере Франции. Местная экономика, полностью зависящая от угольного производства, пребывает в затяжном кризисе. Все шахты закрыты, безработица. Люди проживают последние гроши, пьют, впадают в глубокую депрессию. Социальная помощь отсутствует. Но больше всего от этого кошмара страдают дети - маленькие подопечные Даниэля. Он, чувствуя себя ответственным за все происходящее, решает бороться, чтобы вернуть свой поселок к нормальной жизни...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чистосердечное признание. **10.50** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!". 11.55** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 13.30** Николай Добрынин в боевике **"ВСЕ ТО, О ЧЕМ МЫ ТАК ДОЛГО МЕЧТАЛИ". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ОСОБЫЙ СЛУЧАЙ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.45** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!" 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 01.20** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 02.35** Бильярд. **03.10** Сериал **"КИН ЭДДИ". 04.15** Сериал **"ДЖЕЙК 2.0". 05.05** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 380077 თბილისი

ბლანკი უფასოა

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24


ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით
არკია
თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 05.30-10.15
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 11.45-13.45
275 აშშ დოლარი (ერთი გზა)
349 აშშ დოლარი (ორი გზა)
შესაბამისი კვირის დღეებში
24 ივნისიდან 30 სექტემბრამდე
arkia
არკია
კარგარეთელის ქ. №7, ტელ.: 91-04-99, 91-06-16, ფაქსი: 91-04-99, e-mail: mail@arkia.ge
მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი
ბილეთები აქ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE
შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:
- ხალიჩების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.
მის. ლეხელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

# მობილურების ვირუსების ეპიდემია 2007 წლამდე მოსალოდნელი არ არის



მამუკა ქირია

*ცნობილი ანალიტიკური ფირმა "გარტნერის" მონაცემებით, მობილურ ტელეფონებში ვირუსების მასობრივად გავრცელებას 2007 წლამდე არ უნდა ველოდოთ.*

დღეისთვის არსებობს რამდენიმე სახეობის დამზიანებელი პროგრამა (ვირუსი), რომლებიც აავადებენ პორტატულ მოწყობილობებს, უკაბელო შეერთების ან მულტიმედიური შეტყობინების საშუალებებს, თუმცა, ამ ვირუსების დაზიანების ხარისხი სერიოზული არ არის.

როგორც "გარტნერის" ვიცე-პრეზიდენტი ჯონ პესკატორე აცხადებს, **მსხვილმასშტაბიანი მობილური ვირუსების ეპიდემიის გასავრცელებლად საჭიროა შესრულდეს სამი პირობა:**

**პირველი:** მობილური კომუნიკატორები ანუ სმარტფონები უნდა გახდეს მასობრივი; **მეორე:** ამ მოწყობილობის მფლობელებმა ერთმანეთში ფაილების გასაცვლელად უნდა გამოიყენონ სმარტფონები (დღეს მობილურის მფლობელები ერთმანეთს უგზავნიან მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, იშვიათად სურათებსა და მელოდიებს); **მესამე:** სმარტფონების ოპერაციული სისტემების ბაზარზე უნდა გამოჩნდეს გამოკვეთილი ლიდერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვირუსების სწრაფ გავრცელებას ხელს შეუშლის სხვადასხვა პლატფორმებთან არათავსებადობა.

სავარაუდოდ, სამივე ფაქტორის შესრულება არ არის მოსალოდნელი უახლოესი ორი წლის განმავლობაში.

მიუხედავად ამისა, ბევრი სოფტვერული კომპანია უკვე სთავაზობს მომხმარებელს ანტივირუსულ პროგრამებს, რომლებიც მობილურ კომუნიკატორებზეა ორიენტირებული. მიუხედავად ამ ფირმების პროპაგანდისა, რომ მომხმარებლებმა აუცილებლად დააყენონ ანტივირუსული პროგრამა (რაც წმინდა მარკეტინგული სვლაა და მეტი არაფერი), ჯერჯერობით რეალური საფრთხე მობილურის მომხმარებლებს ნამდვილად არ ელოდებათ.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად
London School of Commerce (LSC) ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა STM (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან.
University of sunderland (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ასევე ლონდონი UEL (გაერთიანებული სამეფო) და university of Wales 'Newport (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტებთან ერთად.
მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2005 წლის 3 ოქტომბერი.
MBA
MSc
£3950
BA (Hons) მთლიანი ღირებულება £ 5950
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

სწავლა დიდ ბრიტანეთში
ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი).

**ენის სასწავლო პროგრამები:**
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

**საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- MS Word.
- MS Excel.
- Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.უზნაძის N70 ტელ: 29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

## ვეტერინართა რჩევა



**ჩემი ოთხი წლის შარპეი ყოველთვის გამოირჩეოდა გაუმაძღრობით. დიდი ხანი არ არის, რაც მშრალ საკვებზე გადავიყვანე. მან საგრძნობლად შეამცირა მიღებული საკვების რაოდენობა. მიუხედავად ამისა მაინც მშვენივრად გამოიყურება. მაინც ვღელავ, ხომ არ აკლია მას რაიმე?**

**როგორ ვკვებოთ ჩვენი ძაღლი ისე, რომ ის ჯანმრთელიც იყოს და ხალისიანიც?**



*თქვენს შეკითხვებს პასუხობს ქ-ნი ელენე შიშინაძე კინოლოგიური სანაშენე ცენტრი "ელიტა"-ს*

**პასუხი:**

საქმე იმაშია, რომ მშრალი საკვები ჩვეულებრივზე ბევრად უფრო კალორიულია. ამიტომაც მიირთმევს თქვენი ძაღლი შედარებით ნაკლებს. სწორი კვების ნორმის დასადგენად აუცილებლად წაიკითხეთ საკვების კოლოფზე მითითებული რეკომენდაციები; მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ეს გასაშუალოებული ციფრებია. აუცილებელია ძაღლის ინდივიდუალური მაჩვენებლების - ჯიშის, ასაკის, წონის გათვალისწინება. ის, რომ ძაღლი გარეგნულად კარგად გამოიყურება, საუკეთესოდ ახასიათებს საკვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა თქვენს ძაღლს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ იყოს ჯანმრთელი და ხალისიანი.

**ჩემი მეზობელი თავის ძაღლს მხოლოდ მზა, მშრალ საკვებს აძლევს. მისი ხუთი წლის პუდელი ჯანმრთელად და ხალისიანად გამოიყურება. მე კი მეშინია ჩემი ძაღლის მშრალ საჭმელზე გადაყვანა, რადგან მსმენია, რომ ის არც თუ ისე სასარგებლოა. ამიტომ თვითონ ვამზადებ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:**

თქვენ სწორად მოიქცით, რომ სპეციალისტს მიმართეთ. სწორი კვება ხომ ძაღლის ჯანმრთელობის საწინდარია! სწორად შერჩეული საკვები არა თუ ავნებს თქვენს ძაღლს, არამედ ბევრად უფრო სასარგებლოცაა თქვენს მიერ დამზადებულ საკვებთან შედარებით. ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია თქვენი სურვილი, კვებოთ თქვენი ძაღლი საუკეთესო საკვებით, მაგრამ კვებისას ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ბალანსირებული რაციონია. შინაური საკვების ძირითადი ნაკლი ცხიმებისა და მინერალური ნივთიერებების ჭარბი რაოდენობა და ცილების, ნახშირწყლებისა და ზოგიერთი ვიტამინის ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენი ოთხფეხა მეგობრების სულ უფრო მეტი პატრონი ამჯობინებს მზა საკვებს. ის ხომ ბალანსირებული და ძაღლის ორგანიზმისათვის სასარგებლოა. მზა საკვებს მშვენივრად ითვისებს თქვენი ძაღლი და ის მეტად კმაყოფილია. ძაღლის გარეგნული იერ-სახე კი სრულად გამოხატავს მშრალი, მზა საკვების ღირსებებს.

არჩევანის გაკეთებისას ყურადღება გაამახვილეთ მწარმოებლის რეპუტაციასა და სპეციალისტების რეკომენდაციებზე. პირადად მე, უკვე დიდი ხანია, PEDIGREE®-ს ვამჯობინებ. მის უპირატესობაზე მეტყველებს კომპანიის მრავალწლიანი გამოცდილება და სერიოზული კვლევები დიეტოლოგიის სფეროში. დაიმახსოვრეთ, ისეთი სერიოზული საკითხის გადაწყვეტისას, როგორიც კვებაა, კომპრომისი დაუშვებელია და ვნებს ძაღლის ჯანმრთელობას.

**ჯანმრთელი ძაღლის ბედნიერი ცხოვრება**